

საქათველოს
მეცნიერებათა კრენული
აკადემია

წლიური ანგაზავნი
2008

საქართველოს
მეცნიერებათა ეროვნული
აკადემია

წლიური ანგარიში

2008

თბილისი
2009

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2008 წლის ანგარიშში ასახულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და მისი წევრების სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობა.

ანგარიში მოამზადა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურმა აკადემიის წევრების, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების, სამეცნიერო კომისიებისა და რედაქციების, აკადემიის აპარატის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წესდება

**დამტკიცებულია საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის საერთო კრების მიერ
2008 წლის 11 ივნისს**

**22-ე, 27-ე, 35-ე და 37-ე მუხლებში ცვლილებები
შეტანილია 2008 წლის 16 დეკემბერს**

I. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია არის საერთაშორისო მნიშვნელობის მიღწევებისა და მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე პირთა გაერთიანება, რომელიც არის მემკვიდრე და ტრადიციების გამგრძელებელი უძველესი ქართული განათლებისა და სულიერების კერძისა – გელათისა და იყალთოს აკადემიებისა. იგი არის საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩეველი.

2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უფლებამონაცვლე. იგი შედგება ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) და წევრკორესპონდენტებისაგან, აგრეთვე საპატიო აკადემიკოსებისა და უცხოელი წევრებისაგან.

3. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონით „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“, საქართველოს კანონმდებლობითა და აკადემიის წესდებით.

4. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია არის თვითმართვადი სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც დამოუკიდებლად ამტკიცებს თავის წესდებას, განსაზღვრავს თავის სტრუქტურას, წყვეტს სამეცნიერო-ორგანიზაციულ, საკადრო, ეკონომიკურ და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებს.

II. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიზნები და ამოცანები

5. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიზნებია:

- ა) საქართველოში მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა;
- ბ) ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევების წარმოება;
- გ) სახელმწიფო ენებზე ზრუნვა;
- დ) ქვეყანაში მეცნიერების განვითარების გზების პროგნოზირება. მსოფლიო მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით სახელმწიფო პრიორიტეტების შესახებ წინადადებათა შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მთავრობაში წარდგენა;
- ე) ქვეყანაში წარმოებული მეცნიერული კვლევის შედეგების ექსპერტიზა;
- ვ) მეცნიერული მიღწევების საზოგადოებისთვის გაცნობა და საქართველოს მეცნიერთა მიერ მოპოვებული მიღწევების საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა.

6. თავისი მიზნების განსახორციელებლად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია:

- ა) ეწევა სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერტული ხასიათის საქმიანობას. შესაბამისი ამოცანების გადასაწყვეტად, საჭიროების შემთხვევაში, აყა-

- ლიბებს და ხელმძღვანელობს სამეცნიერო-კვლევით კოლექტივებს;
- ბ) იხილავს და აფასებს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო საქმიანობის ამსახველ წლიურ ანგარიშებს და დასრულებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს. უფლებამოსილია ამ ორგანიზაციებისაგან გამოითხოვოს საჭირო დამატებითი ინფორმაცია, ხოლო ექსპერტიზის შედეგი აცნობოს ამ ორგანიზაციებს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მეცნიერების განვითარების ფონდებს;
- გ) ატარებს სამეცნიერო საქმიანობისა და ნაშრომების ექსპერტიზას. აწყობს სამეცნიერო დისკუსიებს, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებს;
- დ) გამოსცემს ბეჭდვით და ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალებსა და სხვა პერიოდულ გამოცემებს, ახორციელებს სამეცნიერო ლიტერატურის საერთაშორისო გაცელას;
- ე) ეწევა სამეცნიერო მიღწევათა და მეცნიერული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას; ატარებს საჯარო დაქციებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- ვ) აარსებს და ანიჭებს პრემიებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგში მნიშვნელოვანი სამეცნიერო სამუშაოების წარმოსაჩენად;
- ზ) უფლებამოსილია გახდეს საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების წევრი; ამყარებს კავშირებს მსოფლიოს წამყვან მეცნიერებთან და სამეცნიერო ცენტრებთან;
- თ) კოორდინაციას უწევს სამეცნიერო დაწესებულებების კვლევით საქმიანობას;

- օ) յմնօս յոմօնօյծի մյցնոյրյեծիսա და Ծյէյնոլոց ցոյշիս სեցաდասեցա დარշի;
- ջ) շյցլյեծամոնսոլո პորու წյըրոլոծիտո մոմարտզու սագյշցյելնյ օնասացս մյցնոյրյեծիսա და კუլ- Ծյ՛րու մոլցաწյտա პորաდ արկյօցյեծ, როմլցից ցասեյլու սայարտցյելու օსტոრուուսատցու;
- լ) დարցյեծի մոնցու անօկյեծ წլու սայցյու- სո սամյցնոյրո-կվլցու დაწյեծյեծյլյեծի Ծո- Ծյլս და გասցյեմս չոլու ցոյշիս;
- թ) աեռուցոյլյեծ այացյեմու ամուցանցիտան დაკաշ- შորյեցյլ սեցա, մատ შորու, დაմեմարյ ցյոնո- մոյշ սայմուանու գանոնմდյեծլու დადგի- նոլո წյեսու.

III. Սայարտցյելու մյցնոյրյեծատա յրոցնյլո այացյեմու წյըրյեծ

7. Սայարտցյելու մյցնոյրյեծատա յրոցնյլո այացյ- մու წյըրյեծ արու այացյեմու նամდցու წյըրյեծ (այացյեմոյշու), წյըր-յորյեսանցյենցիյեծ, սապացու այ- ացյեմոյշու და շյցետցյ წյըրյեծ.

8. Սայարտցյելու մյցնոյրյեծատա յրոցնյլո այացյ- մու այացյեմոյշու შյօմլցյեծ օմ մյցնոյրու արհեցա, რոմլցմաց սայրտա შորու օմ ալու արշի յլո წյլու შյօմլցյան մյցնոյրյեծի ցանցու արշի შո.

9. Սայարտցյելու մյցնոյրյեծատա յրոցնյլո այացյ- մու წյըր-յորյեսանցյենցի შյօմլցյեծ օմ մյցնոյրու արհեցա, რոմլցմաց մյցնոյրյեծի ցանցու արշի յլո շրոմյեծ շյըսմոնա.

10. Սայարտցյելու մյցնոյրյեծատա յրոցնյլո այացյ- մու თացու შյօմա დგյեն լու օմ սապացու այացյեմոյշու օրհեցա սայարտցյելու մոյալայես, մեռցլու օմ ալու արշ- յլ մոլցա წյես, რոմլցմաց თացու սայմուանու օմ

წვლილი შეიტანა საქართველოში მეცნიერების, კულტურის და სულიერების განვითარებაში.

11. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თავის შემადგენლობაში უცხოელ წევრად ირჩევს მსოფლიოში აღიარებულ საზღვარგარეთელ მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში და რომელიც თავისი საქმიანობით დაკავშირებულია საქართველოს მეცნიერებასა და კულტურასთან.

12. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრთა (აკადემიკოსთა) საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამოცდაათს.

13. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებასა და აკადემიის საბჭოში საქმიანობა არ ითვლება ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებად.

IV. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მართვა

14. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მართვა ხორციელდება არჩევითობის, დემოკრატიულობისა და გამჭვირვალობის პრინციპებზე დაყრდნობით.

15. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მართვას ახორციელებენ:

- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება – აკადემიის მართვის უმაღლესი ორგანო;
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო (შემდგომში აკადემიური საბჭო);
- აკადემიის პრეზიდენტი.

V. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება

16. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მართვის უმაღლესი ორგანოა აკადემიის საერთო კრება, ოოქელშიც ხმის უფლებით მონაწილეობენ აკადემიის ნამდვილი წევრები (აკადემიკოსები) და წევრ-კორესპონდენტები. საერთო კრების მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ აგრეთვე საქართველოში მყოფი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსები და უცხოელი წევრები.

17. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება:

- ა) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წესდებას;
- ბ) განსაზღვრავს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;
- გ) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, ირჩევს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს (ვიცე-პრეზიდენტებს), აკადემიის აკადემიკოს-მდივანს და აკადემიური საბჭოს სხვა წევრებს;
- დ) იხილავს და ამტკიცებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წლიურ ანგარიშს, წარადგენს დასაბუთებულ მოთხოვნას მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსებაზე;
- ე) ირჩევს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრებს (აკადემიკოსებს) და წევრ-კორესპონდენტებს;

3) ამტკიცებს აკადემიური საბჭოს მიერ არჩეულ აკადემიის საპატიო და უცხოელ წევრებს.

შენიშვნა: „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ მიღებული კანონის შესაბამისად 2009 წლის პირველი მაისიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში წყდება წევრ-კორესპონდენტების არჩევა.

4) ისმენს აკადემიის წევრთა მოხსენებებს, იხილავს სამეცნიერო და სამეცნიერო-ორგანიზაციული ხასიათის საკითხებს;

5) ისმენს სამეცნიერო ეთიკასთან დაკავშირებულ საკითხებს;

6) სიით შემადგენლობის სამი მეხუთედით, ფარული კენჭისყრით, ვადამდე გამოიწვევს აკადემიური საბჭოს წევრებს.

18. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ წელიწადში ორჯერ მაინც. საერთო კრების მოწვევა სავალდებულოა, თუკი ამას ითხოვს ხმის უფლების მქონე წევრთა ერთი მესამედი მაინც.

19. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ სამი მეხუთედისა.

20. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებას იწვევს და თავმჯდომარეობს აკადემიის პრეზიდენტი, ხოლო მისი არყოფნისას აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი.

21. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აკადემიური საბჭოს სპეციალური დადგენილებით საკითხის გადასაწყვეტად აუცილებულია.

ლია კვალიფიციური უმრავლესობა (სიითი შემადგენ-ლობის არანაკლებ სამი მეტუთედისა).

VI. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო

22. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო შედგება აკადემიის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტების, აკადემიის აკადემიკოს-მდივნის, განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნებისა და აკადემიის სხვა წევრებისაგან. აკადემიური საბჭოს წევრთა რიცხოვნობას განსაზღვრავს აკადემიის საერთო კრება. აკადემიური საბჭოს წევრები არ არიან საჯარო მოხელეები.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტები და აკადემიის აკადემიკოს-მდივანი ქმნიან აკადემიური საბჭოს პრეზიდიუმს.

აკადემიურ საბჭოსთან ფუნქციონირებს მრჩეველთა ჯგუფი, რომელიც იქმნება საბჭოს (პრეზიდიუმის) ყოფილ წევრთაგან და რომელიც მონაწილეობს საბჭოს მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით. მრჩეველთა ჯგუფში შემავალ წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო.

23. აკადემიური საბჭოს მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ აკადემიური საბჭოს ასოციირებული წევრები, რომელთა არჩევა ხდება დიაკენტისყრით საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით. აკადემიური საბჭოს ასოციირებული წევრების რაოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო.

აკადემიური საბჭოს ასოციირებულ წევრებად ითვლებიან აგრეთვე იმ სამეცნიერო ორგანიზაციათა უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც სტრუ-

ქმურული ერთეულის ფორმით ექვემდებარებიან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას (ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, გიორგი წერეთლის სახელობის „გეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი).

„მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების თხოვნის და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს თანხმობის შემთხვევაში ამ სამეცნიერო დაწესებულების აკადემიის სტრუქტურული ერთეულის ფორმით ჩამოყალიბება შესაძლებელია, თუ საქართველოს კოონიკური განვითარების სამინისტროს მიერ მიღებულია გადაწყვეტილება მისთვის ქონების გადაცემის შესახებ.

24. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტებს და აკადემიის აკადემიკოს-მდივანს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსთაგან ირჩევს აკადემიის საერთო კრება ფარული კენჭისყრით, სიითი შემაღებელობის უმრავლესობით, 5 წლის ვადით.

აკადემიური საბჭოს სხვა წევრებს აკადემიის წევრთაგან ირჩევს აკადემიის საერთო კრება 5 წლის ვადით, სიითი შემაღებელობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით.

აკადემიის პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტებს, აკადემიის აკადემიკოს-მდივანსა და აკადემიური საბჭოს სხვა წევრთა შორის მოვალეობებს ანაწილებს აკადემიური საბჭო.

25. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო ასრულებს აკადემიის საერთო კრებების დადგენილებებს და საერთო კრებებს

შორის პერიოდში ხელმძღვანელობს აკადემიის საქმიანობას.

26. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან შეიძლება არსებობდეს სამეცნიერო კომიტეტები, კომისიები, სამეცნიერო საზოგადოებები.

27. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო:

- ა) ამყარებს სამეცნიერო კონტაქტებს დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიებთან და უცხოეთის მეცნიერებათა აკადემიებთან, აგრეთვე სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან;
- ბ) იწვევს სამეცნიერო სესიებს, კონფერენციებს, თაობირებსა და სიმპოზიუმებს; ანიჭებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელობით პრემიებს დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული შრომებისათვის, აღმოჩენებისა და გამოგონებებისათვის, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრემიებს ახალგაზრდა მეცნიერთა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საუკეთესო მეცნიერული ნაშრომებისათვის;
- გ) წარუდგენს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებას განსახილველად და დასამტკიცებლად აკადემიის საქმიანობის წლიურ ანგარიშს;
- დ) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილებათა მიერ წარმოდგენილი დასკვნების საფუძველზე შეფასებას აძლევს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და სამეცნიერო-კვლევითი ონსტიტუტების სამეცნიერო საქმიანობის წლიურ ანგარიშებს და დასრულებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს. თა-

ვის მოსაზრებებს აცნობს ამ ორგანიზაციებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მეცნიერების განვითარების ფონდებს;

- გ) ამტკიცებს იმ ორგანიზაციათა დებულებებს, რომლებიც სტრუქტურული ერთეულის ფორმით ექვემდებარებიან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას (ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, გიორგი წერეთლის სახელობის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი და სხვ.);
- გ) პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს იმ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, რომლებიც სტრუქტურული ერთეულის ფორმით ექვემდებარებიან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას;
- ხ) ამტკიცებს აკადემიის პერიოდულ გამოცემათა სარედაქციო კოლეგიებისა და საბჭოების შემადგენლობას და დებულებებს;
- თ) ამტკიცებს გამოჩენილ მეცნიერთა აკადემიური სახელობითი პრემიების მინიჭების სანიმუშო დებულებას.
- ი) ამტკიცებს სამეცნიერო განყოფილების საერთო კრების მიერ ფარული კენჭისყრით არჩეულ ბიუროს შემადგენლობას და განყოფილების სწავლულ მდივანს.

28. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე.

29. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოს ემსახურება ადმინისტრაციული აპარატი; ადმინისტრაციული აპარატის დებუ-

ლებას და შინაგანაწესს ამტკიცებს აკადემიური საბჭო. ადმინისტრაციულ აპარატს ხელმძღვანელობს პრეზიდენტის მოადგილე, რომელსაც პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო დია კენჭისყრით.

VII. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

30. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს აკადემიის ნამდვილ წევრთაგან 5 წლის ვადით ირჩევს აკადემიის საერთო კრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით. აკადემიის პრეზიდენტი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ არა უმეტეს ორი ვადით.

პრეზიდენტის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვთ აკადემიურ საბჭოს, სამეცნიერო განყოფილებებს, დარგობრივ კომისიებს, აკადემიის წევრთა ჯგუფებს და ცალკეულ წევრებს.

31. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი:

- ხელმძღვანელობს აკადემიას და არის აკადემიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. აკადემიის პრეზიდენტი არის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე;
- წარუდგენს საერთო კრებას აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატებს;
- იწვევს და თავმჯდომარეობს აკადემიის საერთო კრებას, აკადემიური საბჭოს სხდომებს;
- განკარგავს აკადემიის ფინანსებს.

32. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობა არის ადმინისტრა-

ციული თანამდებობა. მასზე არ ვრცელდება ასაკობრივი შეზღუდვა.

VIII. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტრუქტურა

33. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ძირითადი სტრუქტურული ერთეულია სამეცნიერო განყოფილება.

34. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტრუქტურას განსაზღვრავს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს აკადემიის საერთო კრება.

IX. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილება

35. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ძირითადი სამეცნიერო-ორგანიზაციული ერთეულია სამეცნიერო განყოფილება (შემდგომში განყოფილება), რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

განყოფილება საქმიანობას წარმართავს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.

36. განყოფილების უმაღლესი ორგანოა განყოფილების საერთო კრება. კრებებს შორის პერიოდში განყოფილების საქმიანობას ხელმძღვანელობს განყოფილების ბიურო.

37. განყოფილების საერთო კრება ფარული კენჭისყრით ირჩევს განყოფილების აკადემიკოს-მდივანს აკადემიის ნამდვილ წევრთაგან და განყოფილების სწავლულ მდივანს.

38. განყოფილება აყალიბებს მეცნიერების და ტექნოლოგიების დარგობრივ კომისიებს (შემდგომში დარგობრივ კომისიებს) და განყოფილების საერთო კრება ფარული კენჭისყრით ირჩევს დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეებს აკადემიის წევრთაგან.

39. განყოფილების ბიუროს შემადგენლობაში შედიან განყოფილების აკადემიკოს-მდივანი და დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეები. ბიუროს შემადგენლობაში შეიძლება არჩეულ იქნენ განყოფილების სხვა წევრებიც.

40. სამეცნიერო განყოფილება:

- ა) განსაზღვრავს ბიუროს წევრთა რაოდენობას და ირჩევს მის შემადგენლობას;
- ბ) ისმენს და ამზიცებს განყოფილების მუშაობის ანგარიშს;
- გ) იხილავს მეცნიერების შესაბამისი დარგების პრიორიტეტული მიმართულებების განვითარების საკითხებს და სათანადო წინადადებებს წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;
- დ) ექსპერტიზას უწევს საქართველოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის წლიურ ანგარიშებს და შესაბამის დასკვნას წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;
- ე) კოორდინაციას უწევს შესაბამისი სამეცნიერო დაწესებულებების საქმიანობას;
- ვ) აყალიბებს საექსპერტო კომისიებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელობითი პრემიების მისანიჭებლად;
- ზ) წარუდგენს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიური საბჭოს წინადადებებს სახელობითი პრემიების მინიჭების თაობაზე. აკადემიური საბჭო სათანადო გადაწყვეტილების შემთხვევაში აყალიბებს საექსპერტო კომისიებს შემოსული განცხადებების განსახილველად;

თ) იხილავს სამეცნიერო სესიების, კონფერენციებისა და თათბირების მოწყობის საკითხებს და სათანადო წინადადებებს წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ი) შეარჩევს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრობისა და წევრკორესპონდენტობის კანდიდატებს.

41. განყოფილების ბიურო:

ა) ამზადებს სამეცნიერო-საორგანიზაციო საკითხებს განყოფილების საერთო კრებაზე განხილვისათვის;

ბ) კოორდინირებას უწევს გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი პრემიების მისანიჭებლად შექმნილი საექსპერტო კომისიების საქმიანობას, იხილავს მათი მუშაობის შედეგებს და განყოფილების საერთო კრებაზე განხილვის მასალებს დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

გ) საერთო ხელმძღვანელობას უწევს განყოფილებაში შემავალ დარგობრივ კომისიათა საქმიანობას.

42. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი:

ა) ხელმძღვანელობს განყოფილებას და არის განყოფილების სრულუფლებიანი წარმომადგენელი აკადემიურ საბჭოში;

ბ) იწვევს და თავმჯდომარეობს განყოფილების საერთო კრებას და განყოფილების ბიუროს.

43. განყოფილების დარგობრივი კომისიების მიზნებია:

ა) მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში მოპოვებული საერთაშორისო დონის შედეგების განალიზება, რეკომენდაციების შემუშავება და

- მათი წარდგენა განყოფილების საერთო კრუბაზე განსახილველად;
- ბ) საქართველოში ჩატარებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური კვლევების წლიური ანგარიშებისა და ცალკეული სამეცნიერო ნაშრომების ექსპერტიზა და შესაბამისი დასკვნის წარდგენა განყოფილების ბიუროზე განსახილველად;
- გ) დარგების მიხედვით წლის საუკეთესო კვლევითი ჯგუფების გამოვლენა და სათანადო წინადადებების წარდგენა განყოფილების ბიუროზე განსახილველად; საუკეთესო კვლევითი კოლექტივის შერჩევა ხდება განყოფილების ბიუროს მიერ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე.

**X. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოსთა, წევრ-კორესპონდენტთა,
საპატიო აკადემიკოსთა და უცხოელ წევრთა
არჩევნების წესი**

44. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსების და წევრ-კორესპონდენტების არჩევნები ტარდება ამ წესდებისა და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტით დებულების საფუძველზე.

45. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრთა არჩევნები ეწყობა განთავისუფლებულ ვაკანსიებზე აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სპეციალობების მიხედვით. არჩევნების ჩატარების ვადებს განსაზღვრავს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო.

46. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს ცნობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრთა არჩევნების

ბის ჩატარების შესახებ ქვეყნდება არა უგვიანეს სამი თვისა არჩევნებამდე.

47. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრობის კანდიდატთა წამოყენების უფლება აქვთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს, დარგობრივ კომისიებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო საზოგადოებებს.

ორგანიზაციებისა და აკადემიის წევრების მიერ დასახელებულ კანდიდატთა მონაცემები რეგისტრაციისა და არჩევნებში მონაწილეობისათვის არჩევნების შესახებ, ცნობის გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში, წერილობით ეცნობება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოს.

არჩევნებში მონაწილე იმ კანდიდატთა სია, რომლებიც რეგისტრაციაში არიან გატარებული, ქვეყნდება არა უგვიანეს ერთი თვისა არჩევნების ჩატარებამდე.

48. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრს ირჩევს აკადემიის საერთო კრება იმ კანდიდატთაგან, რომლებიც შეირჩევა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებათა მიერ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში არჩევნებისას, საჭიროების შემთხვევაში, აკადემიური საბჭოს სათანადო დადგენილებით ცალკეულ განყოფილებებს შეუძლიათ ჩაატარონ გაერთიანებული კრება ამ განყოფილებებისათვის გამოყოფილი ყველა ვაკანსიის დასაკავებლად.

49. აკადემიკოსობის კანდიდატთა არჩევნებისას განყოფილებაში ხმის უფლებით სარგებლობენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები.

წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატთა არჩევნებისას განყოფილებაში ხმის უფლებით სარგებლობენ

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები.

50. განყოფილება უფლებამოსილია მოაწყოს აკადემიკოსობის კანდიდატთა შერჩევა, თუ სხდომას ეს-წრება განყოფილების აკადემიკოსთა სიითი შემადგენლობის სულ მცირე სამი მეხუთედი; წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატთა შერჩევა – თუ შერჩევას ეს-წრება ამ განყოფილების აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა სიითი შემადგენლობის სულ მცირე სამი მეხუთედი.

შენიშვნა: განყოფილების წევრთა სიით შემადგენლობაში არ ჩაითვლებიან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები, რომლებიც არჩევნების დროს საზღვარგარეთ იმყოფებიან მივლინებით, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები, რომელთა შესახებ მიღებულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკორი საბჭოს სპეციალური გადაწყვეტილება ჯანმრთელობის მდგრამარეობის გამო შერჩევაში მონაწილეობისაგან მათი განთავისუფლების შესახებ.

51. განყოფილება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრობის კანდიდატებს შეარჩევს ფარული კენჭისყრით.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატებად შერჩეულად ჩაითვლებიან ის პირები, რომლებიც მიიღებენ ამ განყოფილების აკადემიკოსთა სიითი შემადგენლობის ხმათა უმრავლესობას, მაგრამ არანაკლებ სამი მეხუთედისა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატებად შერჩეულად ჩაითვლებიან ის პირები, რომლებიც მიიღებენ ამ განყოფილების აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა სიითი შემადგენლობის ხმათა უმრავლესობას, მაგრამ არანაკლებ სამი მეხუთედისა.

52. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსების არჩევნებისას აკადემიის საერთო კრებაზე ხმის უფლებით სარგებლობები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები, ხოლო წევრ-კორესპონდენტების არჩევნებისას – აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები.

53. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებაზე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსებისა და წევრ-კორესპონდენტების არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით. აკადემიკოსებად არჩეულად ჩაითვლებიან პირები, რომლებიც მიიღებენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსთა სიითი შემადგენლობის ხმათა უმრავლესობას, მაგრამ არანაკლებ სამი მეხუთედისა, ხოლო წევრ-კორესპონდენტები – აკადემიის ნამდვილ წევრთა და წევრ-კორესპონდენტთა სიითი შემადგენლობის ხმათა უმრავლესობას, მაგრამ არანაკლებ სამი მეხუთედისა.

შენიშვნა: სიით შემადგენლობაში არ ჩაითვლებიან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები, რომლებიც არჩევნების დროს საზღვარგარეთ იმყოფებიან მივლინებით, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი და წევრ-კორესპონდენტები, რომელთა შესახებ მიღებულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს სპეციალური გადაწყვეტილება ჯანმრთელობის მდგრმარეობის გამო არჩევნებში მონაწილეობისაგან მათი განთავისუფლების შესახებ.

54. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსთა და უცხოელ წევრად ასარჩევ კანდიდატს აკადემიური საბჭოს მიერ დაწესებულ ვაკანსიებზე წამოაყენებს აკადემიის პრეზიდენტი.

55. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრს ღია კენჭისყრით ირჩევს აკა-

დემიური საბჭო ხმათა უმრავლესობით და ღია კენჭისყრით ამტკიცებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება.

56. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსს ღია კენჭისყრით ირჩევს აკადემიური საბჭო ხმათა უმრავლესობით და ამტკიცებს ღია კენჭისყრით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება.

XI. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის და წევრ-კორესპონდენტის სტატუსი

57. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი და წევრ-კორესპონდენტი შეიძლება ხელმძღვანელობდეს უმნიშვნელოვანესი მეცნიერული პრობლემის კვლევას ან მონაწილეობდეს მის შესრულებაში.

58. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები არიან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთ-ერთი განყოფილების წევრები; მათ შეუძლიათ გადავიდნენ ერთი განყოფილებიდან მეორეში იმ შემთხვევაში, თუ ამაზე თანხმობას განაცხადებს მეორე განყოფილების წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

59. ერთ განყოფილებაში შემავალ აკადემიკოსსა თუ წევრ-კორესპონდენტს, მეორე განყოფილების წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის თანხმობით, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მეორე განყოფილების მუშაობაში და ისარგებლოს ამ განყოფილების წევრის ყველა უფლებით, გარდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა შერჩევისას ხმის უფლებით.

60. აკადემიის წევრს უფლება აქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოსა და იმ განყოფილებაში, რომელშიც იგი შედის, განსახილველად შეიტანოს სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საკითხები, აგრეთვე გამოიტანოს ასეთი საკითხები აკადემიის საერთო კრებაზე განსახილველად.

61. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, დარგობრივ კომისიაზე განხილვის შემდეგ, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესაბამის განყოფილებას ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

XII. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრის ანაზღაურება

62. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს – აკადემიკოსს მოელი სიცოცხლის განმავლობაში ენიშნება ანაზღაურება თვეში არანაკლებ 1600 ლარის ოდენობით.

63. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს მოელი სიცოცხლის განმავლობაში ენიშნება ანაზღაურება თვეში არანაკლებ 1000 ლარის ოდენობით.

64. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრის ანაზღაურება გაიცემა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

65. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს ან წევრ-კორესპონდენტს 62-ე და 63-ე პუნქტებით გათვალისწინებული ანაზღაურება შეუწყდება საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შემთხვევაში.

66. 62-ე და 63-ე პუნქტებით გათვალისწინებული ანაზღაურება არის აკადემიის წევრის სამეცნიერო სტატუსის შესაბამისი ანაზღაურება.

XIII. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქონება

67. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით სარგებლობს შესაბამისი ქონებით, რომელიც მას გადმოცემული აქვს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

XIV. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაფინანსება

68. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. აკადემიისათვის გამოყოფილი სახსრები ცალკე აისახება კანონში „საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

69. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაფინანსების დამატებითი წყაროებია:

- ა) სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერი სახელმწიფო და კერძო, მათ შორის, საერთაშორისო და უცხო ქვეყნების ფონდები;
- ბ) გრანტები და ხელშეკრულებების შესრულებით მიღებული შემოსავლები;
- გ) სამეცნიერო-საგამომცემლო საქმიანობის რეალიზაციიდან შემოსავლები (მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული);

- დ) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე
ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ფულა-
დი სახსრები;
- ე) აკადემიის ამოცანებთან დაკავშირებული და სა-
ქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წე-
სით განხორციელებული სხვა, მათ შორის,
დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა.

XV. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი

70. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკა-
დემიის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს ახორ-
ციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობით დადგე-
ნილი წესით.

XVI. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წესდების შეცვლის წესი

71. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკა-
დემიის წესდების შეცვლა ხდება საქართველოს მეცნი-
ერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრების გა-
დაწყვეტილებით, რომელსაც ხმა უნდა მისცეს აკადე-
მიის წევრთა სიითი შემადგენლობის სულ მცირე სამ-
მა მეხუთედმა.

შ ე ს ა გ ა ლ ი

საქართველოს პოლიტიკას მეცნიერებისა და ტექნიკური განვითარების სფეროში განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“, საქართველოს კანონი „მეცნიერების, ტექნიკური განვითარებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ და სხვა ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც მეცნიერებისა და ტექნიკური განვითარების ხელშეწყობას ეხება.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით მესამე წელია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები ჩამოყალიბდნენ საჯარო სამართლის ოურიდიულ პირებად (სსიპ), რის საფუძველზეც გამოყვანილ იქნენ აკადემიის შემადგენლობიდან.

ზემოთ მითითებული კანონების საფუძველზე, საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებული გახდნენ სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიშები განსახილველად წარუდგინონ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას.

ცნობილია, რომ ფუნდამენტური და უმნიშვნელოვანესი გამოყენებითი კვლევები საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელ მდგრენელს წარმოადგენს. მეცნიერება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საფუძველია, ხოლო საქართველოს ეროვნული სტრატეგიული პიორიტეტების უზრუნველყოფა გულისხმობს მოსახლეობის ცხოვრების პირობების ამაღ-

ლებას, ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების, განათლების, კულტურის ხელშეწყობას, თავდაცვისა და ქვეყნის უსაფრთხოების გაძლიერებას.

2008 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 2007 წლის სამეცნიერო ანგარიშები წარმოადგინა 67-მა სამეცნიერო-კვლევითმა და 12-მა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ.

აკადემიის სამეცნიერო განყოფილებათა რეკომენდაციით სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ანგარიშები ექსპერტიზისათვის გადაეგზავნა 78 მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტს, მათ შორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 32 წევრს. რაც შეეხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მათი ანგარიშები შეაფასა 72-მა ექსპერტმა. აქედან 23 საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრია. შეფასების მასალები გადაეგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მეცნიერების განვითარების ეროვნულ ფონდებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრების მიერ მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებაში შეტანილ წვლილზე ნაწილობრივ წარმოდგენას გვაძლევს მათი საქმიანობის შედეგები 2006, 2007 და 2008 წლებში (იხ. ცხრილი №1).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2008 წლის ანგარიშში წარმოდგენილია აკადემიის წევრების მიერ შესრულებული სამუშაოების ანოტაციები და აკადემიაში შემავალი სტრუქტურული ერთგულების საქმიანობის ამსახველი მასალები.

ცხრილი 1

მონაცემები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრთა სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ

№	სამეცნიერო განყოფილების დასახელება	აკადემიის წევრთა რაოდენობა					
		2006 წ.			2007 წ.		
		საეჭ.	გამო-	შემოწმების	საეჭ.	გამო-	შემოწმების
1.	მათემატიკისა და ფიზიკის	20	12	8	20	12	8
2.	დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა	6	2	4	6	2	4
3.	გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების	14	5	9	13	5	8
4.	ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების	11	8	3	11	8	3
5.	ბიოლოგიურ მეცნიერებათა	16	6	10	13	5	8
6.	ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის	12	9	3	11	9	2
7.	სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა	7	3	4	7	3	4
8.	საზოგადოებრივ მეცნიერებათა	14	7	7	14	7	7
9.	ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების	16	6	10	14	5	9
10.	ჯ ა მ ი	116	58	58	109	56	53

			გამოცემულ ან გამოსაცემად გადაცემულ მონიგრაფიათა რაოდენობა						გამოცემულ ან რედაქციების მიერ გამოსაცემად მიღებულ სამეცნიერო სტატიათა რაოდენობა					
2008 წ.			2006 წ.	2007 წ.	2008 წ.	2006 წ.			2007 წ.			2008 წ.		
სერია	ავტორი	სახელ-გვარი	სერია	ავტორი	სერია	ავტორი	სერია	ავტორი	სერია	ავტორი	სერია	ავტორი	სერია	ავტორი
20	12	8	3	1	1	1	3	1	45	31	44	20	59	42
6	2	4	4	1	1	-	-	-	8	2	12	5	23	4
13	5	8	3	-	3	-	4	2	21	10	36	16	20	2
9	6	3	5	-	2	-	3	-	12	9	43	13	44	16
13	5	8	2	2	1	-	4	-	28	10	29	10	25	9
10	9	1	3	-	2	-	2	-	42	13	35	28	25	11
7	3	4	4	1	7	1	-	-	18	11	41	13	31	15
15	7	8	23	4	8	2	15	1	28	13	48	10	73	22
12	4	8	10	3	4	-	7	-	8	-	16	-	19	2
105	53	52	57	12	29	4	38	4	210	99	304	114	318	123

№	მიღებული გრანტები						სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში მონაწილეობა					
	2006 წ.		2007 წ.		2008 წ.		2006 წ.		2007 წ.		2008 წ.	
	სულ	გ.მ.უცხოველი	სულ	გ.მ.უცხოველი	სულ	გ.მ.უცხოველი	სულ	გ.მ.უცხოველი	სულ	გ.მ.უცხოველი	სულ	გ.მ.უცხოველი
1.	24	13	18	10	16	6	15	14	23	19	21	19
2.	2	1	7	5	4	1	-	-	4	4	5	5
3.	3	2	1	1	1	-	10	6	10	5	5	3
4.	7	5	4	1	5	4	5	5	9	6	12	5
5.	11	7	5	5	11	6	4	4	11	8	4	4
6.	4	4	1	1	1	1	21	13	9	9	17	12
7.	5	3	4	2	-	-	4	4	7	3	12	5
8.	2	-	4	1	4	1	11	2	18	8	23	10
9.	4	1	2	2	7	4	6	2	7	1	6	3
10.	62	36	46	29	49	23	76	50	98	63	105	66

	სსიპ – სამეცნიერო დაწესებულებების შესაფასებლად შემოსული სამეცნიერო ანგარიშების რაოდენობა			გამოგონებაზე მოპოვებული პატენტების რაოდენობა		
Nº	2006 წ.	2007 წ.	2008 წ.	2006 წ.	2007 წ.	2008 წ.
1.	6	5	5	-	-	-
2.	8	8	7	-	-	-
3.	7	9	9	1	5	3
4.	5	4	4	4	7	2
5.	7	6	4	-	-	-
6.	5	5	3	-	-	-
7.	17	17	4	2	2	4
8.	10	9	8	-	-	-
9.	4	4	4	-	-	-
10.	69	67	48	7	14	9

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება

2008 წლის 11, 19 ივნისს დ 4 ივლისს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრების სხდომები, რომლებიც მიეძღვნა აკადემიის ხელმძღვანელობის არჩევას და აკადემიის ძირითადი სტრუქტურული ერთეულების – სამეცნიერო განყოფილებების ჩამოყალიბებას.

11 ივნისის სხდომაზე საერთო კრებამ დაამტკიცა:

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2007 წლის მუშაობის ანგარიში,
2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წესდება,
3. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის არჩევის დროებითი დებულება.

საერთო კრებამ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარება გადაწყვიტა 2008 წლის 19 ივნისის საერთო კრების სხდომაზე.

19 ივნისის სხდომაზე აკადემიკოსმა ო.ნათიშვილმა საერთო კრებას მოახსენა, რომ აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობაზე ასარჩევად აკადემიის 27-მა წევრმა წამოაყენა აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის კანდიდატურა. აღნიშნულ წინადადებას მხარი დაუჭირეს აკად. რ.მეტრეველმა, აკად. მ.ლორთქიფანიძემ, აკად. წევრ-კორ. ვ.პაპავამ და აკად. ო.ნათიშვილმა.

აკადემიის მომავალი გეგმების შესახებ სიტყვა წარმოთქვა აკად. თ.გამყრელიძემ (იხ. გვ. 48).

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩეულ იქნა აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე.

19 ივნისის სხდომაზე საერთო კრებამ დაამტკიცა აკად. თ.გამყრელიძის მიერ წარმოდგენილი აკადემიის აკადემიური საბჭოს არჩევის დროებითი დებულება. აკად. თ.გამყრელიძემ საერთო კრებას აკადემიის ვიცეპრეზიდენტების თანამდებობებზე ასარჩევად წარუდგინა აკადემიკოსების ფრიდონ თოდუას, გურამ ხარაგიშვილისა და გურამ თევზაძის კანდიდატურები, ხოლო აკადემიის აკადემიკოს-მდივნის თანამდებობაზე – აკადემიკოს ოთარ ნათიშვილის კანდიდატურა. საერთო კრებამ დასახელებული კანდიდატურები აირჩია ფარული კენჭისყრით.

აკად. თ.გამყრელიძემ საერთო კრებას მოახსენა აკადემიის ძირითადი სტრუქტურის – სამეცნიერო განყოფილებების ჩამოყალიბების შესახებ. დამტკიცდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემდეგი სამეცნიერო განყოფილებები:

1. მათემატიკისა და ფიზიკის;
2. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა;
3. გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების;
4. ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების;
5. ბიოლოგიურ მეცნიერებათა;
6. ფიზიოლოგიისა და მედიცინის;
7. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა;
8. საზოგადოებრივ მეცნიერებათა;
9. ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების.

2008 წლის 4 ივლისის სხდომაზე აკად. თ.გამყრელიძემ დაასახელა აკადემიური საბჭოს წევრების კანდიდატურები. საერთო კრებამ ფარული კენჭისყრით აკადემიური საბჭოს წევრებად აირჩია: აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე – მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივნი, აკადემიკოსი ერეკლე გამყრელიძე – დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნი, აკადემიკოსი მინ-

დია სალუქვაძე – გამოყენებითი მექანიკის, მანქანათ-მშენებლობისა და მართვის პრეცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გივი ცინცაძე – ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე – ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ოქნის ონიანი – ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი – საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გუჩა კვარაცხელია – ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკდემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი, აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი, აკადემიკოსი გიორგი ხარაძე.

16 დეკემბერს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრების სხდომა.

საერთო კრებამ პირველ საკითხად განიხილა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ საპატიო წევრად მსოფლიო პატრიარქის, ყოვლად უწმიდესის ბართოლომეოს I-ის დამტკიცების საკითხი. საერთო კრებას ესწრებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II. აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. თბ.გამყრელიძემ თავის გამოსვლაში დაახასიათა უწმიდესი ბართოლომეოს I როგორც ქრისტიანული სამყაროს უმნიშვნელოვანესი მოღვაწე. მან, აგრეთვე, მიულოცა უწმიდესა და უნეტარესს ილია II-ს აღსაყდრების 31-ე და დაბადების 76-ე წლისთავი. საერთო კრებამ ერთსულოვნად დაამტკიცა უწმიდესი ბართოლომეოს I საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ საპატიო წევრად. საერთო

კრებას სიტყვით მიმართა უწმიდესმა და უნეტარესმა იღლია II-გ.

საერთო კრებამ დაამტკიცა ცვლილებები საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წესდების 22-ე, 27-ე, 35-ე და 37-ე მუხლებში.

საერთო კრებაზე საიუბილეო თარიღები მიულოცეს და ადრესები გადასცეს: აკად. ნოდარ ყიფშიძეს დაბადებიდან 85 წლისთავთან დაკავშირებით, აკად. დაგიო მუსეელიშვილსა და აკად. წევრ-კორ. გოგი თოთიბაძეს დაბადებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით.

საერთო კრებაზე პრემიები და დიპლომები გადასცეს გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი პრემიების ლაურეატებს (იხ. გვ. 44).

საერთო კრების სხდომის ბოლოს გაიმართა დარაყიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატების ანზორ ერქომაიშვილისა და ვახტანგ როდონაიას წიგნის – „ქართული ხალხური სიმღერა. პირველი ფონოჩანაწერები (1901-1914 წწ.)“ პრეზენტაცია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო

2008 წლს შედგა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს 14 სხდომა.

2008 წლის 1 თებერვალს აკადემიური საბჭოს სხდომაზე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა აკად. თ.გამყრელიძემ აკადემიური საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს აპარატის თანამშრომლებს გააცნო „საქართველოს კანონი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“, რომელიც საქართვე

ლოს პარლამენტმა დაამტკიცა 2007 წლის 14 დეკემბერს.

აკად. თბილისიძემ აკადემიური საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დროებითი სტრუქტურა. აკადემიის აკადემიურ საბჭოს დაევალა 5 თვის ვადაში „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წესდების“ მომზადება და აკადემიის საერთო კრებისათვის წარდგენა, ხოლო აკადემიის წესდების მიღებიდან 3 თვის ვადაში – აკადემიის საერთო კრების ჩატარება აკადემიური საბჭოს შემადგენლობის შესარჩევად და დასამტკიცებლად.

22 თებერვალს აკადემიურმა საბჭომ მოიწონა პროექტი „საქართველოს პოლიტიკა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში (2015 წლამდე და შემდგომი პერიოდისათვის)“, რომელიც მომზადდა საქართველოს კანონის „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად და შემდგომი მსვლელობისათვის გადაეცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

აკადემიურმა საბჭომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წესდების შემმუშავებელი კომისიის თავმჯდომარეობა დაავალა აკად. ონათოშვილს, ხოლო კომისიაში შეიყვანა ახალი წევრები.

აკადემიური საბჭოს სხდომებზე მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები:

– ისტ.მეცნ.დოქტ. გ.ანჩაბაძე – „ქვევის ტრადიციული ნორმები კავკასიაში ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს“ (7 მარტი).

– აკად.წევრ-კორ. თ.ურუშაძე – „საქართველოში ომით გამოწვეული ეკოლოგიური აგრესია: ფაქტები, პროგნოზები“ (3 ოქტომბერი).

— ტექნ.მეცნ.დოქტ. ლ.მახვილაძე — „სამშენებლო მეცნიერების განვითარების პრიორიტეტები და პროგრესული ტექნოლოგიების როლი აღმშენებლობის პროცესში“ (14 წლის მიზანით).

აკადემიური საბჭოს წინადადებები აღნიშნულ მოხსენებებთან დაკავშირებით წარედგინა საქართველოს მთავრობასა და ცალკეულ სამინისტროებს.

21 მარტს აკადემიური საბჭოს სხდომაზე მოხსენილ იქნა საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლის მეცნიერების დარგში აღღონდაძის მოხსენება „საქართველოში მეცნიერების პოლიტიკის შეფასება ეუთოს ექსპერტთა მიერ“.

ამავე სხდომაზე დამტკიცდა გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი პრემიების ნუსხა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი პრემიების ნუსხა

1. ივანე თარხნიშვილის სახელობის პრემია – ბიოლოგიისა და მედიცინის დარგში (1945 წლიდან, 3000 ლარი);

2. სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია – ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგში (1947 წლიდან, 3000 ლარი);

3. პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემია – ქიმიისა და ფიზიკის დარგში (1950 წლიდან, 5000 ლარი);

4. გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია – ტექნიკისა დარგში (1973 წლიდან, 3000 ლარი);

5. ანდრია რაზმაძის სახელობის პრემია – მათემატიკის დარგში (1975 წლიდან, 3000 ლარი);

6. ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის პრემია – მათემატიკის, მექანიკისა და ფიზიკის დარგში (1977 წლიდან, 5000 ლარი);

7. იღია ვეკუას სახელობის პრემია – მათემატიკის, მექანიკისა და ფიზიკის დარგში (1978 წლიდან, 3000 ლარი);
8. ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემია – ფიზიოლოგიის დარგში (1979 წლიდან, 3000 ლარი);
9. კორნელი კეკელიძის სახელობის პრემია – ძველი ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის დარგში (1979 წლიდან, 3000 ლარი);
10. გიორგი წერეთლის სახელობის პრემია – ადმოსავლეთმცოდნეობის დარგში (1979 წლიდან, 3000 ლარი);
11. ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის პრემია – გეოლოგიის დარგში (1979 წლიდან, 3000 ლარი);
12. ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის პრემია – საქართველოს მინერალური ნედლეულის გეოლოგისა და ტექნოლოგიის დარგში (1981 წლიდან, 3000 ლარი);
13. დიმიტრი უზნაძის სახელობის პრემია – ფსიქოლოგიის დარგში (1986 წლიდან, 3000 ლარი);
14. არნოლდ ჩიქობავას სახელობის პრემია – ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების დარგში (1988 წლიდან, 3000 ლარი);
15. სერგი დურმიშიძის სახელობის პრემია – ბიოქიმიის დარგში (1991 წლიდან, 3000 ლარი);
16. პეტრე ქომეთიანის სახელობის პრემია – ბიოქიმიის დარგში (2000 წლიდან, 3000 ლარი);
17. ევგენი ხარაძის სახელობის პრემია – ასტროფიზიკის დარგში (2007 წლიდან, 3000 ლარი);
18. ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია – საქართველოს ისტორიის, ფილოლოგიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგში (2008 წლიდან, 5000 ლარი);
19. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის პრემია – ხელოვნებათმცოდნეობის დარგში (2008 წლიდან, 3000 ლარი);

20. გიორგი ახვლედიანის სახელობის პრემია – ზოგადი და ინდოევროპული ენათმეცნიერების დარგში (2008 წლიდან, 3000 ლარი);
21. აკაკი შანიძის სახელობის პრემია – ქართული ენისა და ფილოლოგიის დარგში (2008 წლიდან, 3000 ლარი);
22. ზაზა ფანასკერტელის სახელობის პრემია – მედიცინის დარგში (2008 წლიდან, 3000 ლარი);
23. ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის პრემია – ადამიანის ანატომიის, მორფოლოგიის, ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის დარგში (2008 წლიდან, 3000 ლარი);
24. გრიგოლ მუხაძის სახელობის პრემია – ქორურგიის დარგში (2008 წლიდან, 3000 ლარი);
25. ნიკოლოზ კეცხოველის სახელობის პრემია – ბოტანიკის დარგში (2008 წლიდან, 3000 ლარი);
26. ვარლამ ოოფურიას სახელობის პრემია – ენათმეცნიერების, ქართველური ენების დარგში (2008 წლიდან, 3000 ლარი);
27. ფილიპე გოგიჩაშვილის სახელობის პრემია – ეკონომიკისა და ფილოსოფიის დარგში (2008 წლიდან, 3000 ლარი);
28. შალვა ნუცუბიძის სახელობის პრემია – ფილოსოფიის დარგში (2008 წლიდან, 3000 ლარი);
29. ლიმიტრი არაყიშვილის სახელობის პრემია – ქართული მუსიკისა და მუსიკათმცოდნეობის დარგში (2008 წლიდან, 3000 ლარი);
30. კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პრემია – ქართული მწერლობის დარგში (2008 წლიდან, 3000 ლარი);
31. კირიაკ ზავრიევის სახელობის პრემია – სამშენებლო მექანიკის დარგში (2008 წლიდან, 3000 ლარი);

32. სიმონ ყაუხეჩიშვილის სახელობის პრემია – კლასიკური ფილოლოგიის დარგში (2008 წლიდან, 3000 ლარი);

33. გიორგი ჩიტაიასა და ვერა ბარდაველიძის სახელობის პრემია – ქართული ეთნოლოგიის დარგში (2008 წლიდან, 3000 ლარი);

34. ნიკოლოზ ბერძენიშვილის სახელობის პრემია – საქართველოს ისტორიის დარგში (2008 წლიდან, 3000 ლარი);

35. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემია – ისტორიის, არქეოლოგიის, წყაროთმცოდნეობისა და ხელოვნების დარგში (2008 წლიდან, 3000 ლარი);

36. გიორგი ნიორაძის სახელობის პრემია – არქეოლოგიის დარგში (2008 წლიდან, 3000 ლარი);

37. გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემია – პოეზია (2008 წლიდან, 3000 ლარი);

38. ანა კალანდაძის სახელობის პრემია – პოეზია (2008 წლიდან, 3000 ლარი);

39. ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია – გეოგრაფიის დარგში (2008 წლიდან, 3000 ლარი);

40. თინათინ წერეთლის სახელობის პრემია – სამართალმცოდნეობის დარგში (2008 წლიდან, 3000 ლარი);

41. გიორგი მელიქიშვილის სახელობის პრემია – გველი ისტორიის დარგში (2008 წლიდან, 3000 ლარი);

42. მიხეილ ნოდიას სახელობის პრემია – გეოფიზიკის დარგში (2008 წლიდან, 3000 ლარი).

დადგინდა, რომ თითოეული პრემია გაიცეს 4 წელიწადში ერთხელ.

საქართველოს კანონის „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის“ მე-4 მუხლის შესაბამისად აკადემიაში შეიქმნა დროებითი დარგობრივი კომისიები და დამტკიცდა კომისიების შემადგენლობა.

6 მაისს აკადემიურმა საბჭომ მოიწონა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2007 წლის ანგარიში და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წესდების პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებას.

აკადემიურმა საბჭომ განსაზღვრა 2008 წელს მისანიჭებული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელობითი პრემიების ჩამონათვალი და გამოაცხადა კონკურსი მათ მოსაპოვებლად.

აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დებულება და საბჭოს შემადგენლობა: 1. აკად. თ.გამყრელიძე (თავმჯდომარე), 2. აკად. რ.მეტრეველი (თავმჯდომარის მოადგილე), 3. ტექნ.მეცნ.დოქტ. ლ.მგალობლიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), 4. აკად. ფ.თოდუა, 5. აკად. გ.თევზაძე, 6. აკად. გ.ხარატიშვილი, 7. აკად. ონათიშვილი.

9 ივნისს აკადემიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრების 2008 წლის 11 ივნისს მოწვევის შესახებ.

8 ივლისს აკადემიურმა საბჭომ მოისმინა საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ) – სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების 2007 წლის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების შედეგები.

„მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (2005 წლის 23 დეკემბერი) და საქართველოს კანონის „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ (2007 წლის 14 დეკემბერი) თანახმად 67-მა სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებამ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას განსახილველად და შესაფასებლად წარუდგინა.

ნა 2007 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშები. აკადემიის სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურმა წარმოდგენილი ანგარიშები სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად გადასცა 11 დროებით დარგობრივ კომისიას, რომლებმაც ანგარიშების შესაფასებლად გამოყვეს მეცნიერ-რეცენზენტები. რეცენზირების საფუძველზე 66 სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობა აკადემიის დროებითი დარგობრივი კომისიების მიერ შეფასდა დადებითად, ხოლო აღექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიური ინსტიტუტის – უარყოფითად.

საქართველოს კანონით „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ აკადემიას ევალება, აგრეთვე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიშების განხილვა და შეფასება. 2008 წელს აკადემიამ განიხილა და შეფასა საქართველოს 12 სახელმწიფო უნივერსიტეტის 2007 წლის სამეცნიერო ანგარიშები. სულ შეფასდა უნივერსიტეტების ფაკულტეტების, ინსტიტუტების, დეპარტამენტების, კათედრების, ცენტრების და სხვა სამეცნიერო დანაყოფების 110 სამეცნიერო ანგარიში. 94-მა ანგარიშმა მიიღო დადებითი შეფასება, ხოლო 5-მა უარყოფითი. 11 სამეცნიერო ანგარიში ვერ შეფასდა მათი არასრულყოფილების გამო.

აკადემიურმა საბჭომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2008 წლის სახელობითი პრემიების მინიჭებასთან დაკავშირებით დაამტკიცა საექსპერტო კომისიები.

აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შინაგანაწესი და აკადემიის მინისტამბის დებულება.

2008 წლის 12 აგვისტოს გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიმართვა რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის წინააღმდეგ.

*სრულიად ევროპის აკადემიათა ასოციაციას,
ამსტერდამი, მეცნიერებათა აკადემიების
საერთაშორისო ასოციაციას, კიევი*

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიმართვა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, როგორც ადნიშნულ სამეცნიერო ასოციაციათა სრულუფლებიანი წევრი, გატყობინებთ, რომ დღეს ჩვენი სამშობლო საქართველო განსაცდელშია: საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იბომბება ქალაქები და სოფლები, იდუპება მშვიდობიანი მოსახლეობა, არავისთვის ადარაა საეჭვო, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ძალ-დონეს არ იშურებს სამხედრო მანქანის ფართო მასშტაბიან გამოყენებაში, აწარმოებს მასირებულ საინფორმაციო შეტევას საქართველოზე, მის სამართლიან ბრძოლაზე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის.

ჩვენ მივმართავთ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მეცნიერებს, ჩვენს კოლეგებს საზღვარგარეთ, ხმა აღიმაღლონ საქართველოზე განხორციელებული სამხედრო აგრესიის წინააღმდეგ.

განსაკუთრებით გვინდა მივმართოთ ჩვენს რუს კოლეგებს, რათა თანადგომა გაგვიწიონ სამართლიან ბრძოლაში ჩვენი დამოუკიდებელი ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვაში; ყოველი სადაცო საკითხი უნდა გადაწყდეს ცივილიზებული გზით, მხოლოდ მოლაპარაკების მაგიდასთან.

*საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია*

18 აგვისტოს აკადემიურმა საბჭომ მხარი დაუჭირა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

პრეზიდენტის აკად. თ.გამყრელიძის წინადადებას, რომ აკადემიის წევრების 2008 წლის აგვისტოს თვის აკადემიური სარგოს ნახევარი, მათი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, გადარიცხულიყო დევნილთა დახმარების ფონდში.

3 ოქტომბერს აკადემიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრებსა და პრეზიდენტის მოადგილეს შორის მოვალეობათა განაწილების შესახებ.

აკადემიური საბჭოს მიერ მოწონებულ იქნა „დარგების მიხედვით წლის საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების გამოვლენის მეთოდიკა“.

2008 წლს წარმოდგენილი ნაშრომებისათვის გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი პრემიები მიენიჭათ:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია ავტორთა კოლექტივს: აკადემიკოს დავით მუსხელიშვილს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებს: დევი ბერძენიშვილს (გარდაცვალების შემდეგ), ჯონდო გვასალიას (გარდაცვალების შემდეგ), იური სიხარულიძეს; ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს ზურაბ ცინცაძეს; თენგიზ თოდრიას (გარდაცვალების შემდეგ), ავთანდილ თოდრიას და მალხაზ ფუტკარაძეს ნაშრომისათვის „საქართველოს ისტორიის ატლასი“;

2. ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის პრემია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს ალექსანდრე ხარაზიშვილს ნაშრომთა ციკლისათვის: „აბსტრაქტული ანალიზის, ზომის თეორიისა და კომბინატორული გეომეტრიის პრობლემები“;

3. არნოლდ ჩიქობავას სახელობის პრემია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ვაჟა შენგელიას ნაშრომისათვის: „ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი“;

4. ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის პრემია აკადემიკოს ერეკლე გამყრელიძესა და აკადემიის

წევრ-კორესპონდენტს დავით შენგელიას მონოგრაფიისათვის: „კამბრიულის წინაპალეოზური რეგიონალური მეტამორფიზმი, გრანიტოიდული მაგმატიზმი და კავკასიის გეოდინამიკა“;

5. სიმონ ყაუხებიშვილის სახელობის პრემია აკადემიკოს თინათინ ყაუხებიშვილს ნაშრომისათვის: „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი“;

6. ზაზა ფანასკერტელის სახელობის პრემია აკადემიკოს ფრიდონ თოდუას, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებს რომან შაქარიშვილსა და დუდანა გაჩეჩილაძეს მონოგრაფიისათვის: „ცერებროვასკულურ პათოლოგიათა არაინვაზიური სხივური დიაგნოსტიკა“;

7. ევგენი ხარაძის სახელობის პრემია ფილოსოფიის დოქტორს ალექსანდრე თევზაძეს შრომათა ციკლისათვის: „ტურბულენტური და კოპერენტული პროცესები ასტროფიზიკურ დისკებში“;

8. დიმიტრი არაყიშვილის სახელობის პრემია ანზორ ერქომაიშვილსა და ვახტანგ როდონაიას ნაშრომისათვის: „ქართული ხალხური სიმღერა. პირველი ფონოჩანაწერები (1901-1914)“;

9. ფილიპე გოგიაშვილის სახელობის პრემია აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ვლადიმერ პაპავას ნაშრომისათვის: „ნეკროეგონომიკა. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიკა“.

2007 წლის საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების წოდების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სიით დამტკიცებული 66 სსიპ – სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებიდან 60-მა. აკადემიის აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა სამეცნიერო განყოფილებების გადაწყვეტილებები და დარგების მიხედვით საუკეთესო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებად აღიარა:

მათემატიკისა და ფიზიკის დარგებში – ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი;

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა დარგებში – მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი;

მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების დარგებში – კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი;

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების დარგებში – იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი;

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დარგებში – სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი;

ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგებში – ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი;

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დარგებში – მებადეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი;

საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებში – სავალე წერილის ფილოსოფიის ინსტიტუტი;

ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში – შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქართული ენციკლოპედიის ირ.აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნიერო რედაქციის დებულება და მთავარ რედაქტორად დანიშნა პოლიტოლ.მეცნ.დოქტ. ზ.აბაშიძე.

აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა სამეცნიერო განყოფილებებთან შექმნილი დარგობრივი კომისიები, სამეცნიერო განყოფილებებში ფარული კენჭისყრით არჩეული ბიუროების შემადგენლობები და განყოფილებათა სწავლული მდივნები.

18 დეკემბრის აკადემიური საბჭოს სხდომაზე მოსმენილ იქნა მებადეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის დირექტორის, ბიოლ. მეცნ.დოქტ. ო.დე-კანოსიძის მოხსენება „მებადეობის, მევენახეობისა და

მედვინეობის ინსტიტუტი – ინსტიტუციური რეფორმის ობიექტი და მოდელი“.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები, მათ შორის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ბ.კვეზერელი, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ა.გეგენავა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე ზ.გამცემლიძე.

აღინიშნა მებალეობის, მევენახეობისა და მედვინეობის ინსტიტუტში მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ფარგლებში გატარებული ინსტიტუციური რეფორმის მაღალი ეფექტურობა და მისი მზადეოფნა ტექნიკურ-ფინანსური მხარდაჭერა აღმოფხინოს ინსტიტუტს, რათა ეტაპობრივად განხორციელდეს მისი თვითდაფინანსებაზე გადასვლის მოდელის ამოქმედება.

ეთხოვა საქართველოს მთავრობას:

ა) განიხილოს მებალეობის, მევენახეობისა და მედვინეობის ინსტიტუტისათვის ეროვნული სტატუსის მინიჭების საკითხი;

ბ) აღიარებულ იქნეს ვაზისა და ხეხილის გენოფონდი „ეროვნულ საგანძურად“.

ეთხოვა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებალეობაში, მევენახეობასა და მედვინეობაში დასახოს მიზნობრივი პროგრამები და გამოყოს საკონკურსო გრანტები, რაც ხელს შეუწყობს ამ დარგებში კვლევის შედეგების კომერციალიზაციას და შექმნის საფუძველს ქვეყანაში პრიორიტეტული დარგების განვითარებისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებამ 19 ივნისს აკადემიის პრეზიდენტიად ახალი ვადით აირჩია აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე. აკად. თ.გამყრელიძე საერთო კრების სხდომაზე გამოვიდა საპრეზიდენტო პროგრამით.

აკადემიის საპრეზიდენტო პროგრამა

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უპირველესი და უმაღლესი ამოცანაა ჩვენი მეცნიერების განვითარებაზე ზრუნვა, ქართული მეცნიერებისათვის დამახასიათებელი მაღალი საერთაშორისო დონის შენარჩუნება და მისი მომავალი მიღწევების უზრუნველყოფა.

2. ამ მიზნის განსახორციელებლად აუცილებელია მეცნიერების საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდა საზოგადოდ და, შესაბამისად, მეცნიერ მუშაკთა ხელფასების მკეთრი ზრდა, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის მეცნიერებაში მოზიდვას და შეწყვეტს მეცნიერ მუშაკთა უცხოეთში გადინებას: მაღალი ანაზღაურება უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ ჩვენი აკადემიის წევრებს – რაც ახლა უკვე კანონით არის უზრუნველყოფილი – არამედ რიგით მეცნიერ მუშაკებსაც.

3. ამ პრობლემასთან დაკავშირებულია უშუალოდ ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო ხარისხების საკითხი, მათი მეცნიერული მომზადების საკითხი საზოგადოდ.

მიზანშეწონილად მიგვაჩინია „აკადემიური დოქტორის“ – PhD – ხარისხის გვერდით (რაც არსებითად სწავლის დამასრულებელი ეტაპის დამადასტურებელი

ხარისხია), ჩვენი აკადემიის სისტემაში დავაწესოთ „მეცნიერებათა დოქტორის“ სამეცნიერო ხარისხი, რომელიც მიენიჭება ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკს გარკვეული სამეცნიერო-დაცვითი პროცედურის გავლის შედეგად; „მეცნიერებათა დოქტორის“ ხარისხის მფლობელს მეტი შანსი უნდა მიეცეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში წევრად არჩევისა, შედარებით იმ მეცნიერ მუშაკთან, ვინც არ ფლობს აღნიშნულ ხარისხს.

4. ჩვენი აკადემიის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა იყო კანონის მიღება მეცნიერებათა აკადემიის შესახებ, რომლის თანახმადაც ჩვენს აკადემიას ეწოდა „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“; ამ კანონმა ჩამოაყალიბა ის პრიციპები, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს თავის საქმიანობაში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. ამ ეტაპზე ჩვენს აკადემიაში წარმოდგენილია ორი სტრუქტურული ერთეული: „ქართული ენციკლოპედია“, რომელიც მნიშვნელოვან სამეცნიერო-საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა, და „გეოგნისტურის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი“, რომელიც ასევე ისტორიული მნიშვნელობის ტექსტოლოგიურ და სალექსიკონო სამუშაოს ასრულებს.

ჩვენი აკადემიის უშუალო ამოცანაა ახლა (და ეს გათვალისწინებულია კანონით აკადემიის შესახებ და აგრეთვე სხვა საკანონმდებლო აქტებით), რომ აკადემიას დაუბრუნდეს, ან აკადემიაში შემოვიდეს, ნებისმიერი სამეცნიერო ინსტიტუტი, ნებისმიერი სამეცნიერო სტრუქტურა, თუკი იგი განაცხადებს ამის სურვილს და თუ მას ამისთვის აკადემიის თანხმობა და სათანადო იურიდიული საფუძველი ექნება; ეს არის ერთგვარი პერსპექტივა იმისა, რომ აკადემიამ დაიბრუნოს ზოგიერთი თეორიული, ფუნდამენტური ხასიათის ინსტიტუტი, თუ იგი მიზანშეწონილად ჩათვლის

ამას და ეს ინსტიტუტები, როგორც აკადემიური სტრუქტურები, ჩაერთვება საერთო აკადემიურ საქმიანობაში. ამჟამად, როგორც ცნობილია, ყველა ეს სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურა (დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტები და ნებისმიერი სხვა კვლევითი სტრუქტურები) ანგარიშვალდებულნი არიან მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წინაშე მხოლოდ სამეცნიერო თვალსაზრისით.

5. მიზანშეწონილად ვთვლით, რომ ჩვენმა აკადემიამ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო გრანტებით შესრულებული სამუშაოების არა მხოლოდ შეფასებაში, არამედ თვით ამ გრანტების განაწილებასა და მინიჭების პროცესშიც.

6. ჩვენ მიგვაჩნია „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“ ჩვენი უძველესი აკადემიების – მე-12 საუკუნეში დაარსებული გელათისა და იყალთოს აკადემიების – მემკვიდრედ და მათი ტრადიციების გამგრძელებლად.

ამით ჩვენ ვაცხადებთ ჩვენს „მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას“ უძველეს სამეცნიერო დაწესებულებად ევროპაში – აქამდე ასეთად ითვლებოდა იტალიური Academia dei Lincei, რომელიც დაარსებულ იქნა 1603 წელს.

ჩვენ ამის შესახებ ოფიციალურად განვაცხადეთ მადრიდში მიმდინარე წლის აპრილში გამართულ „ალეას“ („სრულიად ევროპის მეცნიერებათა აკადემიების“) გენერალურ ასამბლეაზე, რაც სათანადოდ გაფორმდა ასამბლეის აქტებში.

7. „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის“ შემდგომი წარმატებული მუშაობისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების 11 ივნისის სხდომაზე ჩვენს მიერ წარმოდგენილი აკადემიის სტრუქტურის პროექტის განხორციელება, რომლის დამტკიცების შემთხვევაში სა-

ერთო კრების მიერ ჩვენი აკადემია უფრო მყარ საფუძველზე დადგება, რაც საწინდარი იქნება ჩვენი მომავალი წინსვლისა და განვითარების.

ძვირფასო კოლეგებო,

ეს არის მოკლედ ზოგიერთი ჩემი მოსაზრება ჩვენი აკადემიის სამომავლო საქმიანობის თაობაზე და, თუ არჩეულ ვიქნები აკადემიის პრეზიდენტად, მე იმდი მექნება თქვენი – აკადემიის ყველა წევრის – თანადგომისა და დახმარების ჩვენი საერთო საქმის სწორი მიმართულებით წარმართვაში.

გმადლობთ.

2008 წელს აკად. თ.გამყრელიძე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიას წარმოადგენდა შემდეგ საერთაშორისო ღონისძიებებზე:

1. ევროპის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიების ფედერაციის ყოველწლიურ გენერალურ ასამბლეაზე (15-20 აპრილი, მადრიდი, ესპანეთი).

2. ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების საზეიმო სხდომაზე უცხოელი წევრების არჩევასთან დაკავშირებით (13-16 მაისი, ვენა, ავსტრია).

3. სუამის ქვეყნების სამიტზე საქართველოს დელგაციის წევრად (30 ივნისი-1 ივლისი, ბათუმი, საქართველო).

4. ბონის უნივერსიტეტში (ბონი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) და ინდოევროპული ენების შემსწავლელი საზოგადოების XIII საერთაშორისო კონფერენციაზე (16-28 სექტემბერი, ზალცბურგი, ავსტრია).

5. აზიის ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების მე-8 გენერალურ ასამბლეაზე (14-18 ოქტომბერი, ანკარა, თურქეთი).

6. უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაარსებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთო

კრების სესიაზე (30 ნოემბერი-3 დეკემბერი, კიევი, უკრაინა).

გამოქვეყნდა: თ.გამყრელიძე „ენა და ენობრივი ნიშანი“ (სტატიების კრებული, თბილისი, 207 გვ.).

კრებულში წარმოდგენილია სამეცნიერო პერიოდიკაში გამოქვეყნებული სტატიები, რაც საშუალებას იძლევა დაინტერესებულ ქართველ მკითხველს შედარებით სრულად მიეწოდოს ავტორის ლინგვისტური ნააზრევი. კრებულში შესულია, აგრეთვე, სტატიები დიდი ქართველი ენათმეცნიერების აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, არნოლდ ჩიქობავას, გიორგი წერეთლის შესახებ.

ურნალში „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე“ დაიბეჭდა აკად. თ.გამყრელიძის სტატიები:

1. „ინდოევროპული გლობალური თეორია: ახალი პარადიგმა ინდოევროპულ შედარებით ენათმეცნიერებაში“ (გ. II, №1, 140-143, ინგლისურ ენაზე);

2. „ქართველური და ინდოევროპული: რეკონსტრუირებულ სისტემათა ტიპოლოგიური შეპირისპირება“ (გ. II, №2, 154-160, ინგლისურ ენაზე);

3. „ხეთური ლურსმული დამწერლობის წარმოშობის პრობლემა“ (გ. II, №3, 169-174, ინგლისურ ენაზე);

4. „ენათმეცნიერება და კულტურის პალეონტოლოგია“ (გ. II, №4, 146-150, ინგლისურ ენაზე).

აკად. თ.გამყრელიძე ხელმძღვანელობს აკად. გ.წერეთლის სახ. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და „ქართული ენის თეხაურუსნის“ კომიტეტს.

2008 წელს კომიტეტი აგრძელებდა ინტენსიურ მუშაობას „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიურ გამოცემაზე და პოემის პოპულარული გამოცემისათვის მისადაგებულ განმარტებით ლექსიკონზე. საქმიანობის ამ ეტაპზე სარედაქციო კოლეგიამ (პროფ. გ.გარეტოზია, ბ.ბრევგაძე, თ.ცქიტიშვილი, გ.არაბული, პ.მარგველაშვილი), აკადე-

მიკოს თამაზ გამყრელიძის თავმჯდომარეობით გამოსაცემად მოამზადა და საგამომცემლო ჯგუფს „ჯეოექსპანდიშინგს“ დასაბეჭდად გადასცა მასობრივი მკითხველისათვის განკუთვნილი „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტი და მცირე ლექსიკონი (წიგნი იბეჭდება მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამომცემლობა „სეზანში“).

ქართული ენის თესაურუსზე მუშაობა გრძელდებოდა შემდეგი მიმართულებებით:

ა) შემუშავდა სამ წელზე გათვლილი პროექტი სამეცნიერო გრანტის მოსაპოვებლად და წარედგინა საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს;

ბ) გაგრძელდა ლიტერატურული ძეგლების ელექტრონულ ვერსიათა დამუშავება და ბარათებად დაყოფა. საანგარიშო წელს დამუშავდა და ბარათებად დაიყო ადრეული ხანის (V-X სს.) ლიტერატურულ ძეგლთა ელექტრონული ვერსიები (დამუშავებული ვერსიები 2 მილიონამდე სიტყვა-ფორმას შეიცავს);

გ) შემუშავდა მონაცემთა ბაზის ელექტრონული ვერსიის ახალი კონცეფცია და სამუშაო სქემა 4 ძირითადი მიმართულებით: 1) ლიტერატურული წყაროების კლასიფიკაცია; 2) ტექსტების ელექტრონულ ვერსიათა ბარათებად (კონტექსტებად) დაყოფა; 3) სიტყვა-ფორმებისათვის მეთაური სიტყვის მინიჭება; 4) სამუშაოების ტექნოლოგიური უზრუნველყოფა (პროგრამები, ინტერნეტი).

დ) შეიქმნა სპეციალური ინტერნეტ საიტი ბიბლიოგრაფიისათვის (<http://www.sangu.ge/thesaurus/bibliography>), რომლის გამოყენებაც შესაძლებელია, აგრეთვე, ქართულ სამეცნიერო ინტერნეტ ბიბლიოგრაფიის შექმნის მიზნით;

ე) შეიქმნა წინასწარი საძიებო ვერსია „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითზე, რომლის ყოველი ბარათი შეიცავს ცალკეულ სტროფს (<http://www.sangu.ge/language/vt>)

და ბიბლიის სრული ტექსტის მაგალითზე, რომლის ყოველი ბარათი შეიცავს ცალკეულ მუხლს (<http://www.sangu.ge/religion/pmb>). წინასწარი საძიებო სისტემის ინტერნეტში განთავსებული ეს მაგალითები ყველა მსურველისათვის არის ხელმისაწვდომი.

ვ) შეიქმნა სიტყვა-ფორმების მეთაური სიტყვის მისათითებელი ფორმის სამუშაო ვერსია ინტერნეტისათვის (<http://www.sangu.ge/religion/pmb/zindex.php>).

შეხვედრები, საიუბილეო დღეები

8 თებერვალს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნებარესმა ილია II-მ წმინდა სამების ტაძარში მიიწვია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრები მეუღლეებით ურთ და წირვა აღავლინა დავით აღმაშენებლის ხევნების დღისა და ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 90 წლისთავის აღსანიშნავად.

13 თებერვალს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ჩატარდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნებარესის ილია II-სადმი მიძღვნილი აკადემიური საიუბილეო კრებულის საზეიმო პრეზენტაცია. პატრიარქს მიესალმა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკად. თ.გამყრელიძე, სიტყვებით გამოვიდნენ აკად. რ.მეტრეველი, ა.ერქომაიშვილი. სამადლობელო სიტყვით გამოვიდა კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

აკადემიაში აღინიშნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერების ხსოვნისადმი მიძღვნილი იუბილეები: აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 120 წლისთავი; აკადემიკოსების არნოლდ ჩოქობაგას, ნიკოლოზ კა-

ცხოველისა და სერგი ჯიქიას დაბადებიდან 110 წლის-თავი; აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის და აკადემიკოს ირაკლი გვერდწითელის დაბადებიდან 90 წლის-თავი; აკადემიკოს გრიგოლ გიორგაძის დაბადებიდან 80 წლისთავი.

აკადემიაში გაიმართა საიუბილეო სხდომები, მიძღვნილი აკადემიკოსების მარიამ ლორთქიფანიძისა და ოთარ ჯაფარიძის დაბადებიდან 85 წლისთავისადმი, აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის და აკად.წევრ-კორ. ლ.ჩიქავას დაბადებიდან 80 წლისთავისადმი.

დედამიწის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით 18-19 ნოემბერს აკადემიაში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია – „კლიმატი, ბუნებრივი რესურსები, სტიქიური კატასტროფები სამხრეთ კავკასიაში“, მიძღვნილი თბილისის მაგნიტურ-მეტეოროლოგიური ობსერვატორიის 165-ე, მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის დაარსების 75-ე და ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დაარსების 55-ე წლისთავისადმი.

19 დეკემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ქართული ენციკლოპედიის ი.აბაშიძის სახელობის მთავარმა სამეცნიერო რედაქციამ და თიბისი ბანკმა გამართეს წიგნის „ქართული დამწერლობა“ პრეზენტაცია.

26 დეკემბერს შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრში ჩატარდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დამაარსებლის აკადემიკოს ევგენი ხარაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებაში 2009 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო 20 წევრი, მათ შორის 12 აკადემიკოსი და 8 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2008 წელს გამოაქვეყნეს 3 მონოგრაფია და 58 სამეცნიერო სტატია.

მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა

ა) მონოგრაფია

აკად. წევრ-კორ. ენადარაია

„დაკვირვებათა განაწილების კანონის ფუნქციონალური მახასიათებლების არაპარამეტრულ შეფასებათა თეორიის ზოგიერთი ამოცანა” (თსუ გამომცემლობა, 324 გვ., რუსულ ენაზე).

მიღებულია ფუნქციონალური მახასიათებლების არაპარამეტრულ შეფასებათა ინტეგრალური კვადრატული გადახრების ზღვარითი განაწილების ერთიანი მეთოდი. აგებულია სხვადასხვა სახის თანხმობის კრიტერიუმები და ნაჩვენებია მათი უპირატესობა როზენბლატ-ბიკელის და კოლმოგოროვ-სმირნოვის კრიტერიუმებთან გარკვეული კლასის ალტერნატივებისათვის.

ბ) სტატიები

აკად. ნ.გახანია

„პოიას და სკიტოვიჩ-დარმუჟას დახასიათების თეორებებს შორის კავშირის შესახებ” (International Journal of Pure and Applied Mathematics, v. 9, №3, 303-308, ინგლისურ ენაზე).

გაუხის განაწილების დახასიათების თეორემა მიღებული იყო პოიას მიერ ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით. მეორე ტიპის დახასიათების თეორემა დამტკიცებული იყო დარმუასა და სკიტოვიჩის მიერ ანალიზურ ფუნქციათა თეორიის აპარატის გამოყენებით. ნაშრომის მიზანია სკიტოვიჩ-დარმუას თეორემის რედუქცია პოიას თეორემაზე. მოცემულია ასეთი რედუქციის დამტკიცების შესაძლებლობა იმ შემთხვევისათვის, როდესაც ორივე წრფივი ფორმა შეიცავს ორ-ორ შემთხვევით სიდიდეს.

აკად. ხ. ინასარიძე

„კარუბის პიპოთეზა გლუვი K-თეორიისათვის“
(თანაავტორობით; C.R. Acad. Sci. Paris, Ser. I-346, 1129-1132, ფრანგულ ენაზე).

გრძელდებოდა ლოკალურად ამოზნექილი ალგებრების პომოტოპიური თვისებების შესწავლა გლუვი K-ფუნქციორების საშუალებით. დამტკიცებულია გლუვი და ალგებრული K-ფუნქციორების იზომორფიზმი დადებით განზომილებებში პგაზი სტაბილური ფრეშეს ალგებრებისათვის, რითაც დასტურდება კარუბის პიპოთეზა ფრეშეს ალგებრებისათვის.

აკად. ი.კილურაძე

1) „არაწრფივ ოპერატორულ განტოლებათა ამოხსნადობის პირობების შესახებ“ (Mathematical and Computer Modelling 48, №11-12. 1914-1924, ინგლისურ ენაზე).

დამტკიცებულია ზოგადი თეორემა ბანახის სივრცეში არაწრფივი ოპერატორული განტოლების ამოხსნადობის შესახებ (ე.წ. აპრიორული შემოსაზღვრულობის პრინციპი), რის საფუძველზეც დადგენილია დიფერენციალურ განტოლებათა თეორიაში კარგად ცნობილი კონტი-ოპიალის ტიპის თეორემების აბსტრაქტული ანალოგები.

2) „სასაზღვრო ამოცანების ამოხსნადობის შესახებ მაღალი რიგის არაწრფივი პიპერბოლური განტოლებებისათვის” (თანაავტორობით; J. Nonlinear Analysis: Theory, Methods & Applications 69(2008), 1914-1933, ინგლისურ ენაზე).

3) „არალოკალური რეზონანსული ამოცანის შესახებ მეორე რიგის არაწრფივი დიფერენციალური განტოლებებისათვის” (თანაავტორობით; Дифференциальные уравнения 44, №11, 1583-1584, რუსულ ენაზე).

2) და 3) სტატიებში მიღებულია არალოკალურ სასაზღვრო ამოცანათა ამოხსნადობისა და ცალსახად ამოხსნადობის არაგაუმჯობესებადი საკმარისი პირობები მაღალი რიგის პიპერბოლური ტიპის არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი განტოლებებისა და მეორე რიგის არაწრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისათვის.

4) „მაღალი რიგის ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებების პერიოდული ამონასსხების შესახებ” (თანაავტორობით; Boundary Value Problems, ID 389028, 18 pp., ინგლისურ ენაზე).

5) „რეზონანსული პერიოდული ამოცანის შესახებ მაღალი რიგის არაავტომომიური დიფერენციალური განტოლებებისათვის” (Differential Equations 44, №8, 1022-1032, ინგლისურ ენაზე).

6) „ცვლადკოეფიციენტებიანი წრფივი დიფერენციალური განტოლებების პერიოდული ამონასსხების შესახებ” (თანაავტორობით; Дифференциальные уравнения 44, №11, 1580-1581, რუსულ ენაზე).

4), 5) და 6) სტატიებში არაავტომომიური დიფერენციალური და ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებებისათვის, როგორც არარეზონანსულ, ისე რეზონანსულ შემთხვევებში, ნაპოვნია პერიოდული ამო-

ცანის ამოხსნადობისა და კორექტულობის ოპტიმალური პირობები.

7) „ბურლინგ-ბორგის ტიპის თეორემა ორგანზომილებიანი წრფივი დიფერენციალური სისტემებისათვის” (Georgian Math. J. 15, №4, 677-682).

ორგანზომილებიანი წრფივი დიფერენციალური სისტემებისათვის დამტკიცებულია ბურლინგ-ბორგის ტიპის თეორემა არაავტონომიური ამონასსნების კომპონენტების ნულების რაოდენობის ზემოდან შეფასების შესახებ.

აკად. გ. ხარაგიშვილი

1) „მეორე რიგის წრფივი არაერთგვაროვანი ცვლადგომფიციუნტებიანი დიფერენციალური განტოლებების კერძო კლასების ზოგადი ამონასსნების შესახებ” (Journal of Mathematical Sciences, v. 148. №3, 293-301, ინგლისურ ენაზე).

აგებულია ზოგადი ამონასსნის ფორმულა განტოლებისათვის

$$\alpha(t) \frac{d^2x}{dt^2} + \beta(t) \frac{dx}{dt} + \gamma(t)x = f(t), \quad t \in I,$$

ოვე

$$\alpha(t) = a(t)b(t), \quad \beta(t) = a(t) \frac{db(t)}{dt} + q(t)b(t) + a(t)h(t),$$

$$\gamma(t) = a(t) \frac{dh(t)}{dt} + q(t)h(t), \quad t \in I,$$

სადაც a, b, q, h ნებისმიერი დასაშვები ფუნქციებია.

ამ შედეგის საფუძველზე აგებულია ზოგადი ამონასსნების ფორმულები პეინის, გაუსის, ლამეს, ლევანდრის, რიკატის და სხვა განტოლებების კერძო კლასებისათვის.

2) „ამონასსნის ვარიაციის ფორმულები დაგვიანების შემცველი არაწრფივი დიფერენციალური განტოლებისათვის შერეული საწყისი პირობით” (თანაავ-

ტორობით; Journal of Mathematical Sciences, v. 148, №3, 302-330, ინგლისურ ენაზე).

დამტკიცებულია ამონახსნის ვარიაციის ფორმულები ი-ური რიგის არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებთა სისტემისათვის ცვლადი დაგვიანებებით და შერეული საწყისი პირობით:

$$\frac{dx(t)}{dt} = f(t, y(\tau_1(t)), \dots, y(\tau_s(t)), z(\sigma_1(t)), \dots, z(\sigma_m(t))), t_0 \leq t \leq t_1,$$

$$x(t) = (y(t), z(t))^T = (\varphi(t), g(t))^T, t \in [\tau_0, t_0], x(t_0) = (y_0, g(t_0))^T.$$

3) „სუბკანონიკური წრფივი მატრიცული და სკალარული ცვლადების დიფერენციალური განტოლებების ზოგადი ამონახსნები” (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მომბეჭ, ტ. II, №2, 5-12, ინგლისურ ენაზე).

აგებულია ზოგადი ამონახსნის ფორმულა მატრიცული დიფერენციალური განტოლებისათვის

$$\frac{d}{dt} \left(A \frac{dX}{dt} B \right) - aA \frac{dX}{dt} B - \frac{d}{dt} (bAXB) + abAXB = F,$$

სადაც

$$A = (a_j^i(t)), B = (b_j^i(t)), F = (f_j^i(t)) \quad i, j = \overline{1, n}$$

მოცემული n -ური რიგის მატრიცული ფუნქციებია, ხოლო $a = a(t)$, $b = b(t)$, $a_j^i(t)$, $b_j^i(t)$, $f_j^i(t)$, $t \in [t_1, t_2]$ - მოცემული დასაშვები სკალარული ფუნქციები.

ამ შედეგის საფუძველზე მიღებულია ზოგადი ამონახსნების ფორმულები გაუსის, ჰეინის, ლამეს, ლეეანდრის, რიკატის და სხვა განტოლებების კერძო კლასებისათვის.

აკად.წევრ-კორ. გ.კოკილაშვილი

1) „კარლესონის წირებზე განსაზღვრული კალდერონის სინგულარული ოპერატორების შემოსაზღვრულობა ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში“ (სა-

ქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №4, 5-7, ინგლისურ ენაზე).

დადგენილია კალდერონის სინგულარული ოპერატორის შემოსაზღვრულობა ლებეგის ერთი ცვლადმაჩვენებლიანი სივრციდან მეორეში. ნაჩვენებია, რომ აღნიშნული ოპერატორის შემოსაზღვრულობისათვის რიგ შემთხვევებში საინტეგრო წირის რეგულარობა აუცილებელიცაა.

2) „ცალმხრივი ოპერატორები ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში“ (თანაავტორობით; *Mathematische Nachrichten* 281, №11, 1525-1548, ინგლისურ ენაზე).

დადგენილია, რომ ცალმხრივი მაქსიმალური ფუნქციების, სინგულარული ინტეგრალური ოპერატორებისა და პოტენციალების უწყვეტობას ადგილი აქვს ლებეგის სივრცეებში გაცილებით უფრო ფართო კლასის ცვლადი მაჩვენებლებისათვის, ვიდრე ორმხრივი ინტეგრალური ოპერატორების უწყვეტობისთვის არის საჭირო.

3) „კარლესონის წირებზე განსაზღვრული მაქსიმალური ფუნქციების შემოსაზღვრულობა ლებეგის სივრცეებში ცვლადი მაჩვენებლებით“ (*Acta Mathematica Sinica*, 24, №11, 1775-1800, ინგლისურ ენაზე).

სასრული სიგრძის კარლესონის წირებზე განსაზღვრული მაქსიმალური ფუნქციების შემოსაზღვრულობა დადგენილია ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში ოსცილებადი წონებით.

4) „რიმანის პრობლემა კოშის ტიპის ინტეგრალთა კლასებში სიმკვრივით ცვლადმაჩვენებლიან ლებეგის სივრცეებში“ (თანაავტორობით; *Doklady Mathematics* 78, №1, 510-513, ინგლისურ ენაზე).

გამოკვლეულია რიმანის სასაზღვრო ამოცანის ამოხსნადობის საკითხები ანალიზური ფუნქციებისათვის ცვლადმაჩვენებლიან სმირნოვის კლასებში. ამოხსნადობის შემთხვევაში ამონახსნები აგებულია ეფექტურად.

5) „օ. ՎԵՐԱՍ ԳԱՆՑՈՂԱԴԵՑՅՈԼՈ ՏԻԾՑՈԼԱՐՅՈԼՈ ԻՆՑԵՑՐԱԼԵԲՈ ԼԵՑԵՑՈՍ ՎՐԵԿԱՆ ՏԻՎՐՑԵՋԵՑՄՈ“ (Operator Theory: Advances and Applications, 181, 283-293, ոնցլուսյր յեանց).

Ճամբքուցեցնելու, ռոմ օ. ՎԵՐԱՍ ԳԱՆՑՈՂԱԴԵՑՅՈԼ յո՞մուս ԾՈԱՏ օնցեցրալս չամյեծածո Տօմկարովոտ տոտմիուս պայլցան գաահնուա յշտեյրո Տասանցըցրո մեոմշցեցլուցեծու եցելումոյերո գամբոցածո Տանցեցրո Վորուս մեմտեցեցամո. ճադցենուու գանցողադեցյոլո ՏիԾՑՈԼԱՐՅՈԼՈ օնցեցրալյուրո ռէյրաթորուս մեմոսանցըցրյուլուն ա ցոլածմահցեցեցլուան լեցեցուս ՏիՎՐՑԵՋԵՑՄՈ ՎՐԵԿԱՆ յուտ.

6) „ՔԱՐՄՈՆԻՅՈԼՈ ԱՆԱԼՈՒԹՈՒՆՈՒ ՌԵՎՐԱԲՈՐՋԵԲՈ ՎՐԵԿԱՆ ՏԻՎՐՑԵՋԵՑՄՈ ԱՐԱՍԲԱՆԴԱՐԾՅՈԼՈ ԹՐՈԴԱԳՈՒՅՈՒՆՈ ՌՈԳՈՒՄ“ (Եանացթորունուու; Journal Math. Analysis and Appl., doi: 10.1016/j.jmaa, 06.056, ոնցլուսյր յեանց).

Ճամբքուցեցնելու թոցած նաեւըրածութոց ռէյրաբորուա յիշեցրածուու տյուրեմա, ռոմելուց Տամյալյեծան ցածլուց յշտուանած ճացածցունու ՔԱՐՄՈՆԻՅՈԼՈ ԱՆԱԼՈՒԹՈՒՆՈՒ ՌԵՎՐԱԲՈՐՋԵԲՈՍ (ՏիԾՑՈԼԱՐՅՈԼՈ օնցեցրալյու, յշուրույն մյուլունուցուարույն կամացու, յամյեծու մայորանցյու, ձությենցուալյու) մեմոսանցըցրյուլուն ա ցոլածմահցեցեցլուան լեցեցուս ՏիՎՐՑԵՋԵՑՄՈ ՎՐԵԿԱՆ յուտ.

7) „ՄԱՅԻՍՈՄԱԼՅՈՐՈ ՅՇՆԵՑՈՒԵՅՈ ՃԱ ՏԻԾՑՈԼԱՐՅՈԼՈ ՕՆՑԵՑՐԱԼԵԲՈ Ա ՑՈԼԱԾՄԱՀՑԵՆԵՑԼՈՒԱՆ ՄՈՐՈՍ ՏԻՎՐՑԵՋԵՑՄՈ“ (Armenian J. Math. 1, №1, 18-28, ոնցլուսյր յեանց).

Երտցարուան ՏիՎՐՑԵՋԵՑՅԵ ԳԱՆՏԱՆցըցրյուլո մայիսումալյորո յշնեցուեյնուսա ՃԱ ՏիԾՑՈԼԱՐՅՈԼՈ ՌԵՎՐԱԲՈՐՋԵԲՈՍ մեմոսանցըցրյուլուն ա ցոլածու մահցենցեցլուու. մուլյուլո մեժցեցենուան, յերմուա, մուույն կո՞մուս ՏիԾՑՈԼԱՐՅՈԼՈ օնցեց-

რალური ოპერატორის შემოსაზღვრულობა ზემოაღნიშნულ სივრცეებში.

8) „წილადური, მაქსიმალური და ინტეგრალური ოპერატორები ცვლადმაჩვენებლიან ლორენცის სივრცეებში“ (Fract. Calculus and Appl. 11, №4, 407-420, ინგლისურ ენაზე).

შემოდებულია ახალი ფუნქციონალური სივრცე, რომელიც წარმოადგენს ლორენცის სივრცის განზოგადებას ცვლადი მაჩვენებლებისთვის. ამ სივრცეებში წონებით დაგენილია პოტენციალების, მაქსიმალური და სინგულარული ოპერატორებისა და მათი ერგოდული ანალოგების შემოსაზღვრულობა.

9) „მაქსიმალური და პოტენციალური ოპერატორები გაორმაგების პირობის გარეშე კვაზიმეტრიკულ ზომად სივრცეებზე ცვლადმაჩვენებლიან მორის სივრცეებში“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №3, 18-21, ინგლისურ ენაზე).

დამტკიცებულია შემოსაზღვრულობა ცვლადმაჩვენებლიან მორის სივრცეებში მოდიფიცირებული მაქსიმალური ფუნქციებისა და პოტენციალებისათვის, რომლებიც განსაზღვრულია გაორმაგების პირობის გარეშე კვაზიმეტრიკულ ზომად სივრცეებზე.

აკად.წევრ-კორ. ე. ნადარიაძე

1) „სიმკვრივის ვოლვერტონ-ვაგნერის შეფასებაზე დაფუძნებული თანხმობის კრიტერიუმის სიმბლავრის შესახებ“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №1, 7-15, ინგლისურ ენაზე).

მოძებნილია განაწილების სიმკვრივის ვოლვერტონ-ვაგნერის არაპარამეტრულ შეფასებათა ინტეგრალური კვადრატული გადახრის ზღვარითი განაწილების კანონი და მისი საშუალებით აგებულია თანხმობის კრიტერიუმი. გარდა ამისა, მოძებნილია მისი

ზღვარითი სიმძლავრე ორი ტიპის დაახლოებადი ალტერნატივებისათვის. ნაჩვენებია აგებული კრიტერიუმის უპირატესობა როზენბლატ-ბიკელის ცნობილ კრიტერიუმთან.

2) „განაწილების სიმკვრივის როზენბლატ-პარზენის შეფასების „დელტა ფუნქციის“ წონით ინტეგრალური კვადრატული გადახრის ზღვარითი განაწილების შესახებ“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №4, 9-13, ინგლისურ ენაზე).

მიღებულია განაწილების სიმკვრივის როზენბლატ-პარზენის შეფასების „დელტა ფუნქციის“ წონით ინტეგრალური კვადრატული გადახრის ზღვარითი განაწილების კანონი. აგებულია თანხმობის კრიტერიუმი და მოძებნილია მისი ასიმპტოტური სიმძლავრე გარკვეული ტიპის დაახლოებადი ალტერნატივებისათვის. ნაჩვენებია, აგრეთვე, რომ აგებული თანხმობის კრიტერიუმი უფრო მძლავრია, ვიდრე როზენბლატ-ბიკელის თანხმობის კრიტერიუმი სსენგბული ტიპის დაახლოებადი ალტერნატივებისათვის.

3) „განაწილების სიმკვრივეთა ტოლობის ჰიპოთეზის შემოწმებისათვის კრიტერიუმის ერთი სტატისტიკის შესახებ“ (ასიმპტოტური სტატისტიკის კონფერენციის შრომები, ბარსელონა, ესპანეთი, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ერთგვაროვნების სტატისტიკური ჰიპოთეზის შემოწმების პრობლემა. ამ მიზნით განაწილების სიმკვრივის გულოვან შეფასებათა საფუძველზე აგებულია ერთგვაროვნების ჰიპოთეზის შემოწმების ახალი კრიტერიუმი და მოძებნილია მისი ზღვარითი სიმძლავრე გარკვეული ტიპის დაახლოებადი ალტერნატივებისათვის.

ფ ი ზ ი კ ა

ა) მონოგრაფიები

აკად.წევრ-კორ. ა.ხელაშვილი

1) „ფეინმანის ფუნქციონალური ინტეგრალი და მისი ზოგიერთი გამოყენება” (მონოგრაფია და დამხმარე სახელმძღვანელო მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, „ნეკერი”, თბილისი, 150 გვ.).

წიგნი ეძღვნება თანამედროვე ფიზიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორიის – ფეინმანის ფუნქციონალური (კონტინუალური) ინტეგრალის ფორმალიზმს. ამ ინტეგრალის საშუალებით ჩაკეტილი ფორმით იწერება სხვადასხვა კორელაციური და გრინის ფუნქციები. მას ფართოდ იყენებენ კვანტურ მექანიკაში, სტატისტიკურ ფიზიკაში, კონდენსირებული გარემოს ფიზიკაში. მეთოდმა განსაკუთრებული გამოყენება პპოვა ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკასა და ველის კვანტურ თეორიაში.

განხილულია ცვლადთა გარდაქმნა ფუნქციონალურ ინტეგრალში, მათ შორის, სივრცე-დროითი გარდაქმნა, რის მიხედვითაც ამოხსნილია კვანტურ-მექანიკური ამოცანები. გადმოცემულია მაწარმოებელი ფუნქციონალის გამოყენებანი, მათ შორის, ველის კვანტურ თეორიაში არააბელური ყალიბრული ველების დაკვანტვისათვის.

2) „კეპლერ-კულონის პრობლემის დინამიკური სიმეტრიები კლასიკურ და კვანტურ მექანიკაში (არარელატივისტური და რელატივისტური)” (Nova Publishers, ნიუ-იორკი, აშშ, 150 გვ., ინგლისურ ენაზე).

შეჯამებულია კლასიკურ და კვანტურ თეორიებში ფარული დინამიკური სიმეტრიების განვითარების ძირითადი საფეხურები. მთავარი აქცენტი გადატანილია კულონური პოტენციალის სიმეტრიებზე. განხილულია

დირაკის განტოლების სიმეტრიები. შესწავლითა დირაკის განტოლებაში სუპერსიმეტრიული ალგებრის წარმოქმნა; დამტკიცებულია, რომ ამ ალგებრის მიმართ ინგარიანტულობიდან გამომდინარეობს ოვით კულონური პოტენციალი. აგებულია სუპერდენგი და გარკვეულია მათი კავშირი კლასიკურ მექანიკაში ცნობილ დინამიკურ სიმეტრიასთან. განხილულია, აგრეთვე, მონოპოლიების სიმეტრია, მრავალგანზომილებიანი სივრცეები და ა.შ.

ბ) სტატიები

აკად. ნ. ცინცაძე

1) „დამუხტული მტვრის მარცვლების აჩქარება ტოკომაჟში” (თანაავტორობით; Physics Letters A, 372, 2053, ინგლისურ ენაზე).

განხილულია მტვრიანი ნაწილაკების გავლენა პლაზმის პერიფერიის ფიზიკაზე.

2) „ჯინსის არამდგრადობა მაგნიტოაქტიურ მტვრიან პლაზმაში” (თანაავტორობით; J. Plasma Physics, 74, 847, ინგლისურ ენაზე).

განხილულია რადიაციის გავლენა ჯინსის არამდგრადობაზე. ნაჩვენებია, რომ რადიაციას შეუძლია ჯინსის არამდგრადობის სტაბილიზება.

3) „დამუხტული მტვრის განტოლების შესახებ” (თანაავტორობით; European Physics Letters, 83, 15005, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ ამ საკითხზე ადრე გამოქვეყნებული ასეული შრომა არასწორია.

4) „გრიგალებში ჩაჭერის ეფექტი” (თანაავტორობით; J. Fusion Energy 27, 216, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ჩაჭერილი ნაწილაკების გავლენა გრიგალებზე.

აკად. გ. ხარაძე

„აეროგელში მოთავსებული ზედენადი A-ტიპის ფაზის ბირთვული მაგნიტური რეზონანსის თვისებების შესახებ” (თანაავტორობით; J. Low Temp. Phys. 150, 710, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ფოროვან გარემოში (აეროგელში) მოთავსებული ზედენადი He^3 -ის A ტიპის ფაზის ბირთვული მაგნიტური რეზონანსის თვისებურებანი ალტერნატიული თეორიული მოდელებისათვის. შემთავაზებულია ახალი მიდგომა თეორიულ მოდელებს შორის არჩევანის გაკეთების მიზნით.

აკად.წევრ-კორ. ა.ხელაშვილი

„სინათლის ფრონტის ფორმალიზმი შედგენილი სისტემებისათვის და მათი ზოგიერთი გამოყენება ნაწილაკებისა და ბირთვულ ფიზიკაში” (თანაავტორობით; Physics Reports, v. 458, №6, 247-300, ინგლისურ ენაზე).

გადმოცემულია შედგენილი სისტემებისათვის სინათლის ფრონტის ცვლადების ფორმალიზმი ბმული მდგომარეობებისა და გაფანტვის ამოცანების შესასწავლად. აგებულია განტოლებები ბმული მდგომარეობების ტალღური ფუნქციებისა და ღრმადარადრეკადი პროცესების სტრუქტურული ფუნქციებისათვის, განვითარებულია სინათლის ფრონტის ცვლადებში დაკვანტვის ფორმალიზმი 1/2 სპინიანი ნაწილაკებისათვის, მიღებულია მათი ბმული მდგომარეობის განტოლებები, განვითარებულია ფორმფაქტორების ასიმპტოტური ყოფაქცევის გამოთვლის მეთოდები მაღალ ენერგიებზე და დიდი გადაცემული იმპულსებისათვის, მიღებულია ზოგადი მასშტაბური კანონზომიერებები; განიხილება, აგრეთვე, ბირთვებზე მიმდინარე არადრეკადი პროცესები, დამუშავებულია ექსპერიმენტული მონაცემები.

აკად.წევრ-კორ. გ.ჯაფარიძე

1) „ეფექტური სპინური ჰამილტონიანი ერთგანზომილებიანი ნახევრად შევსებული ტეტრამერიზებული იონური-ჰაბარდის მოდელისათვის ძლიერი განზიდვის პირობებში” (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №1, 66-72, ინგლისურ ენაზე).

აგებულია ეფექტური სპინური ჰამილტონიანი, რომელიც აღწერს ერთგანზომილებიანი ტეტრამერიზებული იონური-ჰაბარდის მოდელის დაბალენერგეტიკულ თვისებებს ნახევრად შევსებული ზონისა და ძლიერი კულონური განზიდვის შემთხვევაში. ნაჩვენებია, რომ ეფექტური სპინური ჰამილტონიანი ემთხვევა სპინი $S=1/2$ ჰაიზენბერგის ჯაჭვის ჰამილტონიანს უახლოეს მეზობელ სპინებს შორის ალტერნირებული გაცვლითი ურთიერთქმედებით.

2) „ელექტრონული ფაზური გადასვლები იონური-ჰაბარდის მოდელში ნახევრად შევსებული ზონის პირობებში” (თანაავტორობით; Physical Review B v.78, 075121, ინგლისურ ენაზე).

დინამიკური საშუალო ველის მეთოდის გამოყენებით შესწავლილია ელექტრონული ფაზური გადასვლები იონური-ჰაბარდის მოდელში ნახევრად შევსებული ზონის პირობებში. დადგენილია ალტერნირებული იონური პოტენციალის ცვლილებების ის არე, სადაც კულონური განზიდვის პოტენციალის გაზრდით ხორციელდება კვანტური ფაზური გადასვლა ზონური იზოლატორის ფაზიდან მეტალურ ფაზაში, ხოლო კულონური განზიდვის შემდგომი გაზრდისას – მეტალური მდგომარეობიდან ე.წ. მოტის იზოლატორულ ფაზაში.

3) „ორჯაჭვიანი $S = 1/2$ „სპინური კიბის” მაგნიტური ფაზური დიაგრამა „საფეხურის” გასწვრივი ურ-

თიერთქმედების ალტერნირებისას” (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, გ. II, №4, 62-69, ინგლისურ ენაზე).

რიცხვითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით შესწავლილია „კიბის” სტრუქტურის მქონე სპინი $S=1/2$ ორჯაჭვიანი სისტემის მაგნიტური ფაზური დიაგრამა ჯაჭვებს შორის „საფეხურის” გასწვრივ არსებული გაცვლითი ურთიერთქმედების ალტერნირების შემთხვევაში. შესწავლილია სისტემის აგზნებათა სპექტრის, დამაგნიტებულობის, სპინური სიმკვრივის სივრცითი განაწილებისა და სპინ-სპინური კორელაციების დამოკიდებულება, მოდებული გარე მაგნიტური ველის სიდიდეზე. ნაჩვენებია, რომ „საფეხურის” გასწვრივი გაცვლის ალტერნირება განაპირობებს სისტემის აგზნებათა სპექტრში დრენოს გაჩენას და ამის შედეგად ე.წ. დამაგნიტებულობის პლატოს წარმოქმნას მაგნიტური ველის იმ მნიშვნელობისას, როდესაც სისტემის დამაგნიტებულობა თავისი ნაჯერი მნიშვნელობის ნახევარს აღწევს. გამოთვლილია დამაგნიტებულობის პლატოს სიგანის დამოკიდებულება გაცვლის ალტერნირების ამპლიტუდაზე. ნაჩვენებია, რომ პლატოს სიგანის დამოკიდებულება ალტერნირების პარამეტრზე არის ხარისხობრივი – δ' და სათანადო ხარისხის მაჩვენებელი $\nu = 0.87 \pm 0.01$.

ა ს ტ რ ო ფ ი ზ ი პ ა

ა) სტატიები

აკად. ჯ. ლომინაძე

1) „მაგნიტობრუნვითი არამდგრადობები მტკრიან პლაზმაში” (თანაავტორობით; Plasma Phys. Control. Fusion 50, 085015, ინგლისურ ენაზე).

დამუხტებული მტკრის ეფექტი დამაგნიტებული მბრუნვი პლაზმის მდგრადობაზე შესწავლილია უძრა-

ვი მტვრის მიახლოებაში. მოდების აღმწერი განტოლებები და ლოკალური დისპერსიული განტოლება გამოყვანილია კანონიკური პარამეტრების საშუალებით.

2) „მაგნიტობრუნვითი და მასთან დაკავშირებული არამდგრადობების გაერთიანებული ელექტროდინამიკური თეორია მბრუნავი პლაზმისათვის” (თანაავტორობით; Plasma Phys. Control. Fusion 50, 085012, ინგლისურ ენაზე).

ჩამოყალიბებულია მაგნიტობრუნვითი და მასთან დაკავშირებული არამდგრადობების გაერთიანებული ელექტროდინამიკური თეორია მბრუნავი პლაზმისათვის. ნაჩვენებია, რომ არადერძულად სიმეტრიული მოდები ნაკლებად საშიშნი არიან დერძულად სიმეტრიულ მოდებთან შედარებით მძლავრი მაგნიტოაკუსტიკური სტაბილიზაციის ეფექტისა და „overstable” ეფექტის გამო.

3) „არალოკალური მაგნიტობრუნვითი არამდგრადობა” (თანაავტორობით; Physics of Plasmas 15, 052109, ინგლისურ ენაზე).

შემუშავებულია არალოკალური მაგნიტობრუნვითი არამდგრადობის ანალიზური თეორია უმარტივესი ასტროფიზიკური პლაზმის მოდელისათვის. ნაწინასწარმეტყველებია პლაზმის არალოკალური არამდგრადობების არსებობა.

4) „ანიზოტროპიული წნევის დაუჯახებელი ასტროფიზიკური მბრუნავი პლაზმის მაგნიტური არამდგრადობები” (თანაავტორობით; Physics of Plasmas 15, 062904, ინგლისურ ენაზე).

შემუშავებულია ტექნიკა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ანიზოტროპიული წნევის დაუჯახებელი ასტროფიზიკური მბრუნავი პლაზმის მაგნიტური არამდგრადობების შესწავლა, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ მაგნიტური ტურბულენტობა. ნაწინასწარმეტყველებია ანიზოტროპიული მაგნიტური ტურბულენტობა.

ტყველებია ორი ტიპის ჰიბრიდული არამდგრადობები, რომლებიც გამოწვეულნი არიან პლაზმის დიფერენციალური ბრუნვითა და წნევის ანიზოტოპით.

5) „ლაბორატორიულ მბრუნავ პლაზმაში მაგნიტური ტურბულენციონის გამომწვევი არამდგრადობების კინეტიკური თეორია“ (თანაავტორობით; Physics Letters A 372, 3846–3851, ინგლისურ ენაზე).

გამოკვლეულია ლაბორატორიულ დაუჯახებელ მბრუნავ პლაზმაში მაგნიტური ტურბულენციონის გამომწვევი არამდგრადობების ამოცანა. ნაჩვენებია, რომ მაგნიტობრუნვითი არამდგრადობის სტანდარტული მექანიზმი, რომელიც გამოწვეულია ბრუნვის სიხშირის უარყოფითი გრადიენტით, ქრება ამ ტიპის პლაზმაში.

6) „ლაბორატორიულ მბრუნავ პლაზმაში მაგნიტური ტურბულენციონის გამომწვევი არამდგრადობები“ (თანაავტორობით; Physics Letters A 372, 3274–3276, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია ლაბორატორიულ მბრუნავ პლაზმაში მაგნიტური ტურბულენციონის გამომწვევი არამდგრადობები. ნაჩვენებია, რომ არსებული ახალი ეფექტები შესაძლებელია გამოვლინდეს წონასწორული მაგნიტური ველის არარსებობის შემთხვევაში.

7) „მაგნიტობრუნვითი არამდგრადობებისა და მბრუნავ პლაზმაში ტალღების თეორია“ (თანაავტორობით; ЖЭТФ, გ. 133. გამოშვ. 1, 183-196, რუსულ და ინგლისურ ენებზე).

წარმოდგენილია იდეალური პლაზმის მაგნიტობრუნვითი არამდგრადობის ერთნაწილაკოვანი მაგნიტოპიდროდინამიკური თეორია. ნაჩვენებია, რომ არამდგრადობა ჩნდება ელექტრული ველის გასწვრივი კომპონენტის შეშფოთების გამო.

8) „წნევის არაიზოტოპიულობის გავლენა მაგნიტობრუნვით არამდგრადობაზე“ (თანაავტორობით; ЖЭТФ,

ტ. 133. გამოშვ. 2, 429-437, რუსულ და ინგლისურ ენებზე).

ნაჩვენებია, რომ წნევის ანიზოტროპიის მქონე მბრუნავ დამაგნიტებულ პლაზმაში შესაძლებელია განდევს ახალი ჰიბრიდული არამდგრადობები, ისეთი, როგორიცაა ბრუნვითი სარკული და „firehouse“ არამდგრადობა.

9) „მტვრის ნაწილაკებით გამოწვეული არამდგრადობები მბრუნავ პლაზმაში“ (თანაავტორობით; Physics of Plasmas 15, 014504, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია უძრავი მტვრის ნაწილაკების ზეგავლენა დამაგნიტებული მბრუნავი პლაზმის მდგრადობაზე.

10) „არალერძულად სიმეტრიული მაგნიტობრუნვითი არამდგრადობა იდეალურ და ბლანტ პლაზმაში“ (თანაავტორობით; Physics of Plasmas 15, 052103, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია მაგნიტობრუნვითი არამდგრადობის გაჩენა მბრუნავ დამაგნიტებულ პლაზმაში. ანალიზი შემოსაზღვრულია მარტივი მოდელით, სადაც მაგნიტური ველი ცილინდრული სიმეტრიისაა და არალერძულად სიმეტრიული შეშფოთებები შეისწავლება ლოკალურ მიახლოებაში.

11) „მაღალსიხშირული მაგნიტობრუნვითი არამდგრადობები ასტროფიზიკურ პლაზმაში“ (თანაავტორობით; Физика плазмы, ტ. 34, №8, 1-10, რუსულ და ინგლისურ ენებზე).

გამოკვლეულია ველიხოვის ეფექტით აღძრული მაგნიტობრუნვითი არამდგრადობები სტანდარტული მაგნიტოპიდროდინამიკის თეორიის რეჟიმის მიღმა.

12) „იდეალური შიდა სპირალური მოდები დიფერენციალურად მბრუნავ ცილინდრულ პლაზმაში“ (თა-

ნაავტორობით; Физика плазмы, გ. 34, №7, 589-597, რუსულ და ინგლისურ ენებზე).

მაგნიტობრუნვითი არამდგრადობის გამომწვევი ველიხოვის ეფექტი დამატებულია იდეალური შიდა სპირალური მოდების თეორიაში დიფერენციალურად მბრუნვაზი ცილინდრული პლაზმისათვის.

13) „დერძულად სიმეტრიული მაგნიტობრუნვითი არამდგრადობა იდეალურ და ბლანტ ლაბორატორიულ პლაზმაში” (თანაავტორობით; Физика плазмы, გ. 34, №10, 908-917, რუსულ და ინგლისურ ენებზე).

ველიხოვისა და ჩანდრასეკარის საწყისი თეორია, რომელიც აღწერს მაგნიტობრუნვით არამდგრადობას იდეალური გამტარი უკუმშვადი დამაგნიტებული პლაზმისათვის, ლაბორატორიულ პირობებში განზოგადებულია კუმშვადი გარემოსათვის.

14) „ველიხოვის და ანტიველიხოვის ეფექტები მაგნიტობრუნვითი არამდგრადობის თეორიაში” (თანაავტორობით; ЖЭТФ, გ. 134, გამოშვ. 6 (12), 1-19, რუსულ და ინგლისურ ენებზე).

შესწავლილია მაგნიტობრუნვითი არამდგრადობა, რომელიც განიხილავს წონასწორული პლაზმის წნევის გრადიენტს და არადერძულად სიმეტრიულ შეშფოთებებს. ნაჩვენებია, რომ ველიხოვის მექანიზმთან ერთად შესაძლებელია ორი დამატებითი მექანიზმის არსებობა. ერთ-ერთი მათგანი გამოწვეულია წნევის გრადიენტით, ხოლო მეორე გამოწვეულია წნევისა და სიმკვრივის გრადიენტების ნამრავლის არსებობით.

15) „გურიის მაგნიტური ანომალიის ზოგიერთი მახასიათებლის კვლევა” (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, გ. II, №2, 49-52, ინგლისურ ენაზე).

გამოკვლევები შეეხება დედამიწის მაგნიტური ველის საქართველოში არსებული ძლიერი ლოკალური

მაგნიტური ანომალიების არეების გამოვლენას, მათი ფიზიკური მახასიათებლების დადგენასა და ადამიანზე მათი შესაძლო გავლენის შესწავლას.

16) „რეზისტიულ-ბლანტური მაგნიტობრუნვითი არამდგრადობის სტაბილიზაცია ასტროფიზიკურ პლაზმაში” (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №3, 48-50, ინგლისურ ენაზე).

განხილულია მაგნიტობრუნვითი არამდგრადობის რეზისტიულ-ბლანტური ჩახშობა ასტროფიზიკურ პლაზმაში. დადგენილია ასეთი ჩახშობის კრიტერიუმი.

17) „პურორტურეკის მაგნიტური ქვიშების ტერიტორიის ელექტრომეტრული შესწავლის ზოგიერთი შედეგი” (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №3, 70-72, ინგლისურ ენაზე).

გეომორფოლოგიური კვლევების მიხედვით გურორტურეკის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს მდ. სუფსის პალეოკალაპოტში წარმოდგენილი მდინარეული ნალექები, რაც ელექტრომეტრული მონაცემებითაც დადასტურდა. ურეკის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ნალექების აღნიშნული გადანაწილება.

18) „დრეიფული ეფექტები მბრუნავი პლაზმის არამდგრადობების თეორიაში“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №4, 58-61, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია მბრუნავ-მაგნიტიზირებული პლაზმის არამდგრადობების თეორიაში დრეიფული ეფექტების გათვალისწინების საკითხი.

აკად.წევრ-კორ. რ.კილაძე

1) „საპლანეტთაშორისო ხომალდების მეტეორიტებთან შეჯახების ალბათობის შესახებ” (Proc. Seventh

US/Russian Space Surveillance Workshop, Monterey, 29 Oct.-2 Nov, 2007; გამოქვეყნდა 2008 წელს ინგლისურ ენაზე).

კომეტების დაშლის შედეგად წარმოქმნილი მეტეორული ნაკადების არსებობის გათვალისწინებით მიღებულია მათემატიკური გამოსახულება საპლანეტო აშორისო გადაფრენის დროს მეტეორიტებთან შეჯახებების მოსალოდნელი რაოდენობის გამოსათვლელად.

2) „საერთაშორისო თანამშრომლობა ოპტიკური მეოდებით კოსმოსური ნაგვის შესასწავლად” (თანაავტორობით; Advances in Space Research, v. 41, Issue 7, 1022-1028, ინგლისურ ენაზე).

აღწერილია კოსმოსური ხომალდების გაშვებისას და მათი ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ფრაგმენტების (კოსმოსური ნაგვის) მონიტორინგისათვის შექმნილი საერთაშორისო ქსელი, მისი ამოცანები და მიღებული შედეგები.

3) „თანამედროვე კალენდრის სიზუსტის შესახებ” (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, № 4, 86-87, ინგლისურ ენაზე).

დედამიწასა და მთვარეს შორის არსებული მოქცევითი ხახუნის მიერ გამოწვეული დღე-დამის ხანგრძლივობის საუკუნოვანი ზრდის გათვალისწინებით შემოთავაზებულია მცირე სიდიდის შესწორება თანამედროვე კალენდარში, რაც გარანტიას იძლევა, რომ ასეთი რეფორმირებული კალენდრის შეცდომა 10000 წლის განმავლობაში არ გადააჭარბებს ნახევარ დღე-დამეს.

4) „მიწისძვრების გამომწვევი ეგზოგენური ფაქტორები” (თანაავტორობით; Papers Intern. Conf. "Climate, Natural Resources, Natural Disasters in the South Caucasus", თბილისი, 354-358, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ასტრონომიული მოვლენები, კერძოდ, მთვარე-მზისეული მოქცევა-უკუმცევები, რაც შეიძლება მიწისძვრის განვითარების მიზეზი (მაინიცირებელი ფაქტორი) გახდეს.

5) „თანამედროვე ასტრონომიის დაფუძნება საქართველოში“ (თანაავტორობით; აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ბიულეტენი, №78, 3-56, რუსულ ენაზე).

აღწერილია ქართველი ასტრონომების სამეცნიერო საქმიანობა XX საუკუნეში, მოტანილია ფაქტები აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ისტორიიდან.

პატ.წევრ-კორ. გ.ჩაგელიშვილი

1) „ჰიდროდინამიკური მდგრადობა და მოდების ბმა კეპლერულ ნაკადებში: ლოკალური სტრატობრუნვითი ანალიზი“ (თანაავტორობით; Astron. & Astrophys. 478, 9-15, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია რომ ბრუნვისა და სტრატიფიკაციის ერთდროული მოქმედება იწვევს დამატებითი თავისუფლების ხარისხის გასწენას – გრიგალურ მოდას, რომელიც თავის მხევრივ წრფივად ჩაბმულია სპირალურ ტალღებთან.

2) „შეშფოთებათა წრფივი ტრანზიენტული დინამიკა მუდმივი ვერტიკალური წანაცვლების არაგეოსტროპულ ნაკადებში“ (თანაავტორობით; ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის შრომათა კრებული, 115, 330-343).

შესწავლილია შეშფოთებათა წრფივი დინამიკა შემოუსაზღვრელ არაგეოსტროპულ, ზონალურ, ნულოვანი სიბლანტის ნაკადებში სიჩქარის მუდმივი ვერტიკალური წანაცვლებით, როდესაც გარემო უკუმშვადია და სიმკვრივე სტრატიფიცირებულია ვერტიკალური და მერიდიანული მიმართულებებით. ამ დინამიკის

განსაკუთრებული თვისებები მჭიდრო კავშირშია წრფივ შემფორებათა ევოლუციის აღმწერი ოპერატორების არაორთოგონალურობასთან წანაცვლებით ნაკადებში. გაანალიზებულია კორიოლისის პარამეტრის (დედამიწის ბრუნვა) და ნაკადის წანაცვლების როლი შემფორებათა დინამიკაში (არამდგრადობაში). ეს ორი ფაქტორი იწვევს შემფორებათა დინამიკაში ახალი ტიპის ტრანზიენტულ არამდგრადობას მცირე $Ri < 1$ (როდესაც სრულდება ე.წ. სიმეტრიული არამდგრადობის პირობა). კერძოდ, წრფივი თეორიის ფარგლებში, წანაცვლება და ბრუნვა იწვევს გრიგალური მოდის დროში ევოლუციას. სუფთა გრიგალურ (აპერიოდულ) შემფორებებს შეუძლია ამოქანოს ძირითადი დინების ენერგია, გაძლიერდეს ტრანზიენტულად და შემდგომ მოახდინოს ტალღების გენერაცია.

2008 წელს მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების წევრები მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 10 და 6 საზღვარგარეთული სამეცნიერო გრანტის დამუშავებაში: INTAS – 3 (აკად. ხ.ინასარიძე – 1, აკად. წევრ-კორ. ვ.კოკილაშვილი – 2), ISTC – 1 (აკად. ჯ.ლომინაძე, აკად. წევრ-კორ. გ.ჩაგელიშვილი), STCU – 2 (აკად. ჯ.ლომინაძე – 1, აკად. გ.ხარაძე, აკად. წევრ-კორ. გ.ჯაფარიძე – 1).

განყოფილების წევრებმა მონაწილეობა მიიღეს 16 საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში, განახორციელეს არაერთი მივლინება უცხოეთის წამყვან სამეცნიერო დაწესებულებებში, მუშაობდნენ უცხოური სამეცნიერო უურნალების რედკოლეგიებში.

აკად. ნ.გახანიამ მონაწილეობა მიიღო (მიწვეული იყო მოხსენებით) თეორიული და გამოყენებითი მათემატიკის საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში (პლოვდივი, ბულგარეთი).

აკად. ი.კილურაძემ მონაწილეობა მიიღო არაწრფივი ანალიზისადმი მიძღვნილი V მსოფლიო კონგრესის მუშაობაში (ორლანდო, ფლორიდა, აშშ), სადაც მიწვევდი იყო მოხსენებით და ხელმძღვანელობდა ერთერთი სექციის მუშაობას. ამერიკელ კოლეგებთან ერთობლივი პალეოგების ჩატარების მიზნით იგი იმუოფებოდა ფლორიდის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მათემატიკის დეპარტამენტში.

რ.ბანცურმა მონაწილეობა მიიღო ივჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში.

აკად.წევრ-კორ. ვ.კოკილაშვილმა მონაწილეობა მიიღო გერმანიაში, ფინეთსა და ისრაელში ჩატარებული ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალურ-დიფერენციალურ განტოლებათა თეორიის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში და გამოვიდა პლენარული მოხსენებებით.

აკად.წევრ-კორ. ე.ნადარაიამ მონაწილეობა მიიღო (მოხსენებებით) ალბათობის თეორიის საკითხებისადმი მიძღვნილ 6 საერთაშორისო კონფერენციაში (ესპანეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, საქართველო).

აკად. ჯ.ლომინაძემ მონაწილეობა მიიღო: ქ.ერევანში – ვ.ამბარცუმიანის დაბადების 100 წლისთვისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საიუბილეო კონფერენციის მუშაობაში; ქ.კიევში – უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 90 წლისა და ბ.პატონის დაბადების 90 წლის საიუბილეო ღონისძიებებში; ქ.მოსკოვში – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მუშაობაში; კოსმოსურ გამოკვლევათა ინსტიტუტში ჩატარებული სამეცნიერო სემინარის მუშაობაში.

აკად. ნ.ცინცაძემ მონაწილეობა მიიღო პლაზმის ფიზიკის საკითხებისადმი მიძღვნილი 2 საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში (იაპონია, პაკისტანი).

აკად.წევრ-კორ. რ.კილაძემ მონაწილეობა მიიღო ვამბარცუმიანის დაბადების 100 წლისთავისადმი მიღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში.

აკად.წევრ-კორ. გ.ჩაგელიშვილი 3 თვით არის მივლინებული ტეხასის უნივერსიტეტში (აშშ), ISTC სამეცნიერო გრანტის ფარგლებში მიღებული კვლევების შედეგებისა და ახალი თანამშრომლობის პროექტის განსახილველად (გ.ჩაგელიშვილი ამ პროექტის ხელმძღვანელია საქართველოს მხრიდან).

აკად.წევრ-კორ. ა.ხელაშვილი მოხსენებით გამოვიდა ნიუ-ორკის (აშშ) უნივერსიტეტის კოსმოლოგიის სამეცნიერო ცენტრის სემინარზე.

აკად.წევრ-კორ. გ.ჯაფარიძემ საერთაშორისო კონფერენციაზე (ქ.ვორა, პორტუგალია) წაიკითხა მოხსენება – „კორელაციები და კოპერენტულობა კვანტურ გარემოში“. მანვე, საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინებების დროს, მოხსენებები გააკეთა ტულუზის, სტრასბურგის, პარიზის ორსეს უნივერსიტეტებში (საფრანგეთი), ფრაიბურგის, გიორგინგენის, კარლსრუჟეს, კიოლნის უნივერსიტეტებში და მაქს პლანკის საზოგადოების შტუტგარტის მყარი ტანის ფიზიკის ინსტიტუტში (გვრ), ლისაბონის ტექნიკურ უნივერსიტეტში (პორტუგალია).

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების წევრების ხელმძღვანელობით დამთავრდა 3 სამეცნიერო-კვლევითი თემა (აკად. გ.ხარატიშვილი, აკად. ხ.ინასარიძე, აკად.წევრ-კორ. გ.კოკილაშვილი).

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებამ განიხილა და შეაფასა სხია – სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის მიერ მათემატიკისა და ფიზიკის დარგებში 2007 წელს გაწეული სამეცნიერო მუშაობა.

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების საერთო კრებამ განყოფილების აკადემიკოს-მდივნის თანამ-

დებობაზე აირჩია აკად. ჯ.ლომინაძე და ბიუროს ახალი შემადგენლობა: აკად. ნ.გახანია, აკად. თ.სანაძე, აკადემიის წევრ-კირესპონდენტები ვ.კოკილაშვილი, ე.ნადარაია, გ.ჩაგელიშვილი, ა.ხელაშვილი, გ.ჯაფარიძე. ამავე სხდომაზე განყოფილების სწავლულ მდივნად არჩეულ იქნა ფიზ.-მათ.მეცნ.კანდ. ლ.გოგოლაური.

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების წევრთა აქტიური ხელშეწყობით 2008 წლის 26 დეკემბერს შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო ოეატრში ჩატარდა აკადემიკოს ევგენი ხარაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

განყოფილების 3 წევრი (აკად. ნ.ბერიკაშვილი, აკად. ნ.გახანია, აკად. წევრ-კორ. რ.ბანცური), საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიწვევით, მონაწილეობდა ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელთათვის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდიის მიმნიჭებული კომისიის მუშაობაში.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებაში 2009 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო აკადემიის 6 წევრი, მათ შორის 2 აკადემიკოსი და 4 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2008 წელს გამოაქვეყნეს 23 სამეცნიერო სტატია.

ა) სტატიები

აკად. ეგამყრელიძე

1) „ობილისის ოლისტოსტრომების გენეზისის შესახებ“ (თანაავტორობით; ალ.ჯანელიძის გეოლოგიური ინსტიტუტის შრომები, ახალი სერია, გამოშვ. 124, 24-29, ინგლისურ ენაზე).

საველე დაკვირვებების, ბურღვისა და გეოფიზიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ შუაეოცენური ასაკის თბილისის ოლისტოსტრომების წარმოშობა დაკავშირებული იყო სუბმერიდიანულ ხანგრძლივ განვითარებად, კონსედიმენტაციურ, ფარულ სიღრმულ რღვევასთან (ნასხლებთან), რომელიც გაიდევნება, ძირითადად, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ.

2) „თბილისის რღვევა და თბილისის მიდამოების სეისმური აქტიურობა“ (თანაავტორობით; ალ.ჯანელიძის გეოლოგიური ინსტიტუტის შრომები, ახალი სერია, გამოშვ. 124, 30-35, ინგლისურ ენაზე).

გეომორფოლოგიური, პეტროლოგიური, ქანების ტემპერატურული ველის განაწილების და სეისმური მონაცემების კომპლექსი მიუთითებს თბილისის მიდამოებში გამოვლენილი ძველი ფარული სიღრმული რღვევის ახლოს ახალგაზრდა რღვევის არსებობას, რომელიც კინემატიკური თვალსაზრისით შესხლებული და მარჯვენა ნაწევს წარმოადგენს. თბილისის რღვევა ხასიათდება სეისმური აქტივობით და მასთან დაკავშირებულია როგორც 2002 წლის 25 აპრილის თბილისის, ისე მთელი რიგი ისტორიული მიწისძვრები.

3) „ფალეზის ტექტონიკა და ლითოსფეროს ჰორიზონტალური ტექტონიკური განშრევება – დედამიწის გარე გარსების განვითარების ფუძემდებლური კონცეფციები“ (საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესი, ოსლო, ნორვეგია, ინგლისურ ენაზე).

კავკასიისა და ხმელთაშუა ზღვის მოძრავი სარტყლის მაგალითზე ნაჩვენებია, რომ დედამიწის გარე გარსების აგებულება და განვითარება განპირობებულია ფალეზის ტექტონიკისა და ლითოსფეროს ჰორიზონტალური ტექტონიკური განშრევების მექანიზმის განხორციელებით.

4) „ახალი პეტრო- და გეოქიმიური მონაცემები კავკასიის კამბრიულისტინა მაგმატიზმის შესახებ“ (თანაავტორობით; ალ.ჯანელიძის გეოლოგიური ინსტიტუტის შრომები, ახალი სერია, გამოშვ. 124, 190-203, ინგლისურ ენაზე).

ახალი მონაცემების თანახმად, კავკასიაში დადგენილია კამბრიულისტინა მაგმატიზმის ფართო გავრცელება. მდიდარი ანალიტიკური მასალის საფუძველზე განხილულია კავკასიის კამბრიულისტინა მაგმატიზმებში პეტროგენული, იშვითი და იშვიათმიწა ელემენტების (Sm/Nd , $\text{La}_\text{n}/\text{Yb}_\text{n}$, Rb/Sr , Eu/Eu^* , Sr/Nd , Rb/Sr-SiO_2 და სხვ.) განაწილების კანონზომიერებები. პეტროგეოქიმიური პარამეტრების მიხედვით გრანიტოიდები წარმოდგენილია, უპირატესად, ქარქული და ზედაქერქული წარმონაქმნებით, ხოლო ბაზიტებს შორის ჭარბობს ოფიოლიტები. დადგენილია, რომ კავკასიის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის კამბრიულისტინა მაგმატიზმები განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც ასაკით, ქიმიური შედგენილობით და წარმოშობის გეოდინამიკური პირობებით, ასევე პეტროქიმიური თავისებურებებით.

5) „კავკასიის გვიანვარისკული გრანიტოიდების პეტროგეოქიმია“ (თანაავტორობით; ალ.ჯანელიძის გეოლოგიური ინსტიტუტის შრომები, ახალი სერია, გამოშვ. 124, 204-221, ინგლისურ ენაზე).

კავკასიის ფარგლებში გვიანვარისკული (სუდეტური) ოროფაზისის გამოვლენის დროს ფორმირდება პოსტმეტამორფოული კალიუმიანი გრანიტოიდები და შედეგად ყალიბდება ჭეშმარიტი კონტინენტური ქერქი. ამავე დროს ზედაპირზე გამოდის დრმადდაძირული კრისტალური ქანები. გვიანვარისკული გრანიტოიდები უპირატესად წარმოდგენილია ორქარსიანი ან ბიოტიტიანი მიკროკლინიანი გრანოდიორიტებით, იშვიათად

— გრანიტებითა და ალიასკიტებით. ყველა გამოსავალის გრანიტოიდები ხასიათდება მსგავსი მინერალური შედგენილობით, პეტროგეოქიმიური პარამეტრებითა და ფორმირების გეოდინამიკური პირობებით. ეს ქანები შეესაბამება კირტუტე სერიის ნორმალურ-ტუტე და სუბტუტე გრანიტოიდების სახეობებს. გეოქიმიური მახასიათებლების მიხედვით გვიანვარისკული გრანიტოიდების დიდი ნაწილი უპასუხებს ზედა ქერქულ წარმონაქმნებს და ყველაზე უფრო ეთანადება S ტიპის გრანიტოიდებს, ნაკლებად — საერთო ქერქულ შედგენილობას და შეესაბამება I ტიპის გრანიტოიდებს. იშვიათი და იშვიათმიწა ელემენტების (Sm/Nd , La_n/Yb_n , Rb/Sr , Eu/Eu^* , Sr/Nd , $\text{Rb}/\text{Sr}-\text{SiO}_2$ და სხვ.) განაწილება მათში, მთლიანობაში, მსგავსია ამ ელემენტების განაწილებისა მსოფლიოს სხვა რეგიონების ზედა ქერქულ გრანიტოიდებში.

აქად.წევრ-კორ. მ.თოფჩიშვილი

1) „საქართველოს და მომიჯნავე აზერბაიჯანისა და რუსეთის ფედერაციის რეგიონების ქვედაიურული ზონების და მათი შემადგენელი ამონიტების კომპლექსების კორელაცია“ (ალ.ჯანელიძის გეოლოგიური ინსტიტუტის შრომები, ახალი სერია, გამოშვ. 124, 126-136).

ქვედაიურულ ნალექებს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავიათ საქართველოს, აზერბაიჯანისა და რუსეთის ფედერაციის რეგიონების გეოლოგიურ აგებულებაში. ისინი შეიცავს თავფეხიანი მოლუსკური ფაუნის სხვადასხვა ხასიათის კომპლექსებს, რომლებიც დროში ხშირად სწრაფად იცვლებიან (განიცდიან ევოლუციას) და სტრატიგრაფიული დასკვნებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძებენ. ამ ფაუნისტურ კომპლექსებში, რომლებიც სახელმძღვანელო ამონიტებითაა წარმოდგენილი, აღნიშნულ რეგიონებში გამოიყო სტანდარტული ბიოსტრატიგრაფიული ზონები და

მათი ერთმანეთთან კორელაციის საფუძველზე დადგინდა შემადგენელი ამონიტების მსგავსება-განსხვავების ზოგი ასპექტი.

2) „ალ-ჯანელიძის გეოლოგიური ინსტიტუტის დაარსებიდან 80 წელი“ (ალ-ჯანელიძის გეოლოგიური ინსტიტუტის შრომები, ახალი სერია, გამოშვ. 124, 5-23, რუსულ ენაზე).

დეტალურადაა განხილული ალ-ჯანელიძის გეოლოგიური ინსტიტუტის განვითარების 80-წლიანი ისტორია და სხვადასხვა თაობის მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები.

აკად.წევრ-კორ. დ.შენგელია

„კავკასიონის მთავარი ქედის სტრუქტურული ზონის ადრევარისკული გრანიტოიდების გეოქიმიის შესახებ“ (თანაავტორობით; საქრთველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, N2, 59-63, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ იშვიათი და იშვიათმიწა ელემენტების შემცველობისა და გეოქიმიური მახასიათებლების ($\text{Eu/Eu}^* - \text{Sr/Nd}$, $\text{Rb} (\text{Sr}-\text{SiO}_2)$, Rb/Sr , Eu/Eu^* , Sm/Nd , La_n/Yb_n ფარდობების) განაწილება კავკასიონის ადრევარისკულ გრანიტოიდებში, ძირითადად, ისეთივეა, როგორიც მსოფლიოს სხვა რეგიონების საერთო და ზედაქერქულ გრანიტოიდებში.

აკად.წევრ.-კორ. თ.ჭელიძე

1) „ენგურის თაღოვანი კაშხლის დინამიკაზე დახრისმზომებით ჩატარებული დაკვირვებების შედეგები“ (თანაავტორობით; ჟურნალი „ენერგია“, №1 (45), 20-26, თბილისი).

ენგურის კაშხალზე დაკვირვებები მიმდინარეობს მაღალი სიზუსტის დახრისმზომითი (ტილტმეტრიული) აპარატურით. მიღებული მასალის ანალიზის საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომ კაშხალი მოძრაობს

როგორც ერთი სხეული და ეს მოძრაობა სრულ შესაბამისობაშია წყლის რეგულირების სიჩქარესთან, მის შენელებასა და დგომის პროცესებთან.

2) „ენგურპესის თაღოვანი კაშხლის ტერიტორიაზე მარჯვენა სანაპიროს რდვევის ზონაში დეფორმოგრაფიული დაკვირვებების შედეგები“ (თანაავტორობით; მ.ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომები, გ. 60, რუსულ ენაზე).

ჩატარებულია ენგურის კაშხლის ქვეშ გამავალი რდვევის ზონაში დაყენებული კვარცის დეფორმოგრაფის (ექსტენზომეტრის) 30-წლიანი ფოტომასალის ანალიზი. დადგენილია, რომ რდვევის გავრცელების პერპენდიკულარულად ბლოკები განიცდის მუდმივ ფარდობით რყავას. თუ წყალსაცავის გაჩენამდე რდვევაზე მცირე, მაგრამ გაწევითი მოძრაობა ჭარბობდა, მას შემდეგ ეს პროცესი შესუსტდა, მაგრამ 30 წლის მანძილზე 5-6 მმ მაინც შეადგინა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ სიდიდის შემცირება შეიძლება, თუ შევამცირებო დიდ განსხვავებას წყალსაცავის წყლით ავსებისა და დამუშავების დროებს შორის, ხოლო დონეთა ვარდნას 510 მ-დან 440 მ-დე დავიყვანთ ისე, რომ ელექტროენერგიის გამომუშავება არ შემცირდეს.

3) „პავპასიის თანამედროვე ტექტონიკური მოძრაობები, როგორც მიწიძვრებისა და დიდი გრავიტაციული მოვლენების სინერგებით გამოდენებული ფაქტორი“ (თანაავტორობით; ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ახალი სერია, №2(81), 46-59, რუსულ ენაზე).

კავკასიის მაგალითზე განხილულია თანამედროვე ტექტონიკური მოძრაობების, მიწიძვრებისა და დიდი გრავიტაციული მოვლენების ინტეგრალური კავშირი. მიწიძვრები დაკავშირებულია მორფოსტრუქტურული ბლოკების ნიშანცვალებად ტექტონიკურ მოძრაობებთან. დიდი მოცულობის მეწყრულ-გრავიტაციული მოვ-

ლენები, წარმოქმნილი ძირითადი ქანებით აგებული ფერდობის შიდა ნაწილში, უპირობოდ უკავშირდება ცოცხალ ტექტონიკურ რღვევებსა და მიწისძვრების გამოძახილს. ტექტონიკისმოგრავიტაციული მოვლენების შესწავლა და მათი გეოგრაფიული გავრცელების არგალების დადგენა მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა მიწისძვრების რისკის დადგენისა და ტერიტორიის მაკროსეისმური დარაიონების თვალსაზრისით.

4) „რადონის გავცელების რაოდენობითი შეფასება დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში“ (თანაავტორობით; საქართველოს გეოფიზიკური ჟურნალი, ტ. 12b, ინგლისურ ენაზე).

შეფასებულია რადონის რაოდენობრივი განაწილება დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში. მიღებული მონაცემები მოწმობს, რომ 100-ზე მეტ წყლის სინჯში აღინიშნება რადონის მაღალი შემცველობა. ანომალურ ზონებში რადონის შემცველობა ნიადაგში აღწევს 28 კილობეკერელ/მ³-ს, ხოლო წყალში – 33 კილობეკერელ/მ³-ს. უნდა აღინიშნოს, რომ ანომალური ზონების მნიშვნელოვანი ნაწილი განლაგებულია მჭიდროდ დასახლებულ არეებში, სოფლის მეურნეობის რაიონებში და ადამიანის აქტიურობის სხვა აღგილებში.

5) „რადონის გავრცელება და ფილტვის კიბო დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში“ (თანაავტორობით; პილრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. №115, 349-353, თბილისი, ინგლისურ ენაზე).

ჩატარებულია რადონის განაწილების რაოდენობრივი შეფასება დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში. მიღებული მონაცემები მოწმობს, რომ 100-ზე მეტ წყლის სინჯში აღინიშნება რადონის მაღალი შემცველობა. ამ უბნებთანაა დაკავშირებული ბინებში Rn-ის დაგროვების მაღალი მაჩვენებლები. ჩატარებული კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს კორელაციურ

კავშირს რადონის კონცენტრაციასა და ფილტვის კიბოს გავრცელებას შორის.

6) „დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში ნიადაგში და წყალში რადონის შემცველობის კვლევის წინასწარი შედეგები“ (თანაავტორობით; მ.ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 60, რუსულ ენაზე).

ნიადაგში და წყალში რადონის შემცველობის განმეორებადობა დამაკმაყოფილებლად აღიწერება ექსპონენციური დამოკიდებულებით. ნიადაგში და წყალში რადონის შემცველობას შორის არსებობს პირდაპირი კორელაციური დამოკიდებულება. საკვლევი ტერიტორიის 12% მიეკუთვნება რადონის მაღალ შემცველ კატეგორიას. გამოკვლეული ჭების 4%-ზე მეტში დაფიქსირებულია წყალში რადონის მაღალი მნიშვნელობები.

7) „მსხვილი მეწყრულ-გრავიტაციული მოვლენები, როგორც ძლიერი მიწისძვრების შესაძლო წარმოშობის არების დამადასტურებელი ფენომენი (სამხრეთ კავკასიის მაგალითზე)“ (თანაავტორობით; მ.ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 60, რუსულ ენაზე).

საქართველოს ტერიტორიის ცალკეული მონაკვეთებისათვის მოცემულია არსებული მასალების განზოგადებისა და საგელე გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური და სეისმოტექტონიკური გამოკვლევების შედეგები. გამოვლენილია აქამდე უცნობი სრულიად ახალგაზრდა ტექტონიკური დეფორმაციები როგორც ტერასულ დანალექ, ასევე ძირითად კლდოვან ქანებში და მათთან დაკავშირებული სეისმოგენური მეწყრულ-გრავიტაციული წარმონაქმნები.

8) „სხვადასხვა ბუნებრივი საშიშროების მრავლობითი რისკის შეფასება საქართველოსთვის“ (თანაავტორობით; NATO-ს ვორკშოპი „კატასტროფების პროგნოზირების ოპტიმიზაცია და პრევენციული ღონის-

ძიებები საზოგადო და სოციალური დინამიკის კონტექსტში“, კიშინიოვი, მოლდოვა, ინგლისურ ენაზე).

საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური დანაკარგების განსაზღვრისათვის შეფასებულია რისკის ინდექსი, რისთვისაც გამოყენებულია სტიქიური უბედურების რისკის ცხელი წერტილების გლობალური რუკის შედგენის მეთოდი (კოლუმბიის უნივერსიტეტის ჯგუფის ანგარიში, 2005). 1980-2006 წწ. პერიოდისათვის განხილულია ოთხი სახის საშიშროება (მიწისძვრა, მეწყერი, დვარცოფი, ზვავი).

9 „წყვეტილი დეფორმაციის აქუსტიკა გარეშე ძალის ზემოქმედების შედეგად: სეისმური სინქრონიზაციის პროცესის მოდელი“ (თანაავტორობით; კემბრიჯი, WSEAS Press, 36-43, ინგლისურ ენაზე).

სინქრონიზაცია და ტრიგერირება გვხვდება სხვადასხვა დარგში მექანიკიდან ბიოლოგიურ და სოციალურ სისტემებამდე. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ სინქრონიზაციის ფენომენი მრავალ გეოფიზიკურ ველში დაიკვირვება: დედამიწაზე მოქმედებს სხვადასხვა წარმოშობის ოსცილირებადი ზემოქმედებანი, რომლებიც სისშირეთა ფართო დიაპაზონს მოიცავს. მაგალითად, არის ბევრი მონაცემი იმის შესახებ, რომ სეისმური აქტივობა გარკვეულად დამოკიდებულია ისეთ სუსტ თსცილირებად ველებზე, როგორიცაა დედამიწის მიმოქცევები, მზის აქტივობა, ატმოსფერული წნევა, ელექტრომაგნიტური იმპულსები (ქარიშხლები), სეზონური ვარიაციები და რეზერვუარების ექსპლუატაცია. ამ სუსტი ზემოქმედებების ინტენსივობა, როგორც წესი, გაცილებით უფრო მცირება, ვიდრე ძირითადი მამოძრავებელი ძალა – ტექტონიკური დაძაბულობა. მიუხედავად ამისა, საბოლოოდ, ეს სუსტი ზემოქმედება ბადებს ტრიგერირებისა და სინქრონიზაციის ფენომენს, ან სულ მცირე, სისტემის ყოფაქცევის მოწესრიგებას დროში (ე.წ. ფაზურ სინქრონიზაციას).

ამ ეფექტის ლაბორატორიულ პირობებში მოდელირებით აღმოჩნდა, რომ მექანიკური და ელექტრომაგნიტური ზემოქმედება (ე.წ. ფორსინგი) არის მოხერხებული მეთოდი ლაბორატორიულ პირობებში ზამბარამცოცი სისტემის სინქრონიზაციის ფენომენის შესასწავლად. მოყვანილია ზამბარა-მცოცი სისტემის მექანიკური და ელექტრომაგნიტური ზემოქმედებით მექანიკური არამდგრადობის (წანაცვლებების) სინქრონიზაციის ექსპერიმენტული კვლევის შედეგები. მექანიკური არამდგრადობა აღირიცხებოდა როგორც აკუსტიკური ემისიის იმპულსები.

10) „არათანაბარი ხახუნის მაღალი რიგის სინქრონიზაცია პერიოდული (ტანგენციური) მექანიკური ზემოქმედებით ზამბარა-მცოცის მოდელში“ (თანავტორობით; გეოფიზიკური საზოგადოების ჟურნალი, სერ. A, მეარი სხეულების ფიზიკა, ტ. 12, 16-24, ინგლისურ ენაზე).

განხილულია გარე პერიოდული (ტანგენციალური) დატვირთვის ქვეშ ლაბორატორიული ზამბარა-მცოცი სისტემის სრიალის ფაზური სინქრონიზაციის ექსპერიმენტული დასაბუთების კვლევა. სისტემაში ზამბარა-მცოცი, გარკვეულ პირობებში, ადგილი აქვს სტიკ-სლიპის ეფექტს. აღნიშნულ ექსპერიმენტებში სრიალის გამოყოფა ხდებოდა მცოცავი ფილის გასრიალებისას გენერირებული აკუსტიკური ემისიის საშუალებით. ზედა მცოცავ ფილაზე, მოძრაობის პარალელურად, მოდებულია ცვლადი მექანიკური დატვირთვა, რომელიც მცირება რეალურ გასწვრივ ძალებთან შედარებით. გარე დატვირთვის ამპლიტუდის ზრდასთან ერთად შეინიშნება სტიკ-სლიპის აკუსტიკური იმპულსების პირველი და ბოლო შემოსვლების ფაზური სინქრონიზაციის ზრდა, სახელდობრ, ხდება პირკველი შემოსვლების დაჯგუფება გარე ზემოქმედების პერიოდის გარკვეულ ფაზაში.

11) „სტრობოსკოპული (სინქროგრამის) მეთოდი მაღალი რიგის სინქრონიზაციის აღმოსაჩენად არათანაბარი ხახუნის პროცესში“ (თანაავტორობით; გეოფიზიკური საზოგადოების უურნალი, სერ. A, მყარი სხეულების ფიზიკა, ტ. 12, 29-32, ინგლისურ ენაზე).

განხილულია სტიკ-სლიპის პროცესის ფაზური სინქრონიზაცია. ექსპერიმენტული დანადგარი ზამბარამცოცი ტიპის სისტემა: ბაზალტის ერთი ფილა, მასზე მიბმული ზამბარის საშუალებით, მიცოცავს მეორეზე. გარკვეულ პირობებში ამ მოძრაობას აქვს დისკრეტული, სტიკ-სლიპის ხასიათი. გასრიალება კომპიუტერში რეგისტრირდებოდა აღძრული აკუსტიკური ემისიის სახით. ნაჩვენებია, რომ გარკვეულ პირობებში მოდებული ელექტრომაგნიტური ველის შედარებით დაბალი სიხშირის პირობებში, სტიკ-სლიპის პროცესში აღინიშნება მაღალი რიგის სინქრონიზაცია. დამუშავებულია აკუსტიკური ემისიის პირველი შემოსვლის მომენტის ავტომატური განსაზღვრის პროგრამა და მეთოდიკა.

12) „SYM-H მონაცემთა ვარიაციის დინამიკური და მასშტაბური მახასიათებლების კვლევა“ (თანაავტორობით; გეოფიზიკური საზოგადოების უურნალი, სერ. A, მყარი სხეულების ფიზიკა, ტ. 12, 25-28, ინგლისურ ენაზე).

განხილულია 1995-2006 წლების SYM-მონაცემების ფლუქტუაციის ანალიზი. აღნიშნული მონაცემები შეიცავს წყნარი და სხვადასხვა მაგნიტური ქარიშხლების პერიოდებს, რომლებიც აღემატება 400 ნო მაჩვენებელს. საათობრივ გასაშუალებულ SYM-მონაცემებზე ჩატარდა არაწრფივი რეკურენტული რაოდენობრივი ანალიზი (RQA). ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობა SYM-ვარიაციების არაწრფივ სტატისტიკაში წყნარი და მშფოთავი პერიოდებისათვის. წყნარ პერიოდში გამოვლინდა SYM-ვა-

რიაციების შემცირება. SYM-მონაცემების ვარიაციის მატება აღინიშნება ძლიერი მაგნიტური ქარიშხელების დროს. უნდა აღინიშნოს, რომ მაგნიტური ქარიშხელების მინიმუმების განაწილება ატარებს ხარისხობრივ ხასიათს.

13) „მიწისძვრების მაგნიტუდის განსაზღვრა ციფრული მონაცემებისათვის“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №1, 80-82, ინგლისურ ენაზე).

კოდა ტალღების ფართო დიაპაზონში, ციფრული ჩანაწერების ანალიზის საფუძველზე, შედგენილია ნომოგრამა, რომლითაც შესაძლოა კავკასიის მიწისძვრების მაგნიტუდების გამოთვლა. ეს იძლევა საშუალებას შეიქმნას მიწისძვრების ერთგვაროვანი კატალოგი 1955 წლიდან დღემდე.

14) „ცოცვის ფაზური სინქრონიზაცია პერიოდული (ტანგენციური და ნორმალური) მექანიკური ზემოქმედებით ზამბარა-მცოცის მოდელში“ (თანაავტორობით; Acta Geophysica, 56, 357-371, ინგლისურ ენაზე).

მოცემულია ლაბორატორიულ პირობებში ზამბარა-მცოცი სისტემის ცოცვის რეჟიმის ცვლილება სუსტი გარე (ტანგენციალური, ნორმალური) მექანიკური ზემოქმედების გამო. ექსპერიმენტულად დადასტურებულია წანაცვლებების დინამიკა.

15) „ენგურის წყალსაცავში წყლის დონის პერიოდული ცვლილების გავლენა რეგიონულ სეისმურ აქტივობაზე“ (თანაავტორობით; გეოფიზიკური უურნალი, ტ. 30, 87-94, რუსულ ენაზე).

გაანალიზებულია მაღლივი კაშხლის რეზურვუარში წყლის დონის ვარიაციების გავლენა სეისმურ აქტივობაზე, რომელიც რეგისტრირდებოდა სპეციალური ლოკალური ქსელით, აგრეთვე, ლაბორატორიული აკუსტიკური ემისიის მონაცემები, მიღებული სუსტი პერიოდული ზემოქმედებით მოდიფიცირებული სტიკ-

სლიპის ექსპერიმენტების დროს, ამგვარი პროცესი ბუნებრივი სეისმურობის მოდელს წარმოადგენს. სტატისტიკური, წრფივი, არაწრფივი და ფაზური სინქრონიზაციის ანალიზის მეთოდები (კერძოდ, განმეორებადობის რაოდენობრივი ანალიზი RQA და ფაზური სინქრონიზაციის ანალიზის მეთოდები) იქნა გამოყენებული სავალე და ლაბორატორიული მონაცემების ინტერპრეტაციისათვის, რათა მიღებულ იქნეს სინქრონიზაციის ხარისხის რაოდენობრივი შეფასებები.

16) „მიქსარის რდვევაზე ტექტონიკური ზემოქმედების გავლენის მონიტორინგი გეოფიზიკური და გეოდეზიური მეთოდებით“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №2, 53-55, ინგლისურ ენაზე).

სირიის არაბთა რესპუბლიკაში, მდ. ევფრატზე, „ტიშრინის“ ჰიდროკვანძის წყალსაცავის შევსებასთან დაკავშირებით, მისი გადამკვეთი მიქსარის რეგიონალური რდვევის შესაძლო გააქტიურების კონტროლის მიზნით ჩატარებულია რეუიმული გეოფიზიკური და გეოდეზიური კალებების სერია. დადგინდა, რომ წყალსაცავის შევსების მომენტიდან იწყება მისი ზემოქმედება რდვევის სანაპირო ზონის ზედაპირული ნაწილის ჰიდროგეოლოგიურ და დაბაზულ-დეფორმირებულ წონასწორობაზე, ხოლო ორ წელიწადში წყალსაცავის დონის საპროექტო ნიშნულამდე მიღწევის შემდეგ ეს პროცესი სტაბილურდება.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების წევრებმა მოიპოვეს ეროვნული სახელმწიფო სამეცნიერო ფონდის 3 და 1 NATO-ს გრანტი (აკად. წევრ-კორ. თ.ჭელიძე).

განყოფილების წევრები მონაწილეობდნენ სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში: აკად. ე.გამყრელიძე და აკად. წევრ-კორ. დ.შენგელია – 33-ე საერთაშო-

რისო გეოლოგიური კონგრესის (ქ.ოსლო, ნორვეგია), აკად.წევრ-კორ. თ.ჭელიძე – ევროპის გეომეცნიერებათა კავშირის გენერალური ასამბლეის (ქვენა, ავსტრია), ევროპის სეისმოლოგიური კომისიის 31-ე გენერალური ასამბლეის (ქ.კრეტა, საბერძნეთი), ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს რეგიონული კორკშოპის (ქ.ვენა, ავსტრია) და სამეცნიერო კონფერენციის „ბუნებრივი რისკების ახალი მართვის კენტრული, თურქეთი) მუშაობაში.

აკად.წევრ-კორ. თ.ჭელიძე არის ევროპული ცენტრის „მაღლივი კაშხლების გეოდინამიკური რისკის“ დირექტორი, აგრეთვე, ევროპის მიწისძვრების პროგნოზის საექსპერტო კომისიის წევრი.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრებამ აკადემიკოს-მდივნად აირჩია აკად. ე.გამყრელიძე, ბიუროს წევრებად აკად.წევრ-კორ. მ.თოფჩიშვილი, აკად.წევრ-კორ. თ.ჭელიძე და აკად. წევრ-კორ. დ.შენგელია. განყოფილების სწავლულ მდივნად არჩეულია გეოლ.-მინერალ.მეცნ.კანდ. ე.კილასონია.

განყოფილებასთან ჩამოყალიბდა დარგობრივი კომისიები: გეოლოგიის (თავმჯ. აკად. ე.გამყრელიძე), გეოფიზიკის (თავმჯ. აკად.წევრ-კორ. თ.ჭელიძე), გეოგრაფიის (თავმჯ. აკად.წევრ-კორ. ზ.ტატაშიძე) და გეოეკოლოგიის ქვეკომისია (თავმჯ. ფიზ.-მათ.მეცნ.დოქტ. ნ.ბეგალიშვილი).

შეიქმნა სახელობითი პრემიების მინიჭების სანიმუშო დებულებები.

განყოფილებაში შემოვიდა სხიპ – სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების 2007 წლის სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო ანგარიშები, რომლებსაც ჩაუტარდათ ექსპერტიზა. ყველა სამეცნიერო დაწესებულებების ანგარიშმა, გარდა ალ-ჯანელიძის გეოლოგიური ინსტიტუტისა, მიიღო დადებითი შეფასება. გეო-

ლოგიური ინსტიტუტის ანგარიში არ შეფასდა მისი
არასრულყოფილების გამო.

**გამოყენებითი მექანიკის,
მანქანათმშენებლობისა და
მართვის პროცესების განყოფილება**

გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილებაში 2009 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო აკადემიის 13 წევრი, მათ შორის 5 აკადემიკოსი და 8 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2008 წელს გამოაქვეყნეს 4 მონოგრაფია, 1 სახელმძღვანელო და 17 სამეცნიერო სტატია.

ა) მონოგრაფიები

აკად. რ.ადამია

„ელექტროამძრავების უკუკავშირებიანი სისტემების მართვა“ (თანაავტორობით; გამომცემლობა „მეცნიერება“, 243 გვ., თბილისი).

განხილულია მუდმივი და ცვლადი დენის თანამედროვე ტირისტორული ელექტროამძრავების სისტემები ინგარიანტული მართვის შესაბამისი დამატებითი უკუკავშირების გათვალისწინებით. შედგენილია ელექტროამძრავების დინამიკის აღმწერი მათემატიკური მოდელები, განსაზღვრულია ამძრავთა შეზფროთების მაკომპენსირებელი, დამატებით უკუკავშირებში ჩართული რგოლების გადამცემი ფუნქციები. ამძრავის დატვირთვის ცვლილების ინგარიანტობის უზრუნველყოფებული მოწყობილობა შემუშავებულია კალმან-ბიუსის ფილტრის ბაზაზე. სისტემების სიხშირული ანალიზის საფუძველზე მოცემულია რეგულატორების ოპ-

ტიმალური პარამეტრების გამოსათვლელი ფორმულები როგორც ხისტი, ისე დრეკადლილვიანი ამძრავებისათვის. დრეკადი რხევების საკომპენსაციოდ რეკომენდებულია R-L-C ელემენტებისაგან შედგენილი ფილტრი. განსაზღვრულია ამძრავთა ციფრული კორექტირების ოპტიმალური გადამცემი ფუნქციები. წიგნი განკუთვნილია ტექნოლოგიური მანქანების ავტომატიზებული ელექტროამძრავების დარგში მოღვაწე სპეციალისტებისათვის.

აკად. მ.სალუქვაძე

„რისკები მართვის კონფლიქტურ სისტემებში“ (თანაავტორობით; გამომცემლობა „ინტელექტი“, მოსკოვითბილისი, 456 გვ., რუსულ ენაზე).

მონოგრაფია ეძღვნება კონფლიქტურ სისტემებს განუზღვრელობის დროს. იგულისხმება, რომ განუზღვრელი ფაქტორების პირობებში ცნობილია მხოლოდ ცვლილებების საზღვრები, ხოლო სტატისტიკური მონაცემები არ მოიპოვება. დამუშავებულია ახალი მიღება გარანტირებული გადაწყვეტილებების მიღებისადმი გამოსავლებისა და რისკების ოპტიმალური თანაფარდობის პირობებში. იგი განკუთვნილია რთულ მართვად სისტემებში გადაწყვეტილებათა მიღების საკითხებში მომუშავე სპეციალისტების, სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის.

აკად.წევრ-კორ. რ.ხუროძე

1) „გამოყენებითი კრიპტოგრაფიის საფუძვლები“ (თანაავტორობით; გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 188 გვ., თბილისი).

განხილულია ქსელური უსაფრთხოების საკითხები, მასთან დაკავშირებული თეორიული და გამოყენებითი პრობლემები, ქსელებში ინფორმაციის გადაცემის უსაფრთხოების დარღვევის თავიდან აცილების ღონისძიებები. დაწვრილებითაა განხილული სიმეტრიული და არასიმეტრიული შიფრაციის სხვადასხვა

ალგორითმი, ციფრულ ხელმოწერასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაწყვეტის მეთოდები.

2) „სისტემური რეგულაციები და სისტემური ოპტიმიზაცია“ (თანაავტორობით; Nova Science Publishers. ნიუ-იორკი, 200 გვ., ინგლისურ ენაზე).

პ) სახელმძღვანელოები

აკად.წევრ-კორ. ა.ფრანგიშვილი

1) „იმიტაციური მოდელირების ენა GPSS-WORLD და როგორი სისტემების მოდელები“ (თანაავტორობით; გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 254 გვ., თბილისი).

დამუშავდა რა ახალი მოდელი პერსონალური კომპიუტერისათვის, იმიტაციური მოდელირების ამ ენაში შეიძინა მეორე სიცოცხლე. აშშ-ში იმიტაციური მოდელირების ენებში GPSS-WORLD ითვლება უველაზე პოპულარულად. იგი წარმოადგენს მასობრივი მომსახურების სფეროს მოდელირების ობიექტ-ორიენტირებულ მაკრო ენას. ახსნილია ენის ოპერატორები და მოყვანილია მაგალითები ამ ოპერატორებზე. წარმოდგენილია ავტორების მიერ დამუშავებული რეალური პროცესების მოდელები, რომლებიც მომხმარებელს წარმოდგენას უქმნის ფართო კლასის ამოცანებში ენის გამოყენების სიმძლავრეზე.

2) „ბიზნეს დაგეგმარება და ინფორმაციული ტექნოლოგიები“ (თანაავტორობით; გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 237 გვ., თბილისი).

ნაშრომი წარმოადგენს როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო დანიშნულების სახელმძღვანელოს. ბიზნესის მოდელირების ენის გამოყენებით დამუშავებულია მაკრო მოდელი, დაგეგმარების მეთოდური საფუძვლები, ფინანსური ანალიზის მეთოდოლოგია და შესაბამისი ქართულენოვანი პროგრამა. აღნიშნული მასალა თავის თავში შეიცავს სასწავლო დანიშნულების მიზანსაც. შესრულებულია რეალური ბიზნეს მოდელები.

3) „კომპიუტერული ქსელების ინჟინერინგის საფუძვლები“ (თანაავტორობით; სტუ. 240 გვ., თბილისი).

კომპიუტერული ქსელები ინფორმაციული სისტემის მთავარ ტექნოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. ამდენად, მომხმარებელთა ფართო სპეციალისტის კომპიუტერული ქსელების პროექტირებაში საჭირო გახდა თანამედროვე ქართულენოვანი სახელმძღვანელო, რომელიც ქსელების საინჟინრო პროექტირების საფუძვლებს შეასწავლის საინჟინრო პერსონალს.

აკად.წევრ-კორ. რ.ხუროძე

„კრიპტოგრაფია“ (თანაავტორობით; გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 214 გვ., თბილისი).

განხილულია კრიპტოგრაფიის ძირითადი საკითხები, უსაფრთხოების სერვისები და მექანიზმები, სიმეტრიული და არასიმეტრიული შიფრაციის სხვადასხვა ალგორითმები, ციფრული ხელმოწერა, ჰეშფუნქციები, გასაღებების გაცვლის ალგორითმები და შეტყობინებათა აუთენტიკაციის საკითხები. მასალა დაყოფილია ლექციებად, თითოეული ლექციის ბოლოს მოცემულია ტესტები.

გ) სტატიები

აკად. რ.ადამია

1) „პერიოდული ქმედების უნივერსალური დახურული რკალური დუმელი ფოლადის პირდაპირი მიღებისათვის რკინის მაღნის მონოკაზმის ბრიკეტებისაგან“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №2, 70-73, ინგლისურ ენაზე).

ფოლადის წარმოების პრაქტიკაში პირველადაა შემოთავაზებული პერიოდული ქმედების უნივერსალური დახურული რკალური დუმელი ფოლადის პირდაპირი მიღებისათვის რკინის მაღნის მონოკაზმის ბრიკეტებისაგან. მოყვანილია ლუმელის ძირითადი

ელექტრული და გეომეტრიული პარამეტრების საანგარიშო ფორმულები. წარმოდგენილია ლუმელის წყლით გამაცივებელი სახურავის ახალი კონსტრუქცია, რომელიც უზრუნველყოფს მინიმალურ ელექტრულ დანაკარგებს და საშუალებას იძლევა მის დასამზადებლად გამოვიყენოთ იაფი დაბალნახშირბადიანი მარკის ფოლადი, რაც საგრძნობლად ზრდის ღუმელის ეკონომიურობას და მინიმუმამდე დაჰყავს ლუმელის ასაგებად საჭირო კაპიტალური დაბანდებები.

2) „მეტალურგიული მანქანების ტრანსმისიებში შიდარეზონანსული მოვლენების აღმოფხვრა“ (თანაავტორობით; Ж. „Сталь“, №12, 21-25, მოსკოვი, რუსულ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ მეტალურგიული მანქანების კონსტრუქციული და დრეკად-ინერციული პარამეტრების არარაციონალურად შერჩევის შემთხვევაში მათ ტრანსმისიებში აღიძგრება შიდარეზონანსული მოვლენები, რაც რხევათა ფლუქტუაციის (ცემის) ხასიათს ატარებს და განაპირობებს სამანქანო აგრეგატების საპასუხისმგებლო კვანძების დაჩქარებულ მსხვრევებს. შემოთავაზებულია ალგორითმები, რომელთა გამოყენებით კონსტრუქტორს შესაძლებლობა ეძლევა ჯერ კიდევ მანქანის დაპროექტების საწყის სტადიაზე სწორად განსაზღვროს მეტალურგიული აგრეგატების ტრანსმისიის ელემენტების პარამეტრთა მნიშვნელობანი და თანაფარდობანი, რაც განაპირობებს დასაპროექტებელ სისტემაში რხევათა შიდარეზონანსული მოვლენების სრულ აღმოფხვრას და ამის შედეგად მანქანების მედეგობისა და ხანგამდლეობის მნიშვნელოვნად ამაღლებას.

3) „განმაღრუებელი დგანის მთავარ ხაზში დინამიკური მოვლენების ანალიზი მისი ელემენტების შერთებებში დრეჩოების გათვალისწინებით“ (თანაავტორ-

რობით; უურნალი „ნოვაცია”, №2, 7-13, ქუთაისი, რუსულ ენაზე).

გაანალიზებულია განმაღრუებელი დგანების ტრანსმისიებში წარმოქმნილი დინამიკური მოვლენები მთავარი ელექტროამძრავის ჩართვის მომენტიდან სისტემის დამყარებულ მოძრაობამდე ტრანსმისიის ელემენტებში ღრეულების ეტაპობრივად გადახურვის (ჩაკვიტვის) გათვალისწინებით. განსაზღვრულია დგანების მთავარი ხაზის ტრანსმისიებში დინამიკურობის კოეფიციენტის მნიშვნელობანი. დადგენილია განმაღრუებელი აგრეგატების კონსტრუქციული და დრეკად-ინერციული პარამეტრების მნიშვნელობები, რომელთა რეალიზაცია უზრუნველყოფს მინიმალურ დინამიკურ დატვირთვებს დგანების ამძრავთა სისტემებში.

4) „სამანქანო აგრეგატების ოპტიმალური დინამიკური პროცესების გაანგარიშებისა და დაპროექტების ალგორითმები“ (ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXII გაფართოებული სხდომის მოხსენებები, ტ. 23, საერთაშორისო კონფერენცია, მიძღვნილი ივეკუას დაბადების 100 წლისთავისადმი, 27-33, ინგლისურ ენაზე).

დასმული და გადაწყვეტილია სამანქანო აგრეგატების ტრანსმისიებში დინამიკური (რხევითი) პროცესების ოპტიმიზაციური სინთეზის ამოცანები. ნაპოვნია ანალიზური დამოკიდებულება, ურთიერთკავშირი მექანიკური სისტემების სტრუქტურასა და მათ დინამიკურ ფუნქციას (დინამიკურ დონეებს) შორის. შემოთავაზებულია მეთოდები და ალგორითმები, რომლებიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს სამანქანო აგრეგატების კონსტრუქციული და დრეკად-ინერციული პარამეტრების მნიშვნელობები და თანაფარდობები. მათი პრაქტიკული რეალიზაცია უზრუნველყოფს სამანქანო სისტემების მედეგობის, სწრაფქმედებისა და მუშაუნარიანობის მნიშვნელოვან ზრდას.

5) „მეტალურგიული მანქანების ტრანსმისიებში დინამიკური დატვირთვების მინიმიზაციის საინჟინრო მეთოდები“ (თანაავტორობით; დონეცკის ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები, ტ. 47, 103-111, რუსულ ენაზე).

შემოთავაზებულია ინჟინერ-დამპროექტებლებისათვის ხელმისაწვდომი მეთოდები და ალგორითმები, რომლებიც საშუალებას აძლევს კონსტრუქტორებს მეტალურგიული მანქანების მოცემული სტრუქტურისა და კონსტრუქციულ პარამეტრთა მნიშვნელობების მიხედვით სწორად შეაფასონ დასაგეგმარებელი ობიექტის დინამიკური დატვირთვების დონე და ხასიათი, საჭიროების შემთხვევაში განახორციელონ აღნიშნულ პარამეტრთა მიზანმიმართული კორექტირება, რაც უზრუნველყოფს მანქანის ტრანსმისიის ელემენტების მინიმალურ ვიბრაციებისა მათი საიმედოობისა და სიმტკიცის ამაღლების მიზნით.

აკად. მ.სალუქვაძე

1) „ოპტიმალური მართვის ამოცანების გადაწყვეტის რიცხვითი მეთოდი სიმძიმის ცენტრების მეთოდის საფუძველზე“ (თანაავტორობით; ა.ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, №12, 7-21, თბილისი, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ოპტიმალური მართვის ამოცანების ამოხსნის რიცხვითი მეთოდი, რომელიც შემუშავებულია სიმძიმის ცენტრების მეთოდის საფუძველზე. იგი საშუალებას იძლევა გადაწყვდეს ოპტიმალური მართვის ამოცანები საინჟინრო პრაქტიკაში დასაშვები სიზუსტით მარტივად და კომპიუტერული დროის მინიმალური დანახარჯებით. შემუშავებული მეთოდით გადაწყვეტილია ოპტიმალური მართვის როგორც უწყვეტი, ისე დისკრეტული ამოცანები. მიღებული შედეგები მიუთითებს მეთოდის ეფექტურობაზე.

2) „ცვლადპარამეტრებიანი წრფივი დინამიკური სისტემების პარამეტრული იდენტიფიკაცია და მოდე-

ლის დადასტურება“ (თანაავტორობით; ა.ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, №12, 38-43, თბილისი, რუსულ ენაზე).

განხილულია ცვლადპარამეტრებიანი წრფივი დინამიკური სისტემების პარამეტრული იდენტიფიკაციის ამოცანა. იგი დასმულია როგორც წრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლების კოშის ამოცანის გარკვეული აზრით შებრუნებული ამოცანა. სისტემის პარამეტრებზე, შესავალ და გამოსავალ ცვლადებზე გარკვეული შეზღუდვების დროს ფორმულირებული და დამტკიცებულია თეორემა ისეთი ინტერვალის არსებობის შესახებ, სადაც სისტემის კოეფიციენტების უწყვეტი მატრიცა იდენტიფიცირებადია. პარამეტრების შეფასების ალგორითმი და მოდელის დადასტურების საკითხი გამოკვლეულია ორგანზომილებიანი სისტემის მაგალითზე როგორც ანალიზურად, ისე კომპიუტერული მოდელირების საშუალებით.

აკად. ვჭავჭანიძე

„წყლის შედგენილობის განსაზღვრა წყალსაცავში არსებული ფაუნის წარმომადგენლების მეშვეობით“ (თანაავტორობით; ა.ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული, №12, 208-213, თბილისი).

განხილულია ეკოლოგიური მონიტორინგის კომპლექსური მეთოდი გარემოს დაბინძურების გამოაშკარავებისათვის, რომელსაც „ეწოდება „ბიოინდიკაცია“. ბიოინდიკაციის მთავარ კომპონენტს წარმოადგენს ბიოინდიკატორი – ერთი სახეობის ინდივიდთა ჯგუფი ან თანასაზოგადოება, რომელთა არსებობის, მდგომარეობისა და ქცევის მიხედვით მსჯელობენ გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე, მათ შორის დაბინძურების არსებობისა და მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის შესახებ. განხილულია ბიოინდიკაციის მეთოდის გამოყენება მარილიან და მტკნარ წყალში, წყალსაცავებში

და მდ. მტკვრის დინების დიდ მონაკვეთზე. ნაჩვენებია, რომ პიონინდიკატორების როლში შეიძლება იყოს გამოყენებული თევზების სხვადასხვა ტიპები, მათი საარსებო პირობები, ზომები და ორგანოების (ლაყუჩები, ღვიძლი) მდგომარეობა. ამოცანის გადაწყვეტისას გამოყენებულია ხელოვნური კონცეპტუალური ინტელექტის მეთოდის ერთ-ერთი მიდგომა.

აკად. გჭიჭინაძე

„პიდროვენერგორესურსების როლი საქართველოს ელექტროენერგეტიკაში“ (თანაავტორობით; ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრუბული, №12, 118-123, თბილისი).

გაანალიზებულია საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის სადღეისო მდგომარეობა და ნაჩვენებია კრიზისის გამომწვევი მიზეზები. მოყვანილია ენერგეტიკული რესურსების არსებული მონაცემები. ოპტიმიზაციის ამოცანის ამოხსნის შედეგად ნაჩვენებია, რომ ბუნებრივ აირზე ფასების პერმანენტული ზრდის პირობებში საქართველოს პიდროვენერგეტიკული რესურსების ტექნიკური პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება გადავიდეს ეკონომიკურად გამართლებული პოტენციალის კატეგორიაში, რაც არსებითად გაზრდის პიდროვენერგორესურსების როლს საქართველოს ელექტროენერგეტიკაში.

აკად. წევრ-კორ. გგაბრიშიძე

„თუ გარე ძალა იწყებს ზემოქმედებას მატერიალურ წერტილზე, იგი შეიცვლის უძრაობის ან თანაბარი სწორხაზოვანი მოძრაობის მდგომარეობას, მაგრამ დაგვიანებით“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №1, 54-56, ინგლისურ ენაზე).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ მატერიალური წერტილის მოძრაობის შეფერხების, ან რხევების ჩაქრობის მიზეზი შეიძლება იყოს არა მარტო ის ფაქ-

ტორები, რომლებიც მასისათვის წარმოადგენს გარუ-
მოს, არამედ თვით მასის ბუნება. მოყვანილია ანალი-
ტიკური ილუსტრაცია იმისა, თუ როგორ ხდება მოძ-
რაობის შეფერხება რეაქციის დაგვიანების მიზეზით.
მაგალითად, გამოყენებულია მატერიალური წერტილის
მოძრაობის ჩვეულებრივი დიფერენციალური განტო-
ლება, რომელიც გარდაიქმნება დიფერენციალურ გან-
ტოლებად წინმსწრები არგუმენტით.

აკად.წევრ-კორ. თ.იამანიძე

„საზღვარზე შეყურსული ძალის მოძრაობით გამო-
წვეული ორთოტროპული ნახევარსიბრტყის შეშფოთვ-
ბის შესახებ“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის მოამბე, ტ. II, №3, 43-47, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ორთოტროპული ნახევარსიბრტყის
საზღვარზე შეყურსული ძალის მოძრაობით გამოწვეუ-
ლი შეშფოთება. ნაჩვენებია, რომ ანიზოტროპიულ
სხეულში ძაბვების სიდიდები და ტალღების გავრცე-
ლების არე გაცილებით დიდია, ვიდრე იზოტროპიულ
მასალებში.

აკად.წევრ-კორ. ემედმარიაშვილი

1) „თაღოვანი ტრანსფორმირებადი სისტემის
სტრუქტურული და კინემატიკური ანალიზი“ (თანაავ-
ტორობით; „მექანიკის პრობლემები“, №1(30), 53-61, თბი-
ლისი, ინგლისურ ენაზე).

განხილულია რეგულარული სტრუქტურულ ელე-
მენტებიანი თაღოვანი ტრანსფორმირებადი სისტემის
სტრუქტურული და კინემატიკური ანალიზი. განსაზ-
ღვრულია სისტემის გეომეტრიული პარამეტრების
ცვლილების კანონზომიერებანი, რომლებიც უზრუნ-
ველყოფს სისტემის განშლას თაღოვან ზედაპირზე მო-
ცემული საწყისი პარამეტრების შესაბამისად.

2) „ახალი კოსმოსური რეფლექტორული სტრუქ-
ტურები“ (თანაავტორობით; „მექანიკის პრობლემები“,
№1(30), 24-30, თბილისი, ინგლისურ ენაზე).

წარმოდგენილია დიდი გასაშლელი რეფლექტორის სტრუქტურული ანალიზი და დამუშავებული მოდელის აღწერა. შექმნილია კონსტრუქციის გაშლის არაწრფივი სასრულელემენტიანი მოდელი. შედგენილია მოძრაობის დიფერენციალური განტოლებები, რომელთა ამოხსნა მიღებულია ბიჯური ინტეგრირებით. შედეგად მიღებულია რეფლექტორის ყველა კვანძის ტრაექტორიები და კოორდინატები დროსთან მიმართებაში. დაღგენილია ელემენტებში მოქმედი ძალოვანი ფაქტორები. ამ ფაქტორების გათვალისწინებით მიღებულია რეფლექტორის გაშლის სურათი ანიმაციის სახით.

3) „გასაშლელი საიერიშო ხიდი მალით 48 მეტრი“ (თანაავტორობით; „მექანიკის პრობლემები“, №2(31), 24-38, თბილისი, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ერთმალიანი, მრავალჯერადი გამოყენების ექსტრემალური ხიდები, რომელთა გახსნისა და დაკეცვის ორგანიკა ზუსტ შესაბამისობაშია მათი ტრანსპორტირებისა და ადგილზე გამოყენების პირობებთან. ასეთი ხიდები განთავსდება სატრანსპორტო-სამონტაჟო საშუალების ერთ ერთეულზე – ავტომანქანაზე, ტანკზე ან ვერტმფრენზე. იგი უმოკლეს ვალდაში გაიდება და აიღება გადასალახი წინააღმდეგობიდან. მისი მონტაჟისა და დემონტაჟის დროს ადამიანები არ გადმოდიან სატრანსპორტო-სამონტაჟო საშუალებიდან. ამასთან, წარმოდგენილი ხიდის კონსტრუქციაში, ერთის მხრივ, გაზრდილია ხიდის მალი 24 მეტრიდან 48 მეტრამდე და, მეორეს მხრივ, მისი დაკეცილი პაკეტის წონა და გაბარიტები იგივეა, რაც უკვე არსებული 24-მეტრიანი მალის მქონე ხიდებისა.

4) „რეფლექტორის ტრანსფორმირებადი მექანიკური სისტემების სტრუქტურა და კინემატიკა“ (თანაავტორობით; „მექანიკის პრობლემები“ №3(32), 23-33, თბილისი, ინგლისურ ენაზე).

განხილულია რეფლექტორის ბერკეტული ელემენტებისაგან შემდგარი არასიმეტრიული ჩაკეტილი სისტემა, რომლის ტრანსფორმირება ხდება წარმოსახვით კონუსურ ზედაპირზე, რაც განპირობებულია ბერკეტულის პერიფერიული სახსრების ცენტრალური სახსრების მიმართ არათანაბარ მანძილზე განლაგებით. დადგენილია სისტემის მოძრაობის კანონი და გეომეტრიული პარამეტრები, რაც უზრუნველყოფს სინთეზის ამოცანის გადაწყვეტას მოცემული საწყისი პირობების გათვალისწინებით. წარმოდგენილია, აგრეთვე, სფერულ ზედაპირზე ტრანსფორმირებადი ჯაჭვური სისტემის პრინციპული სქემა და მისი სტრუქტურული ანალიზი.

აკად.წევრ-კორ. ა.ფრანგიშვილი

1) „წყლის დონის მონიტორინგის სისტემა“ (თანაავტორობით; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მართვის სისტემების, კონტროლისა და გაზომვების ტექნიკური და პროგრამული საშუალებები“ მასალები, მოსკოვი, რუსულ ენაზე).

განხილულია წყლის დონის მონიტორინგის უნიფიცირებული სისტემა, რომელიც გამოზნულია პიდროელექტროსალგურებისათვის. სისტემა შედგება ორი ძირითადი კომპონენტისაგან: უნიფიცირებული დონმზომისა და მონიტორინგის კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფისაგან. დონმზომი გადაწყვეტილია ელექტრომექანიკური ხელსაწყოს სახით. იგი უნიფიცირებულია კონსტრუქციული, ელექტრული, ინფორმაციის დამუშავებისა და გადაცემის თვალსაზრისით და უნივერსალურია სხვადასხვა სიმძლავრისა და კონსტრუქციის პიდროელექტროსალგურებში გამოსაყენებლად.

2) „მუნიციპალური წარმონაქმნის ეკონომიკური ბაზის ინდიკატორულ მახასიათებელთა შეფასების სისტემის დამუშავება“ (თანაავტორობით; სტუ-ს შრომები, №3(469), 50-55).

შემოთავაზებულია მუნიციპალური წარმონაქმნის ეკონომიკური მდგომარეობის მახასიათებელთა შეფასების სისტემა. წარმოდგენილი სისტემა მოიცავს პირველად საინფორმაციო ბაზას, ინდიკატორულ მახასიათებელთა გელს, პირველად საინფორმაციო ბაზაზე დაყრდნობით მათი განსაზღვრის წესებს და ერთიანი საინფორმაციო სისტემის არქიტექტურას, რომელიც კლიენტ-სერვერის კორპორაციული ქსელის პრინციპზეა აგებული.

3) „საქალაქო მეურნეობის მომსახურების სფერო“ (თანავტორობით; ჟურნ. „პიდროინჯინერია“, №2(6)).

შემოთავაზებულია მუნიციპალური წარმონაქმნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატორული სისტემა, შემოტანილია ცალკეულ ინდიკატორთა შეფასება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დასახასიათებლად. შემოტანილია მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების საინფორმაციო ბაზის სტრუქტურა, რომელიც ეყრდნობა სარაიონო მონაცემებს. აგებულია კლიენტ-სერვერული იერარქიული მონაცემთა ბაზების სისტემა.

აკად.წევრ-კორ. ი.ლუდუშაური

1) „ლმერთისაგან ნაბოძები მთაგორიანი რელიეფისა და მრავალი წყალუხვი მდინარის პირობებში საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ტაქტიკისა და სტრატეგიის შესახებ“ (ჟურნალი „ენერგია“, №1(45), თბილისი).

განხილულია საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ტაქტიკასა და სტრატეგიასთან.

2) „საქართველოს ბედის ირონიის შესახებ“ (ჟურნალი „ენერგია“, №2(46), თბილისი).

დასაბუთებულია ახალი მიმართულების – „უწყვეტ ტანთა მექანიკა ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებებში“ არსი და მოყვანილია მისი გამოყენებით

ავტორის მიერ ზუსტი სახით გადაწყვეტილი მრავალი როული ამოცანის შედეგები.

აკად.წევრ-კორ. ლ.ჯაფარიძე

„მიწისქვეშა ნაგებობების საექსპლოატაციო პირობების ზღვრულ მდგომარეობებზე გაანგარიშების პირობები“, ელექტრონული ვერსია: <http://www.scientific.net>.

აკად. მ.სალუქვაძის დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ-მა აკადემიამ, საქართველოს საინჟინრო აკადემიამ, საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, ა.ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტმა და მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოებამ გამოსცეს კრებული „მინდია სალუქვაძე 75“, რომელიც ეძღვნება მის ცხოვრებასა და მეცნიერულ და საზოგადოებრივ საქმიანობას.

განყოფილების წევრები აკად. მ.სალუქვაძე, აკად. რ.ადამია, აკად.წევრ-კორ. ე.მექმარიაშვილი და აკად. წევრ-კორ. ლ.ჯაფარიძე მონაწილეობდნენ (ან ხელ-მძღვანელობდნენ) სამეცნიერო ოემების შესრულებაში.

აკად. მ.სალუქვაძე მონაწილეობდა ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული პროექტის: „როული დინამიკური სისტემების იდენტიფიკაცია, მართვა და მოდელირება“ შესრულებაში.

მიღებულია 3 პატენტი გამოგონებაზე.

განყოფილების წევრები მონაწილეობდნენ სამეცნიერო კონფერენციებში:

აკად. მ.სალუქვაძემ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „დინამიკური სისტემები: მდგრადობა, მართვა, ოპტიმიზაცია“ (ქ.მინსკი, ბელორუსია) მუშაობაში; აკად.წევრ-კორ. გ.გაბრიჩიძე მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციის – „გეოფიზიკისა და საინჟინრო სეისმოლოგიის აქტუალური პრობლემები“, ივეკუას დაბადების 100 წლისთავისადმი

მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის (ქ.თბილისი) მუშაობაში; აკად. წევრ-კორ. ე.მექმარიაშვილი მონაწილეობდა ევროპული კოსმოსური სააგენტოს საერთაშორისო კონფერენციაში დიდი გასაშლელი კოსმოსური ანტენების დარგში (ქ.ნორდვიკი, ნიდერლანდები); აკად.წევრ-კორ. ლ.ჯაფარიძე მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციაში „მიწისქვეშა საშუალებები უკავთესი გარემოსა და უსაფრთხოებისათვის“ (ქ.აგრა, ინდოეთი).

აკად.წევრ-კორ. ე.მექმარიაშვილი შეყვანილია საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის (IBC) 2008 წლის პირველ ასეულში (კემბრიჯი, დიდი ბრიტანეთი).

განყოფილების საერთო კრებამ აკადემიკოს-მდივნად აირჩია აკად. მ.სალუქაძე; განყოფილების ბიურო არჩეულია შემდეგი შემადგენლობით: აკად. რ.ადამია, აკად.წევრ-კორ. გ.გაბრიჩიძე, აკად.წევრ-კორ. პ.მერაბიშვილი, აკად.წევრ-კორ. ა.ფრანგიშვილი, აკად.წევრ-კორ. ლ.ჯაფარიძე, აკად.წევრ-კორ. რ.ხუროძე. განყოფილების სწავლულ მდივნად არჩეულია ტექნ.მეცნ.კანდ. ნ.კილაშვილი.

განყოფილებასთან ფუნქციონირებს საინჟინრო პრობლემების, ენერგეტიკისა და მართვის თეორიის დარგობრივი კომისია (თავმჯ. აკად. მ.სალუქაძე).

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილებაში 2009 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო 9 წევრი, მათ შორის 6 აკადემიკოსი და 3 წევრ-კორესპონდენტი.

2008 წელს განყოფილების წევრებმა გამოაქვეყნეს 2 მონოგრაფია, 1 წიგნი, 44 სამეცნიერო სტატია, მათ შორის 16 საზღვარგარეთ.

ა) მონოგრაფიები და წიგნები

აკად. ი. უორდანია

1) „იმერეთის ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები“ (თანაავტორობით; გამომცემლობა „საუნჯე“, თბილისი, 20 წ.).

მონოგრაფიაში მოცემულია იმერეთისა და მისი ადმინისტრაციული რაიონების სასარგებლო წიაღისეულის, ენერგეტიკული, მიწის, წყლის, ტყისა და ბუნებრივ-რეკრეაციული და შრომითი რესურსების თანამედროვე მდგომარეობის შეფასება და მათი რაციონალური, კომპლექსური გამოყენების პერსპექტივები.

2) „კახეთის ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები“ (თანაავტორობით; გამომცემლობა „საუნჯე“, თბილისი, 19,5 წ.).

მოცემულია კახეთის მხარისა და მისი ადმინისტრაციული რაიონების ბუნებრივი და შრომითი რესურსების პოტენციალის შეფასება და მისი რაციონალური გამოყენების პერსპექტივული მიმართულებები. აღნიშნულია მათი მნიშვნელობა როგორც ცალკეული რეგიონის, ასევე მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში.

აკად. გ.ცინცაძე

„შალვა ცინცაძის მეცნიერული მემკვიდრეობა“
(თანაავტორობით; გამომცემლობა „თბილისი“, თბილისი, 206 გვ.).

წიგნში მოცემულია გამორჩეული ქართველი ქიმიკის შალვა ცინცაძის მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები. განხილული და გაანალიზებულია მისი შრომები ანალიზურ და აგრონომიულ ქიმიაში.

ბ) სტატიები

აკად.თ.ანდრონიკაშვილი

1) „ცეოლითშემცველი მთის ქანების გამოყენება მემცენარეობაში“ (თანაავტორობით; ჟურნალი „აგროქიმია“, რფ, №12, 63-79, რუსულ ენაზე).

შესწავლილია როგორც სუფთა სახის, ასევე მინერალური და ორგანული სასუქებით გამდიდრებული სედიმენტაციური წარმოშობის ბუნებრივი ცეოლითების გავლენა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე. ნაჩვენებია, რომ ნიადაგში ასეთი სახის ქანების შეტანისას უმჯობესდება მისი ფიზიკურ-ქიმიური და აგროქიმიური თვისებები, იზრდება მოსავლიანობა და უმჯობესდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხი. ეს ახალი მიმართულება ფაქტიურად წარმოადგენს სამრეწველო მიწათმოქმედებიდან ბიოლოგიურზე გადასვლას და არის ეკოლოგიურად უფრო უსაფრთხო. ასეთი მინერალების გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია ნაკლებად ნაყოფიერ ნიადაგებში.

2) „ყურძნის მოსავალზე ბუნებრივი ცეოლითების ზემოქმედება და შემდგომი ქმედება“ (თანაავტორობით; აგრარული მეცნიერების მაცნე, ტ. 6, №2, 15-19).

ნაჩვენებია, რომ ყურძნის საცდელი ვაზის ძირში წვრილადდაფქვილი ცეოლითშემცველი ქანებისა და შესაბამისი ორგანო-ცეოლითური სასუქის შეტანისას

მოსავლიანობა საკონტროლოსთან შედარებით დაახლოებით 1,5-2-ჯერ იზრდება. აღნიშნულია ანალციმშემცველი ქანისა და შესაბამისი ორგანო-ცეოლითური სასუქის შემდგომი ქმედების დადებითი ეფექტი ყურძნის მოსავალზე ექსპერიმენტის მეორე წელს.

3) „ბუნებრივი ცეოლითის – კლინოპტილოლითის შემცველი ტუფის ბიოლოგიური აქტივობა” (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №3, 99-107, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ბუნებრივი ცეოლითების – კლინოპტილოლითშემცველი ტუფებისა და მის საფუძველზე მომზადებული ტორფიან-ცეოლითური და ორგანო-ცეოლითური სასუქების ზემოქმედება ნიადაგის მიკროორგანიზმების თვისობრივ და რაოდენობრივ შემადგენლობაზე.

4) „ბუნებრივი ცეოლითების გამოყენება მაღალ-ეფექტური თხევადი ქრომატოგრაფიის პრაქტიკაში გამოყენებული ზოგიერთი გამხსნელის გასაშრობად” (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, ტ. 34, №3, 293-304, რუსულ ენაზე).

განხილულია გამხსნელის გაუწყლოების პროცესზე მთელი რიგი ფაქტორების გავლენა. დადგენილია გაშრობის პროცესის ორი მექანიზმი: გამხსნელიწყალი მოლექულების კონკურირებადი ადსორბცია და მოლექულურ-საცრული ეფექტის გამოვლენა ანუ ცეოლითის არხებში მხოლოდ წყლის მოლექულების მიგრაცია.

5) „ C_2-C_5 სპირტების გასაუწყლოებლად A ტიპის ცეოლითების გამოყენების უპირატესობა” (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, ტ. 34, №4, 414-418, რუსულ ენაზე).

დადგენილია, რომ C₂-C₅ ნორმალური აღნაგობის ერთატომიანი სპირტების გასაუწყლოებლად მიზანშეწონილია A ტიპის ცეოლითის კალიუმისა და ნატრიუმის ფორმის გამოყენება, ხოლო კალციუმის ფორმის, X და Y ტიპის ცეოლითების და, აგრეთვე, მორდენიტის გამოყენება ამ მიზნით ნაკლებად პერსპექტიულია.

6) „ორგანული სითხეების გასაუწყლოებლად გამოყენებული ნანომოდიფიცირებული ცეოლითების ზოგიერთი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლა” (თანაავტორობით; საქართველოს საინჟინრო სიახლენი, გ. 48, №4, 102-104, რუსულ ენაზე).

განხილულია მორდენიტის, ერიონიტის, კლინოპტილოლითის, ჰეილანდიტის, ფილიფიტის, შაბაზიტისა და A, X, Y ტიპის ცეოლითების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების ზოგიერთი ასპექტი. ნაჩვენებია, რომ მათი მოლეკულურ-საცრული თვისებები დამოკიდებულია არა მარტო არხების გეომეტრიაზე, არამედ კრისტალუბის ქიმიურ შედგენილობაზე და, პირველ რიგში, ალუმინ-სილიკატური კარკასის უარყოფითი მუხტის მაკომაჟნირებელი კათოონების ბუნებასა და რაოდენობაზე.

აკად. ი. უორდანია

1) „ტყიბული-შაორის საბადოს ბაზაზე საქართველოს ნახშირის მრეწველობის რესტრუქტურიზაციის პრინციპები და მოსალოდნელი შედეგები” (თანაავტორობით; ურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1-3, 55-69, თბილისი).

განხილულია საქართველოს ნახშირის მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობა და დადგენილია დარგის დეგრადაციის გამომწვევი მიზეზები. დასაბუთებულია ტყიბული-შაორის საბადოს ათვისების ექსტენსიური მოდელის ინტენსიური მოდელით შეცვლის შესაძლებლობა.

2) „თუჯის დრუტანიანი ნამზადების უწყვეტი ჩამოსხმა და ჩამოსხმის პროცესის ავტომატიზაცია” (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №2, 64-69, ინგლისურ ენაზე).

შემუშავებულია ჩამოსხმის პროცესის ავტომატიზაციის ორიგინალური მოწყობილობა; განხილულია მისი ფუნქციონირების პრინციპი; მოყვანილია გამოწევის ძალის ცვლილებების ამსახველი დიაგრამები, საიდანაც ჩანს ოპტიმალური რეჟიმიდან გადაცდომის შემთხვევაში რამდენად ოპერატიულად ახდენს რეაგირებას ავტომატიზაციის მოწყობილობა.

3) „სორტული ნაგლინის ნამზადის წარმოების პერსპექტივები საქართველოში” (თანაავტორობით; უურნალი „შედუღების, მეტალურგიისა და მონათესავე ტექნოლოგიების პრობლემები”, თბილისი, №1 (19), რუსულ ენაზე).

შემუშავებულია სპეციალური ნომოგრამა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია როგორც ვერტიკალური, ასევე რადიალური ტიპის უწყვეტი ჩამოსხმის მანქანების ძირითადი კონსტრუქციული პარამეტრების განსაზღვრა ჩამოსხმის ტექნოლოგიური პარამეტრების გათვალისწინებით კონსტრუქციული ფოლადების ფართო სპექტრისათვის.

აკად. ექემერტელიძე

1) „*Yucca gloriosa*-ს ქერქსა და ფესვებში ფენოლურ ნივთიერებათა განსაზღვრის LC-MS/MS მეთოდი”, (თანაავტორობით; Journal of Pharmaceutical and biomedical analysis, 47, 854-859, აშშ, ინგლისურ ენაზე).

შემუშავებულია საქართველოში ინტერდუცირებული *Yucca gloriosa*-ს ფესვებიდან და დეროს ქერქიდან წინა წლებში გამოყოფილი იშვიათი ჯგუფის ფენოლური ნივთიერებების – სტილბენების რაოდენობითი

LC-MS/MS მაღალეფექტურ-თხევად-მას-სპექტრული ანალიზის მეთოდი. განსაზღვრულია ცალკეული სტილ-ბენების იუკაოლების A,B,C,D,E და გლორიოზაოლების A,B,C,D,E რაოდენობა. დადგენილია სტილბენების მაღალი შემცველობა ღეროს ქერქში. მათ ძირითად კომპონენტს რთული სპიროსტრუქტურის მქონე ნივთიერება გლორიოზაოლი B წარმოადგენს. მოწოდებული მეთოდი კარგად აღწარმოებადია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნედლეულისა და მზა პროდუქციის ხარისხის კონტროლისათვის. *Yucca gloriosa*-ს სტილბენები მეტად ძლიერი ანტიოქსიდანტური აქტივობით იპყრობენ ყურადღებას.

2) „საქართველოში მოზარდი ზოგიერთი მცენარიდან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები და სამკურნალო პრეპარატები” (Химия в интересах устойчивого развития, 16, 77-86, ხოვთსიბირსკი, რფ, რუსულ ენაზე).

სტატია მიმოხილვითი ხასიათისაა და მასში თავმოყრილია მრავალი წლის კვლევის შედეგები საქართველოში მოზარდი ან ინტროდუცირებული მცენარეების ისეთ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებზე, როგორიცაა: კარდენოლიდები და ბუფადიენოლიდები, სტეროიდული და ტრიტერპენული გლიკოზიდები, ლიკიდები, ფლავონოიდები, სტილბენები, ტანიდები, ფენილკარბონმჟავები, ანტრაქინონები; მათ საფუძველზე შექმნილია ორიგინალური პრეპარატები: დიგიცილენი, დიგიცილი, აცეტილტიგიტოქსინი, ტრიბუსპონინი, ალფა-ქსინი, დიგიტონინი (ორიგინალური ტექნოლოგია), კავსურონი, ფაციფლოგინი, ფლარონინი, როდოპესი, ცარუბოლი, სატურინი, ფსორანტრონი, რამნილი.

3) „სტეროიდული გლიკოზიდები *Helleborus caucasicus* მიწისქვეშა ნაწილებიდან” (თანაავტორობით; Phytochemistry, 69, 1227-1233, აშშ, ინგლისურ ენაზე).

Helleborus caucasicus-ის მიწისქვეშა ნაწილების მეთანოლიანი ექსტრაქტიდან გამოყოფილია ფურო- და სპიროსტანოლური სტეროიდული გლიკოზიდები. მათ შორისაა ახალი ორგანული ნივთიერებები, რომლებსაც კავკაზიკონიდები A,B,C,D ეწოდათ შემდეგი ქიმიური სტრუქტურით:

A – ფუროსტა-5,20(22),25(27)-ტრიენ-1 β ,3 β ,11 α , 26-ტეტრაოლ-26-O- β -D-გლუკოპირანოზიდი;

B – 26-O- β -D-გლუკოპირანოზილ ფუროსტა-5,20(22), 25(27)-ტრიენ-1 β ,3 β ,11 α , 26-ტეტრაოლ 3-O- α -L-რამნოპირანოზილ(1 \rightarrow 2)-O- β -D- გლუკოპირანოზიდი;

C – 26-O- β -D-გლუკოპირანოზილ 22 α -მეთოქსი-ფუროსტა-5,25(27)-დიენ-1 β ,3 β ,11 α , 26-ტეტრაოლ 3-O- α -L-რამნოპირანოზილ (1 \rightarrow 2)-O- β -D-გლუკოპირანოზიდი;

D – 26-O- β -D-გლუკოპირანოზილ ფუროსტა-5,20(22), 25(27)-ტრიენ-1 β ,3 β ,11 α , 26-ტეტრაოლ 3-O- β -D-ქსილოპირანოზილ (1 \rightarrow 3)-O- α -L-ამნოპირანოზილ(1 \rightarrow 2)-4-D-სულფო-О- α -L-არაბინოპირანოზიდი;

ნივთიერებათა სტრუქტურები დადგენილია ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის ერთ- (^1H , ^{13}C , 1D-TOCSY) და ორგანზომილებიანი (HSQC, HMBC, COSY) სპექტრებით, ESI-MS და HR-ESI/MS ანალიზით.

4) „*Akebia quinata*-ს ფოთლებიდან ტრიტერპენული გლიკოზიდები და ფლავონოიდები” (თანაავტორობით; Ж. “Химия природных соединений”, №3, 321, ტაშკენტი, უზბეკეთი, რუსულ ენაზე).

საქართველოში მოზარდი მცენარე *Akebia quinata*-ს ფოთლებიდან გამოყოფილია ტრიტერპენული გლიკოზიდი – ჰედერაგენინ-3-O- α -L-რამნოპირანოზილ (1 \rightarrow 2)-O- α -L-არაბინოპირანოზიდი ანუ α-ჰედერინი და ფლავონოგლიკოზიდები – ნიკოტინაიდინი და რუტინი.

5) „ჰერპესის საწინააღმდეგო პრეპარატ როდოპე-
სის პოლიმერული ფირები სტომატოლოგიური პრაქტი-
კისათვის“ (თანაავტორობით; ჟ. „Стоматология“, 87, №3,
36-40, მოსკოვი, რუსულ ენაზე).

შექმნილია ჰერპესის საწინააღმდეგო, წინა წლებ-
ში მოწოდებული პრეპარატ როდოპესის ახალი სამ-
კურნალო ფორმა – პოლიმერული ფირი, რომელიც
თავისი თერაპიული მოქმედებით აჭარბებს მის მაღა-
მოს და პასტას, ასევე ჰერპესის სამკურნალო არსე-
ბულ პრეპარატებს – ზოვირაქსსა და ინტერფერონს.
დადგენილია, რომ როდოპესის პოლიმერული ფირი
წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული სტომატო-
ლოგიურ პრაქტიკაში როგორც მეტად მოხერხებული
და მაღალეფებული პრეპარატი.

6) „საქართველოში მოზარდი *Pueraria hirsuta*-ს ფოთ-
ლების ქიმიური შედგენილობა და ფარმაკოლოგიური
აქტივობა“ (თანაავტორობით; Химико-фармацевтический
журнал, 42, №6, 28-31, მოსკოვი, რუსულ ენაზე).

Pueraria hirsuta-ს ფოთლებიდან გამოყოფილი და
დახასიათებულია ფლავონოიდები: რობინინი, ნიკოტი-
ფლორინი, რუტინი და იზოფლავონოიდური გლიკო-
ზიდი დაიდზინი, ხოლო ფესვებიდან იზოფლავონები
დაიდზინი, დაიდზეინი, ფორმონინეტინი, ონონინი, აგ-
რეთვე, კუმესტანი, მიროფუკუმესტანი. ფოთლების ძი-
რითადი ფლავონოიდი რობინინია (1,7%), რომელიც
ჰიპოაზოტემიურ პრეპარატ ფლარონინის აქტიურ სუბ-
სტანციას წარმოადგენს. ფარმაკოლოგიური გამოკვლე-
ვებით დადგინდა *Pueraria hirsuta*-ს ფოთლების ნატურა-
ლური ფორმის – წყლიანი მშრალი ექსტრაქტის მაღა-
ლი ჰიპოაზოტემიური მოქმედება. რეკომენდებულია
კლინიკური აპრობაციისათვის, როგორც ანტიურემიუ-
ლი საშუალება.

7) „ბუსუსოვანი პუერარიას – Pueraria hirsuta-ს ფოთლისა და ყუნწის ანატომიური სტრუქტურა” (თანა-ავტორობით; „აგრარული მეცნიერების პრობლემები“, 42, №3, 39-40, თბილისი).

განხილულია Pueraria hirsuta-ს მორფოლოგიური მახასიათებლები, ფოთლის ყუნწის და, ზოგადად, ფოთლის სტრუქტურული თავისებურებანი. გამოიკვეთა ფოთლის ზედა და ქვედა ეპიდერმისის მრუდკედლიანი ტიპის ფუძეზე მდებარე უჯრედები, ქვედა ეპიდერმისში მარტივი ფორმის, ოსპისებური ბაგეები, დორზივენ-ტრალური ტიპის მეზოფილი, ფოთლის ყუნწის სიმ-ტკიცის განმსაზღვრელი ფირფიტოვანი კოლენქიმა, რომელიც ქერქის პარენქიმაში მასიურ არეალს ფლობს და ყუნწის ცენტრში მდებარე დახურულ-კონცენტრული სახის გამტარი სისტემაა.

8) „მცენარეული წარმოშობის პრეპარატ როდო-პესის ეფექტურობის იმუნოლოგიური ასპექტები სტო-მატოლოგიურ პრაქტიკაში” (თანაავტორობით; Ж. „Ал-лергология и иммунология“, 9, №5, 569-571, მოსკოვი, რუ-სულ ენაზე).

ექსპერიმენტულ-კლინიკური გამოკვლევებით დად-გენილია, რომ ჰერპესული ინფექციით გამოწვეული დაავადებების დროს როდოპესის გამოყენებით მკვეთ-რად უმჯობესდება იმუნოლოგიური მაჩვენებლები. გამოვლენილია იმუნოკომპეტენტურობის მნიშვნელოვა-ნი დათრგუნვა. დაქვეითებულია T-ლიმფოციტების აქ-ტიური ფრაქციისა და T-ხელპერების პროცენტი, იმუ-ნორეგულაციის ინდექსი. მკვეთრად შემცირდა ფაგო-ციტოზის სამივე მაჩვენებელი. განსაკუთრებით ძლიერი დეპრესია განიცადა ინტერფერონის სისტემაში. გამო-კვლევებმა სიცხადე შეიტანა პრეპარატ როდოპესის თერაპიული მოქმედების მექანიზმში.

9) „კულტივირებული *Cotinus coggygria*-ს ფოთლების პოლიფენოლური ნაერთები” (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული ოკადემიის მაცნე, ქიმის სერია, ტ. 33, №4, 451-460, რუსულ ენაზე).

HPLC|MS მაღალფენაქტური თხევად-ქრომატოგრაფიული მას-სპექტრული ანალიზით კულტივირებული თრიმლის ფოთლებში – *Cotinus coggygria* დადგენილია არანაკლებ 22 ფენოლური ბუნების ნივთიერების არსებობა. მათგან გამოყოფილია 8 ნივთიერება, მათ შორის, გალის მჟავა, მეთილ-, დიმეთილ-, ტრიმეთილგალატები, ტეტრა- და პენტაგალოილ გლუკოზები, აგრეთვე, ფლავონოგლიკოზიდები: მირიცეტინ-3-O-β-D-გალაქტოპირანოზიდი და მირიცეტინ-3-O-α-L-რამნოპირანოზიდი. მცენარეში აღმოჩენილია ჰექსა-, ჰეპტა-, ოქტა-გალოილ გლუკოზები. სტრუქტურები დადგენილია მაღალმგრძნობიარე NMR და LC|MS ანალიზებით. ვეგეტაციის ბოლოს ფოთლებში ანტოციანების პიკი ჩნდება. შესწავლილია ფოთლებში ტანიდების დაგროვების დინამიკა ვეგეტაციის ფაზების მიხედვით. კულტივირებული თრიმლის ფოთლები მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობით ხასიათდებიან.

10) „*Helleborus*, *Digitalis*, *Paliurus* მცენარეების ლიპიდები” (თანაავტორობით; აგრარული მეცნიერების მაცნე, 5, №4, 7-12, რუსულ ენაზე).

Helleborus abchasicus, *H. caucasicus* მიწისქვეშა ნაწილების, *Digitalis ciliata*, *D. purpurea*, *D. ferruginea* ოქსლების, *Paliurus spin-christi* ნაყოფების ნეიტრალური ლიპიდების შესწავლით დადგენილია თითოეული მათგანის სპეციფიკური და უნიკალური ქიმიური შედგენილობა, ტრიგლიცერიდების იშვიათი პოზიციურ-სახეობითი თავისებურებანი. გამოვლენილია *Helleborus*-ის ნეიტრალური ლიპიდების ავთვისებიანი სიმსიგნის საწინააღმდეგო მოქმედება, *Digitalis*-ის ლიპიდების გრიპის ვირუსის

მაინპიბირებელი ეფექტურობა. რეცომენდებულია სავარაუდო სამკურნალო საშუალებები: „ჰელიპოლი” და „დიგიპუროლი”. *Paliurus spin-christi*-ს ნაყოფებიდან შექმნილია ჰეპატოპროტექტორული და ნაღვლის დამდენი პრეპარატი „კარუბოლი”, რომელიც უკვე იხმარება მედიცინაში.

აკად. გ.ცინცაძე

1) „გიორგი აგრიკოლა ძველ კოლხეთში ოქროს მოპოვების შესახებ” (თანაავტორობით; საქართველოს ქიმიური ჟურნალი, ტ. 8, №1, 94-96).

მოცემულია მეტალურგისა და ტექნოქიმიკოსის გიორგი აგრიკოლას (1494-1555) ცნობები ძველ კოლხეთსა და XVI საუკუნის ევროპაში ოქროს მოპოვების შესახებ. ამ ცნობების თანახმად, იმდროინდელ ევროპაში, მდინარეებიდან ოქროს მოსაპოვებლად, კოლხების მსგავსად საქონლის ტყავს იყენებდნენ.

2) „2-პიროქსი-1,2,3-პროპანტრიკარბონმჟავას (ლიმონმჟავას) რეაქციისუნარიანობის კვანტურ-ქიმიური შესწავლა“ (თანაავტორობით; საქართველოს ქიმიური ჟურნალი, ტ. 8, №2, 161-164).

კვანტურ-ქიმიური ნახევრად ემპირიული AM1 მეოთხით გამოთვლილია ლიმონმჟავას (H_3L) წარმოქმნის სითბო, ატომთვორისი მანძილები, პმის რიგები, ვალენტური კუთხეები, ეფექტური მუხტები ატომებზე, ელექტრონული სიმკვრივეები, ელექტრონთა დასახლებები ატომურ ორბიტალებზე და სხვ. დადგენილია მოლექულის კოორდინირების შესაძლებლობები ლითონკომპლექსწარმომქნელთან.

3) „ნიკელის როდანინებთან წარმოქმნილი კომპლექსების შესწავლა ინფრაწითელი სპექტრების გამოყენებით“ (თანაავტორობით; საქართველოს ქიმიური ჟურნალი, ტ. 8, №2, 165-167).

პირველადაა შესწავლილი როდანინის წარმოებულების ნიკელთან(II) წარმოქმნილი კომპლექსების აღნაგობა ინფრაწითელი სპექტრებისა და კვანტურ-ქიმიური ნახევრად ემპირიული AM1 მეთოდებით. ნაჩვენებია, რომ როდანინის წარმოებულები ნიკელთან კოორდინორებები მათ მოლეგულებში არსებული კარბოქსილის ჯგუფების უანგბადისა და აზოჯვუფის ერთ-ერთი აზოტის ატომის, სავარაუდოდ $N(7)$ -ის მეშვეობით. ვინაიდან $Ni:L=1:2$ კომპლექსნაერთებში მორეაგირე კომპონენტების თანაფარდობაა, მათი აღნაგობა წარმოგვიდგება როგორც ოქტაედრული $Ni(O,N,O)_2$, სადაც ნიკელის კოორდინაციული რიცხვი ექვება.

4) „ბენზალდეჰიდის ბენზოილჰიდრაზონის (L) და მის საფუძველზე სინთეზირებული კობალტის(II), ნიკელის(II) და კადმიუმის თიოციანატების კომპლექსური ნაერთების სინთეზი და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების კვლევა“ (თანაავტორობით; საქართველოს ქიმიური ჟურნალი, ტ. 8, №3, 236-238).

სინთეზირებულია ბენზალდეჰიდის ბენზოილჰიდრაზონი (ბაბჰ-L) და მასთან თიოციანატური კოორდინაციული ნაერთები, შედგენილობით $ML_n(NCS)_2$, სადაც $M(II)=Co, Ni, Cd$, ხოლო $n=1,2$. შესწავლილია მათი შთანთქმის ინფრაწითელი სპექტრები და დადგენილია ჰიდრაზონის(L) და NCS ჯგუფების კოორდინირების წესი ლითონებთან და გამოთქმულია მოსაზრებები სინთეზირებული ნაერთების აღნაგობის შესახებ.

5) „პეტრე მელიქიშვილის ზოგიერთი ზეჟანგური (პეროქსიდური) ნაერთები და მათი კოორდინაციული ფორმულები“ (თანაავტორობით; საქართველოს ქიმიური ჟურნალი, ტ. 8, №3, 247-248).

6) „საქართველოში კოორდინაციული ქიმიის დარგში კვლევების საწყისი ეტაპის ისტორიისთვის“ (თანა-

ავტორობით; საქართველოს ქიმიური ჟურნალი, ტ. 8, №3, 312-314).

ქართველი მეცნიერების მიერ კოორდინაციული ნაერთების კვლევა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო (პ.ბაგრატიონი, პ.მელიქიშვილი), მაგრამ მათ სისტემატური ხასიათი მიიღეს 1934 წლიდან მეცნიერებათა აკადემიის ახლად ორგანიზებულ თბილისის ქიმიურ ინსტიტუტში, ძირითადად, ანალიზური ქიმიის ლაბორატორიაში. ივ.ტანანავავის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით ინსტიტუტის თანამშრომლებმა (მ.გიორგობიანი, ელ.ჯაფარიძე, პ.გოგორიშვილი) ჩატარეს კოორდინაციულ ნაერთებზე ანალიზური სახის მთელი რიგი გამოკვლევები, რომლებიც 1935 წლით დათარიღებული ინსტიტუტის შრომების I ტომში გამოქვეყნდა. ამ შრომებით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ქიმიური კვლევების ახალ ეტაპს, რომელიც უკვე კოორდინაციული ქიმიის სფეროსაც მოიცავდა.

7) „შალვა ცინცაძის პირველი სამეცნიერო პუბლიკაციები“ (თანაავტორობით; საქართველოს ქიმიური ჟურნალი, ტ. 8, №3, 310-311).

განხილულია შ.ცინცაძის პირველი სამეცნიერო სტატიები, რომლებიც მოსკოვში ნ.ზელინსკისა და დ.პრიანიშნიკოვის ლაბორატორიებში (1925-1926 წწ.) ჩატარებული კვლევის შედეგებს მიეძღვნა. ეს ორი წელი ახალგაზრდა მკვლევარისთვის იმდენად ნაყოფიერი აღმოჩნდა, რომ ექსპერიმენტებით მიღებული მრავალრიცხოვანი მასალის მაშინვე დაბეჭდვა ვერ მოხერხდა და ამიტომაც მათი პუბლიკაცია 1925-1926 წლების შემდგომაც გრძელდებოდა.

8) „ლიმონმჟავასა და ორთონიტრობენზოილჰიდრაზინის შემცველი ლითონთა სხვადასხვალიგანდიანი კოორდინაციული ნაერთების წყალსსნარებში კვლევა“ (თანაავტორობით; Ж. „Защита металлов“, т. 44, №3, 1-2, რუსულ ენაზე).

მოცემულია ლიმონმჟავასა და ორთო-ნიტრობენ-ზოილპიდრაზინის შემცველი ლითონთა სხვადასხვა-ლიგანდიანი კოორდინაციული ნაერთების წყალსსნა-რებში კვლევის შედეგები. მოცემულია ლიმონის მჟა-ვასა და ბენზოილპიდრაზინის კოორდინირების წესი ლითონებთან, სადაც ლიმონის მჟავა და ბენზოილ-პიდრაზინის ლიგანდები ბიდენტატურ ფუნქციას ასრუ-ლებენ.

აკად. პ.ჯაფარიძე

„თერმომგრძნობიარე თხევად-კრისტალური პოლი-მერული ფირები“ (თანაავტორობით; ქურნალი საქარ-თველოს საინჟინრო სიახლეები, №3, 63-67, ინგლისურ ენაზე).

მიღებულია ქირალურ-ნემატიკური თერმომგრძნო-ბიარე თხევადკრისტალური პოლიმერული ფირები, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი ფერ-კონტრასტული მახასიათებლებით და ქიმიური და ფოტო-ქიმიური სტა-ბილურობით.

აკად.წ.ევრ-კორ. ი.ბარათაშვილი

„სამმაგი ოქსიდების დნობის ტემპერატურის გან-საზღვრის ინკრემენტული საანგარიშო მეთოდი“ (სა-ქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მო-ამბე, ტ. II, №1, 92-94, ინგლისურ ენაზე).

სამმაგი ოქსიდების დნობის ტემპერატურის (T_დ) უცნობი მნიშვნელობების განსაზღვრისათვის შემოთა-ვაზებულია საანგარიშო განტოლება, რომელიც საშუა-ლებას გვაძლევს T_დ განვსაზღვროთ თერმოდინამი-კური გათვლებისათვის მისაღები სიზუსტით, კერძოდ, განხილული ნაერთების 45%-სათვის ცდომილება მერ-ყეობს 0-10%-ის ზღვრებში, 37%-სათვის 10-20%-მდე, ხო-ლო 12%-სათვის 20-25% ზღვრებში. ნაერთების მხო-ლოდ 6%-სათვის ეს მახასიათებელი აღემატება დასა-შვებ ზღვარს, იგი 30%-ზე მეტია.

პატ.წევრ-კორ. შ.სამსონია

1) „5(6)-(1-ადამანტილ)ბენზიმიდაზოლების სინთეზი და გარდაქმნები“ (თანაავტორობით; International Journal - Chemistry of Heterocyclic Compounds, v. 44, № 8, 941-949, ინგლისურ ენაზე).

შემუშავებულია ადამანტანის ფრაგმენტების შემცველი ახალი ბენზიმიდაზოლების სინთეზის მეთოდები. ინფრაწითელი, ულტრააიისფერი, ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის, სპექტროსკოპიისა და მას-სპექტრიომეტრიის მეთოდების გამოყენებით დადგენილია სინთეზირებული ნაერთების სტრუქტურა.

2) „პიროლოინდოლები. ახალი სპიროციკლური სისტემების სინთეზი ბენზო(ე)პიროლო[3,2-გ]ინდოლის საფუძველზე“ (თანაავტორობით; International Journal Chemistry of Heterocyclic Compounds, v. 44, №8, 1016-1019, ინგლისურ ენაზე).

შორიდებულია ახალი თაობის, დიპილროინდოლიზინური ტიპის ფოტოქრომული თვისებების მატარებელი, ბის-სპიროციკლური ნაერთების სინთეზის მეთოდი, რომელიც იძლევა ახალი რიგის კონდენსირებული პოლიქეროლციკლური ფრაგმენტების შემცველი ფოტოქრომების სინთეზის საშუალებას.

3) „1H,10H-ბენზო[e]პიროლო[3,2-გ]ინდოლის ზოგიერთი წარმოებულის სინთეზი და სოკოს საწინააღმდეგო აქტიურობა“ (თანაავტორობით; Химико-фармацевтический журнал, რუსულ და ინგლისურ ენებზე, რეგისტრაციის №53-08).

სინთეზირებულია ბენზო[e]პიროლო[3,2-გ]ინდოლის ახალი ფენილაზონაწარმები. შესწავლილია მათი ანტიმიკრობული, ტუბერკულოზისა და სოკოს საწინააღმდეგო აქტიურობა (in vitro) მიკროორგანიზმების, პათოგენური მიკობაქტერიებისა და სოკოების მიმართ.

გამოვლენილია მათი მაღალი ანტიმიკრობული მოქმედება.

4) „Buxus Colchica-ას სტეროიდული ალკალოიდები: სტრუქტურა და ფარმაკოლოგია” (თანაავტორობით; წიგნში: „Compounds and Materials with Specific Properties”, 153-160, „Nova Science Publishers”, ნიუ-იორკი, აშშ, ინგლისურ ენაზე).

Buxus Colchica-დან გამოყოფილი და შესწავლილია ახალი სტეროიდული ალკალოიდები. მათი სტრუქტურის დასადგენად გამოყენებულია ინფრაწითელი, ულტრაიისფერი და ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსული სპექტროსკოპია.

5) „3-ფორმილ-2-ეთოქსიკარბონილ-5-ფენილინდოლის სინთეზი და კონდენსაციის რეაქციები” (თანაავტორობით; წიგნში: „Compounds and Materials with Specific Properties”, 161-166, „Nova Science Publishers”, ნიუ-იორკი, აშშ, ინგლისურ ენაზე).

სინთეზირებულია ინდოლის ახალი წარმოებული – 3-ფორმილ-2-ეთოქსიკარბონილ-5-ფენილინდოლი. შესწავლილია მისი კონდენსაციის რეაქციები ჰიდროქსილამინთან, ფენილჰიდრაზინთან, თიოსემიკარბაზიდთან, იზონიკოტინოილჰიდრაზიდთან და ჰიდრაზინჰიდრაზთან. დადგენილია რეაქციის მიმდინარეობის ოპტიმალური პირობები. პროდუქტები მიღებულია მაღალი გამოსავლიანობით.

6) „დიპიროლონაფთალინების C- და N-ალკილ პროდუქტები” (თანაავტორობით; წიგნში: „Compounds and Materials with Specific Properties”, 167-174, „Nova Science Publishers”, ნიუ-იორკი, აშშ, ინგლისურ ენაზე).

სინთეზირებულია იზომერული დიპიროლონაფთალინების C- და N-ალკილ პროდუქტები. შესწავლილია N-ალკილირებული პროდუქტების ფაზათაშორისი კა-

ტალიზით მიღების რეაქციები. მიღებულია ფიშერის “ფუძეები” დიპიროლონაფთალინების საფუძველზე.

7) „პიროლოინდოლების ზოგიერთი გარდაქმნა. 1H,6H-პიროლო[2,3-ე]ინდოლის ახალი ნაწარმების სინთეზი” (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, ტ. 34, № 1, 35-39, ინგლისურ ენაზე).

ახალი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ძიების მიზნით დიეთოქსიკარბონილ-1H,6H-პიროლო[2,3-ე]ინდოლის ფორმილირებით ვილსმაიერ-ჰააკის მეთოდით მიღებულია ქრომატოგრაფიულად სუფთა 2,7-დიეთოქსიკარბონილ-1H,6H-პიროლო[2,3-ე]ინდოლი, რომელიც ჰიდრაზინიდორატოან ურთიერთქმედებით იძლევა ბის-ოქსოპირიდაზინს და მის ბის-ენოლურ ფორმას. სინთეზირებულია მიღებული მჟავას ჰიდრაზიდი და შესაბამისი ჰიდრაზონი.

8) „2-ფენილინდოლის ახალი ფორმილ- და ნიტროზონაწარმების სინთეზი“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, ტ. 34, №1, 40-44, რუსულ ენაზე).

მიღებულია N-მეთილ-2-ფენილინდოლის ახალი ნაწარმები. მოწოდებულია სინთეზის ორი გზა: პოლიფოსფორმებაში და სუპერფუძეში რეაქციების ჩატარება. მიღებული ნაერთების ფორმილირებითა და ნიტროზირებით მიღებულია შესაბამისი β-ჩანაცვლებული ნაწარმები.

9) „თიაზოლიდინ-2,4-დიონის, 5-(2-ბენზილიდენ)თიაზოლიდინ-2,4-დიონისა და 5-ალილთიაზოლიდინ-2,4-დიონის თანამყოფობაში პიროგალოლის აზონარმოებულებთან სპილენდის(II) კომპლექსწარმოქმნა“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, ტ. 34, №1, 99-102, რუსულ ენაზე).

შესწავლილია სპილენბის(II) კომპლექსწარმოქმნა 2,3,4-ტრიოქსიფენილაზო-5-სულფონაფთალინთან(R), თიაზილიდინ-2,4-დიონის(თი), 5-(2-ბენზილიდენ)თიაზოლიდინ-2,4-დიონის(ალთი) თანამყოფობაში და მათ გარეშე. ერთგვაროვანი CuR და შერეულლიგანდური ნაერთები CuR-თი, CuR-ბეთი, CuR-ალთი წარმოიქმნა შესაბამისად pH 4, 3, 3, 3 და აქვთ სინათლის შთანთქმის მაქსიმუმები 494, 478, 472 და 466 ნმ. დადგენილია ერთგვაროვან-და შერეულლიგანდური ნაერთების შედგენილობაში მორეაგირე კომპონენტების თანაფარდობა. დამუშავებულია სპილენბის(II) ფოტომეტრიული განსაზღვრის მეთოდიკა ვულკანოგენურ ქანებში.

10) „ბისინდოლი 40. ინდოლო[7,6-გ]ინდოლის დიფონილური ნაწარმის მიღების ერთსაფეხურიანი სინთეზი“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, ტ. 34, №2, 145-149, რუსულ ენაზე).

შესწავლილია დიფორმილინდოლო[7,6-გ]ინდოლის კონდენსაციის რეაქცია მალონის მჟავასთან. სინთეზი განხორციელებულია კნოვენაგელის რეაქციის სახე-შეცვლილ პირობებში – დიალდეპიდის დუდილით მალონის მჟავასთან პირიდინში პიპერიდინის თანაობისას. კონდენსაციის მოსალოდნელი პროდუქტის – ინდოლო[7,6-გ]ინდოლო-3,8-დიაკრილის მჟავას ნაცვლად გამოყოფილია დეკარბოქსილირების პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს საკვანძო ნაერთს ახალი მონომერული და პოლიმერული ნაერთების მისაღებად.

აკად.წევრ-კორ. გ.ციციშვილი

1) „ფერიერიტის სინთეზი, ქიმიური შედგენილობა და ადსორბციისუნარიანობა“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, ტ. 34, №1, 68-70, რუსულ ენაზე).

შემუშავებულია ფერიერიტის მიღების ხერხი მუკათი წინასწარ დამუშავებული პერლიტის გადაკრისტალებით, რომელიც მიმდინარეობს მაღალ ტემპერატურაზე, ორგანული შაბლონის გამოყენების გარეშე. ფერიერიტის მიკროფორმვანი სტრუქტურის წარმოქმნა დადასტურებულია რენტგენული დიფრაქტომეტრით. დადგენილია სინთეზური ფერიერიტების ქიმიური შედგენილობა და წარმოდგენილია წყლისა და ჰექსანის მიმართ მათი სორბციული თვისებების დახასიათება.

2) „სინთეზური ფერიერიტის იონმიმოცველითი ფორმები“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, გ. 34, №2, 166-167, რუსულ ენაზე).

განხილულია სინთეზურ ფერიერიტებზე $\text{Li}^+ \leftrightarrow \text{Na}^+$ და $\text{Li}^+ \leftrightarrow \text{K}^+$ იონმიმოცველითი რეაქციების ჩატარების შედეგად მიღებული ფორმების ქიმიური შედგენილობა და მათი ადსორბციული ტევადობა.

3) „ზოგი რამ ქიმიის მეცნიერების ისტორიის საწყისების შესახებ“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, გ. 34, №2, 240-242).

4) „პესტიციდ შემცველი ნარჩენების ფოტოკატალიზური მეთოდით გაუგნებელყოფის შესახებ“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, გ. 34, №3, 287-290, რუსულ ენაზე).

მიმოხილულია პესტიციდ შემცველი ნარჩენების გაუგნებელყოფის ხერხები. იაღლუჯის პოლიგონის (მარნეულის რაიონი) მდგრადი ორგანული დამაბინძურებლებისაგან, მათ შორის, პესტიციდებისაგან გაუგნებელყოფისათვის რეკომენდებულია ფოტოკატალიზური მეთოდი ფოტოკატალიზატორად ნანოგანზომილების მქონე ტიტანის დიოქსიდის გამოყენებით.

5) „ცეოლითების მიკროფორული სტრუქტურების მსგავსება“ (Compounds and Materials with Specific Properties; Nova Science Publishers, ნიუ-იორკი, აშშ, ინგლისურ ენაზე).

განხილულია T-ატომების უქსი მარყუჯისებრი კონფიგურაცია (მარტივი გრაფი, რომელიც გვიჩვენებს, რამდენ სამ თუ ოთხწევრიან რგოლებთანაა დაკავშირებული მოცემული T-ატომი), რაც ცეოლითური მასალების რეალურ სტრუქტურებში ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება. მომიჯნავების შესაბამისი მატრიცების დამახასიათებელი პოლინომების $P_{G(A)}=a_0+a_1x+a_2x^2+\dots+a_{n-1}x^{n-1}+x^n$ გაანგარიშებით გრაფები წარმოდგენილია უგანზომილებიანი ვექტორების ($a_0, a_1, a_2, \dots, a_{n-1}, 1$) სახით, რაც გამოყენებულია მათი მსგავსების რაოდენობრივი შეფასებისათვის ცნობილი ალგორითმის საფუძველზე, თუმცა დამატებით შემოღებულია ნორმირება თვითმსგავსების ხარისხის ერთეულად მიღების გათვალისწინებით. შემოთავაზებული მიღგომის მეორე სიახლეს წარმოადგენს „მოკლე“ ვექტორის „სრიალის“ განხილვა უფრო მაღალი განზომილების მქონე ვექტორის გასწვრივ, რაც ტოპოლოგიურად გრაფში ერთი ან რამდენიმე დაუკავშირებელი წვეროს დამატებას ნიშნავს, ეს კი ცეოლითურ მასალებში, დაწყვეტილი სტრუქტურების ჩათვლით, ყოველთვის შესაძლებელია. ამავე მიღგომის ფარგლებში განხილულია კონფიგურაციული მარყუჯების სირთულე და ორი კონფიგურაციული მარყუჯის მქონე ცეოლითური სტრუქტურების დახასიათების საკითხები.

განყოფილების წევრები მონაწილეობდნენ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების 7 თემის დამუშავებაში და 3 საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს შესრულებაში.

განყოფილების წევრების მიერ საანგარიშო პერიოდში მოპოვებულია 1 ეროვნული და 4 საზღვარგარეთის გრანტი, მიღებულია 2 პატენტი გამოგონებაზე.

აკად. თ.ანდრონიკაშვილმა მონაწილეობა მიიღო: ა) მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმში „ქიმიური ანალიზის მეთოდები” (ქ.სევასტოპოლი, უკრაინა) და გააკეთა მოხსენება; ბ) სრულიად რუსეთის მე-12 სიმპოზიუმში „ადსორბციის ფორიანობის და ადსორბციული სელექტურობის თეორიის აქტუალური პრობლემები” (ქ.მოსკოვი, დასტამბულია მოხსენებათა თეზისები).

აკად. ი.ჟორდანიამ მონაწილეობა მიიღო: ა) სამეცნიერო სემინარში არატრადიციული, განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების საკითხებზე (ფ.თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი); ბ) შეხვედრაში ნახშირის მრეწველობის დარგის სპეციალისტებთან ერთად პრეზიდენტის რწმუნებულთან მეცნიერების დარგში (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო ფაკულტეტი).

აკად. ე.ქემერტელიძემ მონაწილეობა მიიღო ალერგოლოგის, იმუნოლოგისა და სამედიცინო ბიოტექნოლოგიის თანამედროვე პრობლემების მე-4 საერთაშორისო კონფრენციის მუშაობაში (ქ.თბილისი).

აკად. გ.ცინცაძემ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციის „სპეციფიკური თვისებების მქონე ნაერთები და მასალები წარმოების ნარჩენებისა და მეორადი ნედლეულის ბაზაზე. თანამედროვე ქიმიური ნაერთები და ტექნოლოგიები” მუშაობაში (ქ.თბილისი). წაკითხული იქნა 2 მოხსენება.

აკად. პ.ჯაფარიძემ მონაწილეობა მიიღო: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ინფორმაციის პოლიტიკური და ოპტიკური ჩაწერა, შენახვა და დამუშავება“ მუშაობაში (ქ.თბილისი), წაკითხულ იქნა ორი მოხსენება.

აკად.წევრ-კორ. შ.სამსონიამ მონაწილეობა მიიღო შემდეგი სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში: ა) ყოველწლიური სიმპოზიუმი სამედიცინო ქიმიაში „მცირე მოლეკულები, ანტისეცულები და ბუნებრივი პროდუქტები: სამედიცინო ქიმიის მრავალსახეობა“ (ქ.ლუკენ-ლანევ, ბელგია); ბ) XI ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია ორგანულ ქიმიაში, მიძღვნილი ი.პოსტოვსკის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი (ქ.ეკატერინბურგი, რფ); გ) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ინფორმაციის პოლოგრაფიული და ოპტიკური ჩაწერა, შენახვა და დამუშავება“ (ქ.თბილისი); დ) საერთაშორისო კონფერენცია „სპეციფიკური თვისებების მქონე ნაერთები და მასალები წარმოების ნარჩენებისა და მეორადი ნედლეულის ბაზაზე. თანამედროვე ქიმიური ნაერთები და ტექნოლოგიები“ (ქ.თბილისი). წაკითხეულ იქნა რვა მოხსენება.

აკად.წევრ-კორ. ვ.ციციშვილმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციის „მდგრადი განვითარების პერსპექტივებში ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის მნიშვნელობა“ მუშაობაში (ქ.ერევანი, სომხეთი). წაკითხეულ იქნა ორი მოხსენება.

აკად. ი.უორდანიას მიერ ხელისუფლებაში წარდგენილია: ა) მონოგრაფიული ნაშრომები ქვეყნის ბუნებრივი რესურსების (სასარგებლო წიაღისეულის, ენერგეტიკული, მიწის, წყლის, ტყის, ბუნებრივ-რეკრეაციული) რაციონალურად გამოყენების პრობლემებზე რეგიონების მიხედვით, ბ) პროგრამა საქართველოში ნახშირის მრეწველობის დარგის აღორძინების საკითხებზე.

საანგარიშო პერიოდში განყოფილებამ ჩაატარა რვა საერთო კრება, სადაც განხილულ იქნა თოთხმეტი სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საკითხი.

თანახმად საქართველოს კანონისა „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ განყო-

ფილებამ მოისმინა და განიხილა სსიპ – პ.მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის, არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის, ი.ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის, ფ.თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტების, ივანე ჯავახიშვილის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგადი, არაორგანული და მეტალო-ორგანული ქიმიის, ორგანული ქიმიისა და ფიზიკური და ანალიზური ქიმიის მიმართულებების, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტისა და სოხუმის უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის ქიმიის მიმართულების 2007 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშები. მოხდა მათი შეფასება და სათანადო დასკვნები გადაეცა აკადემიის სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურს.

მოსმენილ იქნა განყოფილების წევრების 2007 წლის სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის ანგარიშები, მოხდა მათი სათანადო ფორმით გაერთიანება და გადაეცა სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურს.

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილების საერთო კრებამ აკადემიკოს-მდივნად აირჩია აკად. გ.ცინცაძე. განყოფილების ბიუროში არჩეულ იქნა აკად. თ.ანდრონიკაშვილი, აკად. ი.ჟორდანია, აკად. ექვთიმერტელიძე, აკად. კ.ჯაფარიძე, აკად. წევრ-კორ. გ.ცინციშვილი, განყოფილების სწავლულ მდივნად – ქიმ. მეცნ.კანდ. ზ.წინწკალაძე.

განყოფილებასთან შეიქმნა ოთხი დარგობრივი კომისია: ქიმიის (თავმჯ. აკად. პ.ჭავარიძე), ფარმაკოქიმიის (თავმჯ. აკად. ე.ქემერტელიძე), მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის (თავმჯ. აკად. ი.უორდანია) და ქიმიური ეკოლოგიის (თავმჯ. აკად. წ.ევრ-ქორ. გ.ციცი-შვილი). დამტკიცდა დარგობრივი კომისიების შემადგენლობები.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილებაში 2009 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო აკადემიის 13 წევრი, აქედან 5 აკადემიკოსი და 8 წევრ-კორესპონდენტი.

2008 წელს განყოფილების წევრებმა გამოაქვეყნეს 4 მონოგრაფია და წიგნი, 1 სახელმძღვანელო და 25 სამეცნიერო სტატია.

ა) მონოგრაფიები, წიგნები

აკად. ნ.ნუცუბიძე

„მცენარის აზოტური კვება და ცვლა“ (286 გვ., თბილისი).

ნაშრომი ეხება მცენარის აზოტური კვებისა და ცვლის ბიოქიმიურ, მიკრობიოლოგიურ და ბიოტექნოლოგიურ საკითხებს. მოცემულია მცენარის აზოტური კვების ისტორიული მიმოხილვა, აზოტური სასუქების სახეობები; მაკრო- და მიკროელემენტები, რომლებიც ხელს უწყობენ მცენარის ოპტიმალურ კვებას; მიკროფლორა, რომელიც მონაწილეობას იღებს მცენარის აზოტური საკვების მიღება-გარდაქმნაში, აზოტის ფიქსირებაში. დახასიათებულია ის ფერმენტული მექანიზმები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ აზოტის ფიქსირებაში, პირდაპირ ამინირებასა და აზოტურ ცვლაში; მოცემულია აზოტოვანი სასუქების თანამედროვე

ბიოტექნოლოგიური მეთოდებით მიღების წესები. განხილულია აზოტური ცვლის მიმდინარეობა ოქსლის გაღვივებიდან მცენარის მთელ სასიცოცხლო ციკლში.

აკად.წევრ-კორ. მ.გორდეზიანი

1) „ბიოენერგეტიკა და უანგვითი პროცესების რეგულაცია“ (მეორე გამოცემა, „აგრარიკოსი“, თბილისი, 248 გვ.).

ნაშრომის მიზანია პლასტიკური და ენერგეტიკული ცვლის პროცესების რეგულაციაში დაგროვილი ფაქტების ინტერპრეტაცია. იგი საშუალებას გვაძლევს ღრმად ჩავწევდეთ ორგანიზმებში მიმდინარე კატაბოლურ პროცესთა შინაგან ბუნებას. ცოცხალი უჯრედი განიხილება გარე სამყაროსთან მჭიდრო კავშირში მყოფ დია თერმოდინამიკურ სისტემად. იგი შესაძლებელს ხდის უფრო მასშტაბურად შევხედოთ ცოცხალის მოლექულური ლოგიკის არსე მთელ სამყაროსთან მიმართებაში. წარმოდგენილია მნიშვნელოვანი მეტაბოლური გზები შესაბამისი საკვანძო ფერმენტების მოქმედების, მათი რეგულატორული ფუნქციისა და პროცესთა ენერგეტიკული ღირებულების გათვალისწინებით.

2) „მემბრანული ქსენობიოქიმია“ (მეორე გამოცემა, „აგრარიკოსი“, თბილისი, 281 გვ.).

მონოგრაფიაში განხილულია მემბრანებში მიმდინარე ქსენობიოქითა უანგვითი მეტაბოლიზმი, ამ პროცესში მონაწილე მონოქსიგენაზური ტიპის ფერმენტული სისტემები, მათი მოლექულური ორგანიზაცია, ფუნქციონირების თავისებურებები და კატალიზურ აქტივობათა რეგულაცია.

3) „ციტოქრომ P450-ის ქიმიური მოდიფიკაცია“ (თანაავტორობით; თბილისი, 48 გვ.).

ციტოქრომ P450 უადრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს უცხო ნაერთების გაუგნებელყოფის პროცესში. ეს ფერმენტი უნივერსალური გავრცელებისაა

და სხვადასხვა ფორმით თითქმის ყველა ცოცხალ ორგანიზმში გვხვდება. კატალიზური აქტის განხორციელების პროცესში ციტოქრომ P450, როგორც ზოგიერთი სხვა მეანგველი ფერმენტი, ქიმიურ მოდიფიკაციას განიცდის, რაც გამოიხატება ინაქტივაციის ან აქტივობის მექანიზმის შეცვლით. გაანალიზებულია ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე მოპოვებული ინფორმაცია ციტოქრომ P450-ის ქიმიური მოდიფიკაციის შესახებ და წარმოდგენილია საკუთარი კვლევის შედეგები. ავტორთა თვალსაზრისით, მცენარეული ციტოქრომ P450 ქიმიური მოდიფიკაციის შედეგად ინაქტივირდება როგორც მონოაქსიგენაზა, მაგრამ ამავე დროს იძენს პეროქსიდაზას თვისებებს. ასეთი ტრანსფორმაციით ფერმენტი, ერთი მხრივ, ჩართული რჩება ქსენობიოტიკების დეტოქსიკაციის პროცესში, მეორე მხრივ, კი უზრუნველყოფს უჯრედის დაცვას ზეჟანგური ბუნების აგრესიული ნაწილაკებისაგან.

ბ) სახელმძღვანელო

აკად.წევრ.კორ. ნ.ალექსიძე

„ნორმალური და პათოლოგიური ბიოქიმია მედიკოსებისათვის“ (ორტომეცული, „ინტელექტი“, თბილისი, 1003 გვ.).

განხილულია თანამედროვე ბიოქიმიის ზოგადი კანონზომიერებები მედიკოსებისათვის. გაანალიზებულია გენოთერაპიისა და ენზიმოთერაპიის საკითხები და დეროვანი უჯრედების გამოყენების პერსპექტივები დაზიანებული ქსოვილების რეაბილიტაციის მიზნით. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თავი, სადაც დეტალურადაა განხილული ნანოტექნოლოგიისა და ნანომედიცინის გამოყენების აქტუალური პრობლემები და ბიომედიცინაში მათი გამოყენების პერსპექტივები.

გ) სტატიები

აკად. გ.კვესიტაძე

1) „ნიადაგში მინერალური ზეთის დეგრადაციის პროცესის ინტენსიფიკაცია Rhodococcus sp.-ის შტამების ინტროდუქციით“ (თანაავტორობით; Journal of Biological physics and Chemistry, ტ. 8, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია სამხრეთ საქართველოს ნიადაგებიდან გამოყოფილი Rhodococcus sp. 227-ისა და Rhodococcus sp. 235-ის მინერალური ზეთის დეგრადაციის უნარი სტერილურ (ლაბორატორიულ) და ბუნებრივ პირობებში. ამ ბაქტერიების 2%-ისა და 10%-ის შეტანა 5 კვირის განმავლობაში მინერალური ზეთით დაბინძურებულ ნიადაგში სტერილურ პირობებში (დამატებითი სასუქის არსებობის ან არარსებობისას) იწვევდა ტოქსიკანტის რედუქციას, შესაბამისად, 20-30%-ითა და 40-60%-ით. ბუნებრივ პირობებში, ნიადაგის 3%-ით დაბინძურებისას, Rhodococcus sp. 227-ისა და Rhodococcus sp. 235-ის ინტროდუქცია იწვევდა დაბინძურების შემცირებას 15 კვირის განმავლობაში შავმიწა ნიადაგში 60%-ითა და 50%-ით და წითელმიწა ნიადაგში – 40%-ითა და 55%-ით, რაც, შესაბამისად, 10-20%-ით აღემატება ადგილობრივი მიკროფლორის მიერ ზეთის დეგრადაციის დონეს.

2) „Lentinus edodes და Pleurotus სახეობების ლიგნოცელულიტური ფერმენტების აქტივობა სხვადასხვა შემაღებლობის ლიგნოცელულაზური ნარჩენების მყარფაზოვანი და სილრმული ფერმენტაციის პირობებში“ (თანაავტორობით; Bioresource Technology, 99, 457-462, ინგლისურ ენაზე).

შედარებულია Lentinus edodes-ისა და Pleurotus-ის სახეობების უნარი წარმოქმნან ლიგნოცელულიტური ფერმენტები მყარფაზოვანი და სილრმული ფერმენტაციის პირობებში. დადგენილია, რომ ლიგნოცელულა-

ზური მასალის ბუნება და სოკოების კულტივირების პირობები, ისევე როგორც ფერმენტულ კომპლექსში ცალკეული ფერმენტების თანაფარდობა, განსაზღვრავს ლიგნოცელულიტურ პოტენციალს.

3) „არომატული ნაერთების შთანთქმა და დეგრადაცია უმაღლესი მცენარეების მიერ“ (თანაავტორობით; ISTC Science Workshop at International Conference on Contamination Soil, ქმილანი, იტალია, 89-93, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია ^{14}C -თი მონიშნული ნიტრობენზოლის, ანილინის და ბირთვში კარბოქსილის ჯგუფში მონიშნული ბენზოლის გარდაქმნა ერთწლიანი მცენარეების აღმონაცენებში (სიმინდი, ლობიო, ბარდა და გოგრა) ასეპტიკურ პირობებში. ნაჩვენებია, რომ მცენარეში შეღწევის შემდეგ აღნიშნული ქსენობიორგიკები გარდაიქმნება ჟანგვითი და აღდგენითი რეაქციების გზით, ენდოგენურ ნაერთებთან კონიუგაციის გზით და ბიოპოლიმერებთან დაკავშირებით.

4) „ანტროპოგენური დაბინძურების დეგრადაცია უმაღლესი მცენარეების მიერ“ (თანაავტორობით; მე-16 თავი წიგნში: „Complexity and Security“. IOS Press, ამსტერდამი, ბერლინი, ოქსფორდი, ტოკიო, ვაშინგტონი, 277-298, ინგლისურ ენაზე).

თავი ეძღვნება მცენარეების როლს ანთროპოგენური დამბინძურებლების გაუვნებელყოფაში. ბოლო ორი დეკადის განმავლობაში მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა მცენარეების დიდი ეკოლოგიური პოტენციალი. განხილულია მცენარის როლი ორგანული ტოქსინებით დაბინძურებული გარემოს რემედიაციაში, ფერმენტული სისტემები და მათი მახასიათებლები, დეგრადაციის გზები. მიღებულია უჯრედის ორგანელების დეგრადა-

ციის პროცესში მონაწილეობის დამადასტურებელი ელექტრონულ-მიკროსკოპული სურათები.

აკად. ნ.ნუცუბიძე

1) „ალანინისა და ასპარაგინმჟავას ასიმილაცია საფუვრების მიერ მეორეული სპირტული დუღილის პროცესში“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №1, 83-87, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია მეორეული სპირტული დუღილის პროცესში საფუვრების მიერ ასიმილირებული 1^{14}C ალანინის და 4^{14}C ასპარაგინმჟავას ნახშირბადატო-მების როლი საფუვრებისა და ღვინის ძირითადი კომპონენტების სინთეზში. შესწავლილი ამინომჟავების რადიოაქტიურობის უპირატესი ნაწილი დუღილის ბოლოსათვის ღვინის ამინომჟავებსა და ორგანულ მჟავებში გვხვდება. მეორეული სპირტული დუღილის პროცესში დეზამინირებისა და დეკარბოქსილირების მექანიზმებთან ერთად ფუნქციონირებს ტრიკარბონ-მჟავების მოდიფიცირებული ციკლი, რომელიც საფუვრის უჯრედში მეტაბოლიზმისათვის საჭირო ნაერთების წარმოქმნას განაპირობებს.

2) „აღმოსავლეთ საქართველოს დამლაშებული ნიადაგებიდან გამოყოფილი ჰალოფილური აქტინომიცე-ტები და მათი ბიოლოგიური თვისებები“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ბიოლოგიის სერია B, №1-2, ტ. 6, 43-52, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია აღმოსავლეთ საქართველოს დამლაშებული ნიადაგებიდან გამოყოფილი ჰალოფილური აქტინომიცე-ტების მორფოლოგიურ-ბიოქიმიური და ანტაგონისტური თვისებები. დადგენილია მათი ჯგუფობრივი და სახეობრივი შემადგენლობა. გამოკვლეულია დამლაშე-

ბული ნიადაგებიდან გამოყოფილი ჰალოფილური აქტინომიცეტების პროტეაზული და ამილაზური აქტივობები. ბიცობიანი და მლაშე ნიადაგებიდან გამოყოფილი 197 შტამიდან პროტეაზულ აქტივობას ავლენდა 48 შტამი. აქტივობა მერყეობდა 0,03-1,23 ერთ/მლ ფარგლებში. შესწავლილია ჰალოფილური აქტინომიცეტების ზრდის უნარი ნახშირწყალბადების – ჰექსანის, ბენზოლის, ბენზ-აირენის, ნედლი ნავთობის შემცველ საკვებ არეებზე. გამოვლინდა, რომ ნაფტალინის შემცველ არეზე ზრდის მიხედვით გამოირჩევა ჰალოფილური აქტინომიცეტები. შესწავლილი კულტურები ბენზოლსა და ჰექსანის ითვისებენ საშუალო ინტენსივობით. ნავთობის შემცველ არეზე ჰალოფილური ვითარდება სუსტად. შექმნილია ჰალოფილური აქტინომიცეტების კოლექცია, რომელიც შედგება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების პროდუცენტისა და ნახშირწყალბადების დეტოქსიკაციის უნარის მქონე კულტურებისაგან. შესწავლილი კულტურები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ახალი, მაღალეფების თანამედროვე ბიოტექნოლოგიების შესაქმნელად.

3) „ნახშირწყალბადებისა და ჰესტიციდ 2,4-დიქლორფენოქსიდმარმებას დესტრუქციული ექსტრემოფილური აქტინომიცეტების სკრინინგი“ (თანააგტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ბიოლოგიის სერია B, №3-4, გ. 6, 53-57, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია საქართველოს სხვადასხვა ნიადაგებიდან გამოყოფილი ექსტრემოფილური აქტინომიცეტების 405 შტამის დეტოქსიკაციის უნარი ნახშირწყალბადების (ჰექსანის, ბენზოლის, ბენზ-აირენის, ნაფტალინის, ნედლი ნავთობის) და ჰესტიციდ – 2,4-დიქლორფენოქსიდმარმებას კალიუმის მარილის მიმართ. ჰალოფილური აქტინომიცეტებიდან შერჩეულია ჰექსანის დესტრუქტორის 26 შტამი, ბენზოლის – 28,

ბენზ-პირენის – 19, ნაფტალინის – 37, ნაფთობის – 3 შტამი. ალკალოფილებიდან შერჩეულია ბენზ-პირენის 25 შტამი, დიქლორბენზოლის – 31, ნაფტალინის – 15, ჰექსანის – 9 და ბენზოლის – 7 შტამი. გამოკვლეული თერმოფილური აქტინომიცეტის 99 შტამიდან თითქმის ყველა ავლენს ნახშირწყალბადების გარდაქმნის უნარს. 2,4-დ-ს დესტრუქტორი შტამებიდან შერჩეულია ჰალოფილების 64, ალკალოფილების 10 აქტიური შტამი. თერმოფილებიდან არ გამოვლინდა აღნიშნული აქტივობის მქონე შტამები. დადგინდა, რომ ექსტრემოფილებს შორის 2,4-დ-ს დეტრიქსიკაციის უნარით გამოირჩევა ალკალოფილური და ჰალოფილური აქტინომიცეტები, ხოლო ნახშირწყალბადების მიმართ – თერმოფილები.

პად.წევრ-კორ. ნ.ალექსიძე

1) „ბაქტერიული ინვაზიის აცილება ქიტინის საშუალებით“ (თანაავტორობით, Annals of Agrarian Science, გ. 6, № 1, 18-21, ინგლისურ ენაზე).

აღწერილია კარტოფილის შენახვის ახალი ტექნოლოგია გლიკოკონიუგატ ქიტინის გამოყენებით.

2) „ხორბლის დამაზიანებელი Dwarf ვირუსი და მისი პრევენცია“ (თანაავტორობით; Agronomi and agro-ekology, გ. 6, № 1, 18-21, ინგლისურ ენაზე).

შექმნილია ხორბლის აღმონაცენის დამაზიანებელი Dwarf ვირუსის აღმოჩენის უახლესი ტექნოლოგია PCR-ის გამოყენებით.

3) „სტრესის ნეიროქიმიური საფუძვლები, აგრესია და მკვლელი ვირთაგვების ფორმირება“ (Neurochemical Research, გ. 33, № 6, 1150-1167, ინგლისურ ენაზე).

ექსპერიმენტულად დადგენილია სინათლისა და სიბნელის გავლენით სტრესირებული ცხოველების თავის ტვინის სპეციფიკურ უბნებში ნეირომედიატორ სეროტონინის რაოდენობის მკვეთრი შემცირება, რის

გამოც ირდვევა ქცევითი რეაქციების კონტროლი, რაც გადაიზრდება მკვლელობაში.

4) „ხორბლის Dwarf virus-ის აღმოჩენა და საქართველოში მისი შემოჭრის საშიშროება“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №2, 94-97, ინგლისურ ენაზე).

შემუშავებულია დნმ-ის გამოყოფისა და ხორბლის Dwarf virus-ის აღმოჩენის იაფი და მაღალმგრძნობელობის მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საქართველოში ხორბლის დამაზიანებელი ვირუსის შემოჭრის თავიდან აცილებასა და ადრეულ ეტაპზე პრევენციული ზომების მიღებას.

5) „ქონიკული სტრესი და პათოლოგიური აგრესია მკვლელი ვირთაგვების ფორმირების წინაპირობაა“ (სამეცნიერო კონფერენციის „ექსპერიმენტული და თეორიული ბიოლოგიის აქტუალური საკითხები“ შრომები, თსუ, თბილისი, გვ. 3).

აკად.წევრ-კორ. ა.გვეჯა

1) „აღმოსავლეთ საქართველოს ხერხემლიანთა ფაუნის ისტორია“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №3, 149-154, ინგლისურ ენაზე).

სტატია ეძღვნება აღმოსავლეთ საქართველოს გვიან-ნეოგენურ ხერხემლიანთა ფაუნის ისტორიას, მათ სტრატიგრაფიულ მნიშვნელობას და ეკოლოგიას.

2) „ჟირაფი საქართველოს აფშერონულ ფაუნაში“ (თანაავტორობით; ჟურნ. „პალეობიოლოგიის პრობლემები“, ტ. III).

სტატია ეძღვნება ჟირაფის არსებობას საქართველოში. აღნიშნულია, რომ დმანისის ჟირაფი შემორჩა საქართველოს პლიოცენურ ნალექებში. დმანისის ჟირაფი ყველაზე გვიანდელია ევრაზიის ნამარხ, პლიოცენამდე არსებულ, ჟირაფებს შორის, რომელიც შე-

მორჩა საქართველოს ტერიტორიაზე აქ არსებული რეზუმების გამო.

3) „პალეონტოლოგიური მონაცემები და აღმოსავლეთ საქართველოში ლეოპარდის ადგილმდებარეობის პრობლემა XX საუკუნეში და დღეს“ (თანაავტორობით; ჟურნ. „პალეობიოლოგიის პრობლემები“, ტ. III, რუსულ ენაზე).

ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ლეოპარდი დღესაც ბინადრობს და მრავლდება აღმოსავლეთ საქართველოს (შირაქის ველი) არიდულ პირობებში.

პკად.წევრ-კორ. ი.ელიავა

1) „საქართველოს თავისუფლად მცხოვრები და ფიტოპარაზიტული ნემატოდების ნუსხა. IV ნაწილი“ (თანაავტორობით; ზოოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 23, 11-21, ინგლისურ ენაზე).

მოცემულია რიგ Dorylaimida-ს 218 სახეობის სია, რომლებიც განეკუთვნება 18 ოჯახს. 16 მათგანი არის მცენარეთა პარაზიტი. რამდენიმე მათგანი აღწერილია სტატიის ავტორთა მიერ.

2) „საქართველოს თავისუფლად მცხოვრები და ფიტოპარაზიტული ნემატოდების ნუსხა. V ნაწილი“. რიგები: Enoplida Chitwood, 1933; Chromadorida, Chitwood, 1933; Monchisterida De Conick et Schuurmans Stekhoven, 1933; Mononchida Jairajpuri, 19691 (თანაავტორობით; ზოოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 23, 22-28, ინგლისურ ენაზე).

მოცემულია საქართველოში რეგისტრირებული ნემატოდების ხუთი რიგის 100 სახეობის სია.

პკად.წევრ-კორ. თ.ზაალიშვილი

1) „რკინის იონების ზეგავლენის შესწავლა ეკარიოტული უჯრედების ბირთვული პოლი(ADP-რიბოზა) პოლიმერაზას და დნმ ტოპოიზემერაზა II-ის აქტივო-

ბებზე“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ბიოლოგიის სერია B, ტ. 6, №3-4, 58-61, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია რკინის მარილების ზეგავლენა ვირთაგვას თავის ტვინისა და დვიძლის უჯრედების ბირთვული პოლი(ADP-რიბოზა)პოლიმერაზას და დნმ ტოპოიზომერაზა II-ის აქტივობებზე. ნაჩვენებია, რომ Fe^{2+} -ის და Fe^{3+} -ის იონები აინიბირებენ როგორც პოლი(ADP-რიბოზა)პოლიმერაზას, ასევე დნმ ტოპოიზომერაზა II-ის აქტივობებს. ნავარაუდევია, რომ პოლი(ADP-რიბოზა)პოლიმერაზას ინპიბირების მიზეზი შესაძლოა იყოს არა მარტო რკინის იონების ზემოქმედება ნუკლეოპროტეინულ სისტემაზე, არამედ რკინის იონებსა და პოლი(ADP-რიბოზა)პოლიმერაზას სუბსტრატს (NAD). შორის ისეთი კომპლექსების წარმოქმნა, რომლებიც ვერ გარდაიქმნება ფერმენტის მიერ.

2) „ADP-რიბოზილირება აძლიერებს დნმ-ის უულფების გახლეჩას ბირთვულ მატრიქსში“ (ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, გვ. 32).

აკად.წევრ-კორ. გ.მჭედლიძე

1) „კაშალოტები, მათი ევოლუცია“ (Enciclopedia of Marine Mammals. Academic Press, ნიუ-იორკი, ლონდონი, ტოკიო, ინგლისურ ენაზე).

მოცემულია ნამარხი კაშალოტების (გვარების Physeter და Kogia) მორფოლოგიური თავისებურებების მიმოხილვა და შეგუებითი ოსტეოლოგიური ნიშნების დროში მონაცემების სურათი. აღნიშნულია, რომ უძველესი-გვიანოლიგოცენური დროის კაშალოტი აღმოჩენილია კავკასიაში და დაცულია პალეობიოლოგიის ინსტიტუტში.

2) „მოკლე წინასწარი ინფორმაცია გვიანოლიგო-ცენტრი ხერხემლიანების მეტების ადგილსაპოვებლის შესახებ“ (ჟურნ. „პალეობიოლოგიის პრობლემები“, ტ. III, 126-133).

მოპოვებული ნამარხი მასალის საფუძველზე მიღებულია დასკვნა, რომ მეტების ადგილსაპოვებელი პერსპექტიული ობიექტია პალეონტოლოგიის თვალსაზრისით. იგი სპეციალური გათხრებისა და ფართო სამეცნიერო კვლევების ჩატარებას იმსახურებს.

აკად.წევრ-კორ. გ.მჭედლიძემ გაუკეთა რედაქცია აკად. ლ.გაბუნიას ნაშრომის – „უძველესი ხერხემლიანების სამყაროში“ განახლებულ გამოცემას, რომელშიც მიმოხილულია დინოზავრების ნაკვალევების, ბელომეზეტკაიასა და ბენარის ფაუნის ახალი სიილუსტრაციო მასალა, გათვალისწინებულია დმანისის პომინდების შესახებ ავტორისეული ყველა ძველი შენიშვნა.

აკად.წევრ-კორ. გ.ნახუცრიშვილი

1) „Allium-ის სახეობათა პაბიტატები საქართველოში“ (თანააგენტორობით; Proceedings of the First Kazbegi Workshop on “Botany, taxonomy and phytochemistry of wild Allium L. species of the Caucasus and Central Asia”. 2007, ყაზბეგი, საქართველო, 45-52, ინგლისურ ენაზე).

დადგენილია საქართველოს ფლორის Allium-ის გვარის სახეობათა პაბიტატის ტიპები და გავრცელების კანონზომიერები. მონაცემები საფუძვლად დაუდება სამედიცინო გამოყენების მხრივ ამ მეტად მნიშვნელოვანი გვარის სახეობათა კონსერვაციის დონისძიებებს.

2) „Allium-ის ველური სახეობების შეგროვება საქართველოში“ (თანააგენტორობით; Proceedings of the First Kazbegi Workshop on “Botany, taxonomy and phytochemistry of

wild *Allium* L. species of the Caucasus and Central Asia". 2007, ყაზბეგი, საქართველო, 147-156, ინგლისურ ენაზე).

დაზუსტებულია საქართველოში *Allium*-ის გვარის სახეობათა არეალები, შეფასებულია პოპულაციების სასიცოცხლო მდგომარეობა. ობილისის ბოტანიკურ ბაღსა და გატერსლებენის (გერმანია) მცენარის განეტიკის ინსტიტუტში შექმნილია ამ მცენარეთა ex situ კოლექცია.

აკად.წევრ-კორ. დ.უგრეხელიძე

„N-ტოლილგლიკოზილამინების სინთეზი და დახასიათება” (თანაავტორობით; Chemistry of Natural Compounds, გ. 44, №4, 413-415, ინგლისურ ენაზე).

აღწერილია N-ტოლილგლიკოზილამინების სინთეზი. ^{13}C -ბმრ სპექტრების შესწავლის საფუძველზე დადგენილია სინთეზირებული N-ტოლილგლიკოზილამინების იზომერული და ანომერული შედგენილობა. ამ ნაერთების ^{13}C -ბმრ სპექტრებისათვის დამახასიათებელია სიგნალი, რომელიც 80-85 ვმნ დიაპაზონშია მოთავსებული; C₁-ის ეს რეზონანსული სიხშირე შეიძლება გამოვიყენოთ C₁ – N ბმის წარმოქმნის (N-გლიკოზიდის წარმოქმნის) მაჩვენებლის სახით.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების წევრები 2008 წელს მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 3 (აკად. ნ.ნუცუბიძე – 1, აკად.წევრ-კორ. ნ.ალექსიძე – 1, აკად.წევრ-კორ. ა.ვეკუა – 1), ჰუმანიტარული მეცნიერების ფონდის 1 (აკად. წევრ-კორ. ა.ვეკუა), საქართველოს ეროვნული მუზეუმის 1 (აკად.წევრ-კორ. გ.მჭედლიძე) და 6 საერთაშორისო სამეცნიერო გრანტის დამუშავებაში: ISTC – 2 (აკად. გ.კვესიტაძე, აკად.წევრ-კორ. მ.გორდეზიანი), STCU – 1 (აკად. გ.კვესიტაძე), GNSF-STCU – 3 (აკად.

თ.ბერიძე – 1, აკად.წევრ-კორ. ი.ელიავა – 1, აკად.წევრ-კორ. მ.გორგეზიანი – 1).

განყოფილების წევრები მონაწილეობდნენ სამეცნიერო კონფერენციებისა და კონგრესების მუშაობაში: აკად. გ.კვესიტაძე (ქლიუბლიანა, სლოვენია; ქ.მინსკი, ბელორუსია; ქ.კიევი, უკრაინა; ქ.მილანი, ქ.ტორინო, იტალია); აკად. წევრ-კორ. გ.ნახუცრიშვილი (ქ.გისენი, გვრ, ქ.ბარსელონა, ესპანეთი).

აკად.წევრ-კორ. გ.ნახუცრიშვილი 2008 წლის ოქტომბერში ინსტრუკისა და ვენის უნივერსიტეტებში ავსტრიელ კოლეგებთან ერთად მუშაობდა ალპებისა და კავკასიის მაღალმთის მცენარეულობის შედარებითი ანალიზის საკითხებზე, მონაწილეობდა საერთაშორისო ბოტანიკურ ექსპედიციებში ბაკურიანის რეგიონსა და გუდაურის მიდამოებში და ყაზბეგის რეგიონში.

აკად.წევრ-კორ. თ.ზაალიშვილი 2008 წელს ხელმეორედ აირჩიეს ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (IBRO) ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური კომიტეტის წევრად.

განყოფილების საერთო კრებამ აირჩია აკადემიკოს-მდივნის ოანამდებობაზე აკად. გ.კვესიტაძე და ბიუროს შემადგენლობა: აკად. თ.ბერიძე, აკად.წევრ-კორ. გ.ნახუცრიშვილი, აკად.წევრ-კორ. ნ.ალექსიძე, აკად. წევრ-კორ. თ.ზაალიშვილი, ხოლო სწავლულ მდივნად ფიზ.მათ.მეცნ.კანდ. მ.გრიგოლავა.

შეიქმნა დარგობრივი კომისიები: ბიოტექნოლოგიების (თავმჯ. აკად. გ.კვესიტაძე), ბიომრავალფეროვნებისა და ეკოლოგიურ პრობლემათა (თავმჯ. აკად.წევრ-კორ. გ.ნახუცრიშვილი).

ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება

ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილებაში 2009 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო 10 წევრი, მათ შორის 9 აკადემიკოსი და 1 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრების მიერ 2008 წელს გამოქვეყნებულია 2 მონოგრაფია და წიგნი, 1 სახელმძღვანელო და 25 სამეცნიერო სტატია.

ა) მონოგრაფია, წიგნი

აკად. მ.ხანანაშვილი

„ინფორმაციული სტრუქტური“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 166 გვ.).

განხილულია სტრუქტურის პრობლემის განვითარების კონცეპტუალური ასპექტები, თეორიული ხასიათის წარმოდგენები, მოყვანილია მათი დამადასტურებელი ფაქტორივი მასალა – ორიგინალური კვლევის შედეგები. გადმოცემულია შეხედულებები პრობლემის მომავალი განვითარების აქტუალური საკითხებისა და მათი გადაწყვეტის შესაძლო გზების თაობაზე.

აკად. წევრ-კორ. ლ.მანაგაძე

„როგორ დავადგინოთ და ვუმკურნალოთ პროსტატის კეთილთვისებიან ჰიპერპლაზიას“ (თანაავტორობით; თბილისი, 79 გვ.).

ნაშრომი ეძღვნება წინამდებარე ჯირკვლის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიის ეტიოპათოგნოზის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხებს.

ბ) სახელმძღვანელო

აკად.წევრ-კორ. ლ.მანაგაძე

„უროლოგია“, ეროვნული სახელმძღვანელო ნ.ლოპატკინის რედაქციით (თანაავტორობით; მოსკოვი, 1020 გვ., რუსულ ენაზე).

სახელმძღვანელოში განხილულია ყველა უროლოგიური დაავადების დიაგნოსტიკა და მკურნალობა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

დ) სტატიუბი

აკად. ფ.თოდუა

1) „მრავალშრიანი კომპიუტერულ-ტომოგრაფიული ანგიოგრაფია ფილტვის ცენტრალური კიბოს გულ-მკერდის შიგა გავრცელების განსაზღვრაში“ („საქართველოს რესპირაციული ჟურნალი“, ტ. 4, №1, 11-16, რუსულ ენაზე).

ჩაშრომი ძირითადად შეეხება თანამედროვე ონკოლოგიის ურთულეს პრობლემას – ფილტვის კიბოს აღნიშნული დაავადების მკურნალობის ძირითადი მეთოდია ოპერაციული მკურნალობა, რომლის შედეგიანობა დამოკიდებულია სიმსივნის გავრცელების ხარისხის ოპერაციამდელ შეფასებაზე. შემოთავაზებულია ამ პათოლოგიის დიაგნოსტიკის და დიფერენციალური დიაგნოსტიკის ყველაზე ინფორმატიული მეთოდი – მრავალშრიანი კომპიუტერული ტომოგრაფიული ანგიოგრაფია და მისი როლი აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში. შემუშავებულია სიმსივნური პროცესის შუასაყარის ორგანოებზე გავრცელების კომპიუტერული ტომოგრაფიული ანგიოგრაფიის კრიტერიუმები, რაც მნიშვნელოვანია ოპერაბელობისა და ქირურგიული ჩარევის მოცულობის განსაზღვრისათვის.

2) „თავის ტვინის კეროვანი ცვლილებები და ჰემოდინამიკური პარამეტრები კოლაგერალური მიმოქცევის მდგომარეობასთან მიმართებაში“ (თანაავტორო-

ბით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №3, 134-140, ინგლისურ ენაზე).

3) „თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მდგომარეობა ესენციალური არტერიული პიპერტენიოთ დაავადებულ პაციენტებში“ (Ж. „Ангиология и сосудистая хирургия“, ტ. 14, გვ. 55, რუსულ ენაზე).

2) და 3) ნაშრომები შეეხება თავის ტვინის კოლატერალური მიმოქცევის მდგომარეობას პაციენტებში შიგნითა საძილე არტერიის ცალმხრივი კრიტიკული სტენოზითა და ოკლუზით. დადგენილია, რომ წინა შემაურთებელი არტერია წარმოადგენს ექსტრაკრანიული სტენო-ოკლუზიური პროცესის საკომპენსაციო, ყველაზე მნიშვნელოვან კოლატერალს. მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის, მაგნიტურ-რეზონანსული ანგიოგრაფიისა და ექსტრაკრანიული სისხლძარღვების დუპლექს-სკანირების კომპლექსური გამოყენება პრაქტიკულად სრულ ინფორმაციას იძლევა კოლატერალური მიმოქცევის ფუნქციური სტატუსის შესახებ საძილე არტერიის მნიშვნელოვანი სტენოზების შემთხვევაში.

აკად. თ.იოსელიანი ხელმძღვანელობდა სამუშაოს, რომლის მიზანი იყო სპონტანურად აღმრული კრუნჩხევითი განმუხტვების მექანიზმისა და ბუნების შესწავლა. ამ მიზნით ცხოველებზე ჩატარდა რამდენიმე ეტაპიანი გამოკლევა ქრონიკული ექსპერიმენტის პირობებში. შესწავლითა თავის ტვინის ახალი ქერქისა და პიპოკამპის ელექტრული გაფიზიანებით წარმოქმნილი კრუნჩხევითი განმუხტვების ხანგრძლივობა და ძილ-დვიძილის ციკლში ეპილეპტოგენური ზღურბლის ცვლილების ხასიათი, პიპოკამპსა და ნეოკორტექსზე ადრენორეცეპტორების აგონისტებისა (კლონიდინი) და ანტაგონისტების (მეტაპროლოლი) როგორც ლოკალური, ასევე დიფუზური (ინტრაკერიოტონული) ინექციის გავლენა, პირაცეტამის გავლენა ამავე სტრუქტურებზე.

პატ. კნადარეიშვილი

1) „ქსელის სიხშირის ემვ-ის მოქმედების გავლენა რუხი ვირთაგვების პასიური განრიდების რეაქციაზე“ (თანაავტორობით; ქურნ. „ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა“, №5(44), 14-16, ინგლისურ ენაზე).

50 ჰც სიხშირისა და 1,5 მტ ინდუქციის ელექტრო-მაგნიტური ველის ზემოქმედება არსებით ცვლილებებს იწვევს ვირთაგვებში პასიური განრიდების რეაქციის ჩამოყალიბებასა და შენახვაში, კერძოდ, ამგვარი ზე-მოქმედების შემდეგ ვირთაგვები დეპრესიული ხასიათის ნიშნებს ავლენენ და მათში პასიური განრიდების რეაქციის გამომუშავება საგრძნობლად გაძნელებულია.

2) „ქსელის სიხშირის ემვ-ის მოქმედების გავლენა თეთრი და რუხი ვირთაგვების ქცევაზე“ (თანაავტორობით; ქურნ. „ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა“, №5(44), 65-67, ინგლისურ ენაზე).

ექსპერიმენტული კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ელექტრომაგნიტური გამოსხივება გავლენას ახ-დენს ვირთაგვებში განრიდების პასიური რეაქციის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაზე. კერძოდ, გარკვეული პარამეტრების ემვ-ს ზემოქმედების შედეგად ცხოველებში ითრგუნება ადრე გამომუშავებული პასიური განრიდების განხორციელება.

პატ. ვოკუჭავა

1) „ცნობის სიგრცითი მეხსიერება ქატებში: პარა-ზიპოგამპური დაზიანების ეფექტები“ (თანაავტორობით; Zh. Vyssh. Nerv. Deiatv. 58, №3, 367-374, ინგლისურ ენაზე).

2) „სტრეს-რეაქცია და მისი ექსპერიმენტული მო-დელი“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ბიოლოგიის სერია A, გ. 34, № 1-2, 7-17, ინგლისურ ენაზე).

3) „რინალური ქერქის ნელი პოტენციალები: კავ-შირი ცნობის მხედველობით მექსიერებასთან“ (თანა-ავტორობით; III международная конференция по когнитив-ной науке, გ. 2, 398, მოსკოვი, რუსულ ენაზე).

4) „ცნობის მხედველობითი მექსიერება: რინალური ქერქის შესაძლო როლი“ (თანაავტორობით; III международная конференция по когнитивной науке. გ. 2, 378, მოსკოვი, რუსულ ენაზე).

1)-4) ნაშრომებში აღწერილია სსიპ – ექსპერი-მენტული ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრ-ში სამეცნიერო პროექტის „ცნობის მექსიერების ნეი-როფიზიოლოგიური მექანიზმების ექსპერიმენტული კვლევა“ შესრულების შედეგად მიღებული მონაცემები. პროექტის ფარგლებში ჩატარებულია შემდეგი სამუშა-ოები: а) მხედველობითი ცნობის მექსიერების დეტა-ლური ფენომენოლოგიურ-ქცევითი შესწავლა კატეგი მექსიერების ამ ფორმის ფუნქციური პარამეტრიზაციის დასადგენად; ბ) კატეგი თავის ტვინის ბაზალური ქერქული სტრუქტურების (პერიონალური და ენტორი-ნალური ქერქული მიდამოები, პარაკიპოკამპური უბანი) როლის გარკვევა მხედველობით ცნობის მექსიერებაში; გ) მხედველობით ცნობის მექსიერებაში შემავალი ქვეპროცესების (სტიმულის კოდირება მისი დამასხვე-რებისას, კოდის შენახვა გარკვეული დროის განმავ-ლობაში, კოდის „ამოკითხვა“ მექსიერებიდან გახსენე-ბისას) დარღვევის ხასიათი ზემოთ ჩამოთვლილი ქერ-ქული სტრუქტურების ქირურგიული დაზიანებისას კა-ტეგი.

აკად. თ.ონიანი

1) „სეპტო-ჰიპოკამპური ქოლინერგულ-გამაემერგუ-ლი ურთიერთკავშირი და ძილ-ღვიძილის ციკლი“ (თა-ნაავტორობით; Georgian Medical News, 3(157), 66-71, ინ-გლისურ ენაზე).

სტატია ეხება ძილ-დვიძილის ციკლის სტრუქტურის ნეირობიოლოგიურ ანალიზს. კერძოდ, მასში მოყვანილია ძილ-დვიძილის ციკლის სტრუქტურასა და პარადოქსული ძილის ძირითად პარამეტრებზე სეპტო-ჰიპოკამპური ქოლინერგულ-გამაემერგული შესახვლების შეწყვეტის გავლენის შესწავლის შედეგები.

2) „თავის ტვინის ადრენერგული სისტემის უპირატესობა პარადოქსული ძილის გამშვებ მექანიზმებში“ (თანაავტორობით; FENS Abstracts, 4, 018, ინგლისურ ენაზე).

ნაშრომი ეძღვნება მონოამინერგული სისტემის როლს დვიძილისა და პარადოქსული ძილის რეგულაციაში.

3) „ბაზოლატერალური ნუშისებრი ბირთვის ორმხრივი დაზიანების შედეგად გამოწვეული ძილის დარღვევები“ (თანაავტორობით; European Journal of the Neurology, Abstracts of the EFNS, გვ. 210, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ქერქქვეშა ბირთვული სტრუქტურების როლი ძილ-დვიძილის ციკლის სხვადასხვა ფაზის რეგულაციაში.

4) „კოგნიტური დეფიციტი დეპრესიის ცხოველურ მოდელში“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მომბე, ტ. II, №4, 125-130, ინგლისურ ენაზე).

სტატია ეძღვნება დეპრესიის გამომწვევი ფაქტორების კვლევას ხანგრძლივი (2 და 8 თვე) სოციალური იზოლაციის პირობებში სინათლის ნაწილობრივი დეპრივაციით, რაც დეპრესიის ადეკვატურ მოდელად შეიძლება ჩაითვალოს. ცხოველებში დეპრესიის მოდელირებით გამოკვლეულია დასწავლისა და მეხსიერების კვალის კონსოლიდაციის შესაძლებლობა აქტიური და პასიური განრიდების მეთოდების გამოყენებით.

აკად. ნ.ყიფშიძე

1) „როზუვასტატინის როლი დისლიპოპროტეინეგმიისა და ენდოთელიუმის დისფუნქციის კორექციაში სტაბილური სტენოკარდიის დროს“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №1, 112-116, ინგლისურ ენაზე).

2) „როზუვასტატინის ლიპიდმაკორეგირებელი და არალიპიდმაკორეგირებელი ეფექტები“ (თანაავტორობით; „ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის ჟურნალი“, ტ. 9, №5, რუსულ ენაზე).

1) და 2) სტატიებში განხილულია როზუვასტატინის კლინიკური გამოყენების შედეგები სტაბილური სტენოკარდიის მქონე პაციენტებში. დაკვირვების პერიოდი გრძელდებოდა 3 თვეს. დადგენილია როზუვასტატინის მაღალი ეფექტიანობა დაავადების კლინიკურ მიმდინარეობაზე ლიპიდური და არალიპიდური ცვლის კორექციისას.

3) „ვირუსული და იდიოპათიური დილატაციური კარდიომიოპათიის კლინიკური მანიფესტაცია და ხანგრძლივი პროგნოზი“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №3, 141-147, ინგლისურ ენაზე).

მოცემულია კარდიომიოპათიების ყველაზე გაფრცელებული და მძიმედ მიმდინარე ფორმების – ვირუსული და იდიოპათიური დილატაციური კარდიომიოპათიის – კლინიკური გამოვლენის თავისებურებათა და ხანგრძლივი პროგნოზის მაჩვენებლების შეფასება. დილატაციური კარდიომიოპათიების სტრუქტურაში ვირუსული ეტიოლოგიის კარდიომიოპათიის მაღალი ხვედრითი წილისა და ლებალობის მაღალი მაჩვენებლებიდან გამომდინარე, აუცილებლად არის მიზნეული ქვემწვავე და ქრონიკული ვირუსული მიოკარდიტების დროული დიაგნოსტირება და მათი აღეკვატური მკურნალობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული დილატა-

ციურ კარდიომიოპათიად მათი შესაძლო ტრანსფორმაცია.

4) „დილატაციური კარდიომიოპათია: ხანგრძლივი პროგნოზის გაუმჯობესება ქართულ პოპულაციაში“ (თანაავტორობით; „ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის ურნალი“, ტ. 9, №5, რუსულ ენაზე).

5) „გულის უკმარისობის წ-ბლოკატორებით მკურნალობის ოპტიმიზაცია დილატაციური კარდიომიოპათიით დაავადებულ პაციენტებში“ (თანაავტორობით; „ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის ურნალი“, ტ. 9, №5, რუსულ ენაზე).

6) „სტატინების როლი გულის იშემიური დაავადების მეორად პრევენციაში“ (თანაავტორობით; „გერონტოლოგია და გერიატრია“, №1, ინგლისურ ენაზე).

აკად. მ.ხანანაშვილი

„სიახლე მარსზე პილოტირებული ექვედიციის პირობებისათვის ეკიპაჟის ფსიქოლოგიური შერჩევის, მომზადებისა და დაკომპლექტების საქმეში“ (თანაავტორობით; Вестник российского гуманитарного научного фонда 137, N1(50), რუსულ ენაზე).

რუს კოლეგებთან ჩატარებული ერთობლივი კვლევის შედეგად დამუშავდა კოსმოსური მედიცინისა და ფსიქოლოგიის საკითხები.

აკად. ს.ხეჩინაშვილი

„ლაბირინთის ფისტულა, სიმპტომები და მკურნალობა“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №1, 109-111, ინგლისურ ენაზე).

მოყვანილია დაკვირვებები ავადმყოფებზე, რომლებსაც განუვითარდათ შეა ყურის ქრონიკული ჩირქოვანი ანთება, გართულებული შემოფარგლული ლა-

ბირინთიტი. ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები ლაბი-რინთზე ქირურგიული ჩარევების ტექნიკის შესახებ.

აკად. ნ.ჯავახიშვილი

„ალოპროთეზის ნეოინტიმის ვასკულარიზაციის პრაქტიკული მნიშვნელობა“ (პროფ. რაფიკ ასკეროვის 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი შრომათა კრებული, ბაქო, 117-120, ინგლისურ ენაზე).

სტატია ეხება სისხლძარღვთა ალოპროთეზირების პრობლემას.

შრომაში „შაქრიანი დიაბეტის გამოწვევა ალოქსანის შევვანით“ აღწერილია აკად. ნ.ჯავახიშვილის მიერ თეთრ ვირთაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის ნაწილი შემდგომში შაქრიანი დიაბეტის დროს პანკრეასის კუნძულების ჩანერგვა-გადანერგვის ზეგავლენის შესასწავლად.

აკად.წევრ-კორ. ლ.მანაგაძე

1) „ანტიოქსიდანტური ფერმენტების აქტივობა და შემადგენლობა პროსტატის სიმსივნეების დროს“ (თანა-ავტორობით; Exp. Oncol., 30(3), 244-247, ინგლისურ ენაზე).

შესწავლილია პროსტატის კიბოს აგრესიულობის ზოგიერთი ბიოლოგიური მაჩვენებლის, კერძოდ, ანტიოქსიდანტური ფერმენტების როლი და მნიშვნელობა წინამდებარე ჯირკვლის კიბოს წარმოქმნის მექანიზმების შემუშავებასა და სიმსივნური პათოლოგიის საფრთხის აცილებაში.

2) „P₂₇ (Kipl) ციკლიდინ D₃ და Ki₂₇ იმუნორეაქტიულობა თირკმელუჯრედოვანი კიბოს დროს“ (თანაავტორობით; Int. Urol. Nephrol, ინგლისურ ენაზე).

მოცემულია თირკმელუჯრედოვანი კიბოსა და ინტაქტური თირკმლის ქსოვილებში P₂₇, ციკლიდინ D₃ და Ki₂₇ მარკერების აქტივობის შესწავლის და ერთმანეთან შედარების შედეგები. დადგენილია იმუნოფერ-

მენტული მაჩვენებლების (მარკერების) მნიშვნელოვანი როლი თირკმელუჯრედოვანი კიბოს პროგნოზირებაში დაავადების პროგრესირებისა და მეტასტაზირების თვალსაზრისით.

3) „P₂₇ (kip 1), ციკლიდინ D₃ და K_{i27} ექსპრესია BPH, პროსტატის კიბოსა და პორმონულად ნამკურნალები პროსტატის კიბოს ღროს“ (თანაავტორობით; Int. Urol. Nephrol., 40(4), 953-959, ინგლისურ ენაზე).

ნაშრომი ეძღვნება P₂₇ (kip 1), ციკლიდინ D₃ და K_{i27} მარკერების როლის შესწავლას პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიის (BHP), პროსტატის კიბოსა და პორმონულად ნამკურნალები პროსტატის ქსოვილებში. მიღებული შედეგები ერთმანეთს შედარდა და გამოვლინდა ზემოაღნიშნული იმუნოფერმენტული მაჩვენებლების პროგნოზული მნიშვნელობა პროსტატის კიბოს გამოსავლის დადგენაში.

აკად. კ.ნადარეიშვილი მონაწილეობდა ISTC გრანტით დაფინანსებული პროექტის G-1294 – „საქართველოს ტერიტორიაზე მდ. მტკვრის აუზის რადიონუკლიდებით და ტოქსიკური ელემენტებით დაბინძურების შესწავლა და რადიაციული და ჰიდროქიმიური მონიტორინგის სისტემის შექმნა“ დამუშავებაში.

ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების წევრები მონაწილეობდნენ:

აკად. ფ.თოდუა – ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის კონგრესის (ქვენა, ავსტრია), ჩრდილოეთ ამერიკის რადიოლოგთა ასოციაციის (RSNA) კონგრესის (ქჩიკაგო, აშშ), ევროპის ონკოლოგთა საზოგადოების (ESMO) კონგრესის (ქ.სტოკჰოლმი, შვედეთი), საქართველოს მცირე ინვაზიურ ქირურგთა ასოციაციის I კონგრესის (ქ.თბილისი), საერთაშორისო კონფერენცი-

ის „Variability of biomedical signals“ (ქ.ვარშავა, პოლონეთი) მუშაობაში;

აკად. თ.იოსელიანი – ევროპის ნეირომეცნიერებათა საზოგადოების (FENS) მე-6 ფორუმის (ქუენევა, შვეიცარია), ამერიკის ნეირომეცნიერებათა საზოგადოების (SEN) 38-ე სამეცნიერო კონფერენციის (ქ.ვაშინგტონი, აშშ), შოთა რუსთაველის ბათუმის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ივ. ჯავახიშვილის ობილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთობლივი სემინარის (ქ.ბათუმი) მუშაობაში;

აკად. ქ.ნადარეებიშვილი – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის (ქ.ბრიუსელი, ბელგია) მუშაობაში;

აკად. ვ.ოკუჯავა – საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების მიერ ორგანიზებული „ბერიტაშვილის კიოხვანის“ და სამეცნიერო კონფერენციის „ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის მიღწევები“ (ქ.თბილისი) მუშაობაში, როგორც მისი პრეზიდენტი;

აკად. ნ.ყიფშიძე 4 მოხსენებით წარდგა შინაგანი მედიცინის 29-ე მსოფლიო კონგრესზე (ქ.ბუენოს-აირესი, არგენტინა), მონაწილეობა მიიღო, აგრეთვე, აღერგოლოგისა და იმუნოლოგის საერთაშორისო კონგრესის (ქ.თბილისი), საერთაშორისო კონფერენციის (ქ.ვენეცია, იტალია), ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების კონგრესის (ქ.მიუნხენი, გერმანია) და გულის დაავადებების მე-14 მსოფლიო კონგრესის (ქ.ტორონტო, კანადა) მუშაობაში;

აკად.წევრ-კორ. ლ.მანაგაძე მოხსენებით გამოვიდა მე-4 საერთაშორისო კონგრესზე (ქ.პარიზი, საფრანგეთი), საქართველოს მცირე ინვაზიურ ქირურგთა ასოციაციის I კონგრესზე (ქ.თბილისი).

აკად. ფ.თოდეუა არის საქართველოს მენციერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის უურნალის „რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნეს“ მთავარი რედაქტორი; უურნალების „საქართველოს სამედიცინო მოამბე“ და „Вестник рентгенологии и радиологии“ (მოსკოვი) სარედაქციო კოლეგიების წევრი; აკად. კ.ნადარეიშვილი არის საქართველოს რადიობიოლოგიისა და რადიაციული უსაფრთხოების ეროვნული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეს (ბიოლოგიური სერია A) და „სამედიცინო რადიოლოგიის“ რედკოლეგიების წევრი; აკად. ნ.ჯავახიშვილი არის უურნალის „ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა“ რედაქტორი; აკად. მ.ხანანაშვილი არის უურნალ „Биолетень экспериментаной биологии и медицины“-ის რედკოლეგიების წევრი და „ადამიანის ფიზიოლოგიის“ სახელმძღვანელოს სარედაქციო კომისიის მუდმივი წევრი; აკად ს. ხეჩინაშვილი გახდა გერმანიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი.

საანგარიშო წელს ჩატარდა ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილების 3 საერთო კრება, რომლებზეც განხილული იყო განყოფილების წევრებისა და სსიპ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ანგარიშები.

განყოფილების საერთო კრებამ აკადემიკოს-მდივნად აირჩია აკად. თ.ონიანი. ბიუროს წევრებად: აკად. თ.იოსეელიანი, აკად. წევრ-კორ. ლ.მანაგაძე. განყოფილების სწავლულ მდივნად არჩეულ იქნა ბიოლ. მეცნ. კანდ. ნ.კიკნაძე.

განყოფილებაში ჩამოყალიბდა ორი დარგობრივი კომისია: ფიზიოლოგიის (თავმჯ. აკად. თ.იოსელიანი), მედიცინის (თავმჯ. აკად. წევრ-კორ. ლ.მანაგაძე).

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილებაში 2009 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო 7 წევრი, მათ შორის 3 აკადემიკოსი და 4 წევრ-კორესპონდენტი.

განყოფილების წევრებმა 2008 წელს გამოაქვეყნეს (ან წარადგინეს გამოსაქვეყნებლად) 3 სახელმძღვანელო და 31 სამეცნიერო სტატია.

ა) სახელმძღვანელოები

აკად. წევრ-კორ. ა.დიდებულიძე

„სასოფლო-სამეურნეო ობიექტების ელექტრიფიკაციის დაპროექტება“ (თანაავტორობით; გადაცემულია დასაბუქდად, საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 105 გვ.).

სახელმძღვანელო განკუთვნილია ფერმერებისა და აგროსაინჟინრო მიმართულების სტუდენტებისათვის, აგრეთვე, საპროექტო ფირმებში დასაქმებულთათვის. მასში კომპლექსური მიღების საფუძველზე განხილულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტთა დაპროექტების დროს უწყვეტი ენერგომომარაგების უზრუნველყოფისა და მისი საიმედოობის ამაღლების, აგრეთვე, ელექტომოწყობილობის შერჩევისა და ექსპლუატაციის საკითხები, მოყვანილია საპროექტო გადაწყვეტილებების ეკონომიკურ დასაბუთებასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები. დანართში მოყვანილია როგორც საქართველოს სოფლის მეურნე-

ობაში უკვე გავრცელებული, ასევე უახლესი ელექტრომოწყობილობის საკატალოგო მონაცემები.

აკად.წევრ-კორ. პ.ნასყიდაშვილი

1) „შორეული პიბრიდიზაცია და მისი გამოყენება მცენარეთა სელექციაში“ – მეთოდური სახელმძღვანელო (თანაავტორობით; საზოგადოება „ცოდნა“, 19 გვ., თბილისი).

ნაჩვენებია პიბრიდიზაციის, კერძოდ, შორეული პიბრიდიზაციის მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალმოსავლიანი და მაღალხარისხოვანი ჯიშებისა და პიბრიდების მიღების საქმეში, ამ მეთოდის გამოყენების ისტორია, შეუჯვარებლობის დაძლევის გზები, პიბრიდთა უნაყოფობის პრობლემა და მისი დაძლევის ხერხები, ხორბლის შორეული პიბრიდების მიღება და პერსპექტივები, აგრეთვა, ამ მეთოდის გამოყენებით მიღებული კულტურები და ჯიშები. მეთოდური სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო უნივერსიტეტის აგროტექნოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის.

2) „სიახლე საშემოდგომო ხორბლის წარმოების აგროტექნოლოგიაში“ – მეთოდური მითითება-რეკომენდაცია (თანაავტორობით; საზოგადოება „ცოდნა, თბილისი, 28 გვ.).

ნაჩვენებია, რომ უკანასკნელი 15 წლის მანძილზე საქართველოში ხორბლის მოსავლიანობა მკვეთრად შემცირდა, ხშირია ისეთი წლებიც, როდესაც ხორბალი არ იძლევა მოსავალს. ერთსა და იმავე ნაკვეთზე ხორბლის ხშირმა თესვამ გააუარესა მარცვლის ხარისხიც, ქართველ ფერმერებს უჭირთ ისეთი ხარისხის ხორბლის მარცვლის მიღება, რომელშიც წებოგვარა 22%-ზე მეტი იქნება. აღნიშნულ მეთოდურ მითითება-რეკომენდაციაში ნაჩვენებია, რომ ხორბლის წარმოების აგროტექნოლოგიური სიახლეების გამოყე-

ნებით შესაძლებელია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ხორბლის წარმოება, ამაღლდეს მარცვლის მოსავლიანობა და პურცხობის ხარისხიც. შემოთავაზებული აგროტექნოლოგიური სიახლეების გამოყენებით შეიქმნება მაღალი ხარისხის ხორბლის დიდი და მყარი მოსავლის მიღების შესაძლებლობა. მეთოდური მითითება-რეკომენდაცია გათვალისწინებულია საქართველოს სახოფლო-სამეურნეო სახელმწიფო უნივერსიტეტის აგროტექნოლოგის სპეციალობის ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისათვის.

ბ) სტატიური

აკად. ც. მირცხულავა

1) „დამლაშებული მიწებისა და ეკოლოგიური კრიზისების მდგომარეობის შეფასება“ (Ж. „Экологические системы и приборы“, №2, მოსკოვი, რუსულ ენაზე).

შემოთავაზებულია მიწების დამარილიანების ეტაპების შეფასების მეთოდიკა. მოყვანილია ნიადაგის დამარილიანების რეჟიმის ცალკეული ეტაპის პროგნოზი მარკოვის, იტო და ფოკერ-პლანკ-კოლმოგოროვის სტოქასტიკური კინეტიკური დიფერენციალური განტოლებების გამოყენებით.

2) „დვარცოფული ზემოქმედებისაგან ობიექტების მოწყვლადი მდგომარეობის პროგნოზირება და კვლევების პერსპექტიული მიმართულებები“ (საერთაშორისო კონფერენციის „დვარცოფული ნაკადები: კატასტროფები, რისკი, დაცვა, პროგნოზი“ მასალები, 70-73, პიატი-გორსკი, რფ, რუსულ ენაზე).

ერთ-ერთ გადასაწყვეტ აქტუალურ პრობლემად რჩება დვარცოფული ნაკადებისაგან გამოწვეული ეკოლოგიური კრიზისების შერბილება. აღნიშნულია, რომ პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია რისკის მეთოდოლოგიის მუდმივი დახვეწა და სრულყოფა.

3) „ავარიების, კატასტროფებისა და ეკოლოგიური კრიზისების შერბილების ან თავიდან აცილების შესაძლებლობების შესახებ“ (Ж. „Инженерная экология“, №2, 54–63, მოსკოვი, რუსულ ენაზე).

გაანალიზებულია სხვადასხვა ობიექტების, განსაკუთრებით კაშხლების კატასტროფების, ავარიების, დაბერებისა და დაზიანების პრობლემები, რომლებიც იწვევს ეკოლოგიურ კრიზისებს. შემოთავაზებულია სისტემათა მოდელების კომბინაციები, რომლებიც აღწერს ობიექტის მდგომარეობას და ზომებს მოსალოდნელი საშიშროებების თავიდან აცილების ან შერბილების გზით. აღნიშნული მოდელების კომბინაციები შემუშავებულია მარკოვის, იტო და ფოკერ-პლანკ-კოლმოგოროვის განტოლებათა ერთობლივი გადაწყვეტილებების საფუძველზე.

4) „ეკოსისტემის ავარიულობის პროგნოზირება მზადყოფნის მაჩვენებლების მიხედვით“ (წარდგენილია გამოსაქვეყნებლად, Ж. „Экологические системы и приоритеты“, მოსკოვი, რუსულ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ საიმედოობის თეორიაში მათემატიკური მეთოდების გამოყენება როგორც პერიოდული, ასევე რეგულარული გამოყენების ეკოსისტემის ობიექტებისათვის მათი საიმედო მუშაუნარიანობის შეფასების საშუალებას იძლევა.

5) „ეკოსისტემებისათვის ფუნქციონალური მათემატიკური მოდელების გამოყენების შესაძლებლობა“ (წარდგენილია გამოსაქვეყნებლად, Ж. „Инженерная экология“, მოსკოვი, რუსულ ენაზე).

მათემატიკური მოდელების დახმარებით გამოკვლეულია ობიექტის რეაქცია ამა თუ იმ დაზიანებაზე ფუნქციონირების საშუალებების ცვლილებების გამოყენებით. ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, გათვა-

ლისწინებულია ობიექტში შესატანი მიზანმიმართული კორექტივი.

6) „კარსტულ-სუფოზიური ვარდნის პარამეტრებისა და რისკის დონის წინასწარი განსაზღვრა“ (წარდგენილია გამოსაქვეყნებლად, Ж. „Экологические системы и приборы“, მოსკოვი, რუსულ ენაზე).

შემოთავაზებულია კარსტულ-სუფოზიური ვარდნის პარამეტრების და რისკის დონის პროგნოზირების მეთოდოლოგია მარკოვის, იტო და ფოკერ-პლანკ-კოლმოგოროვის განტოლებების ერთობლივი გამოყენებით.

აკად. ო.ნათოშვილი

1) „მთის წყალსადინარებში დვარცოფის გავლის შედეგად ეკოლოგიური სიტუაციის შესაძლო დამძიმების პროგნოზი“ (თანაავტორობით; Ж. „Инженерная экология“ №2, 53–63, მოსკოვი, რუსულ ენაზე).

ენერგეტიკულ პრინციპებზე დაყრდნობით, ჰიპერკონცენტრირებული დვარცოფული ნაკადებისათვის, შედეგებილია ერთგანზომილებიანი მოძრაობის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა ცვლადი მასით გადაადგილების შემთხვევისათვის. გაანალიზებულია ნაკადის როგორც დაწნევიანი, ასევე უდაწნევო მოძრაობის შემთხვევები გალერეებში. შემოთავაზებულია დვარცოფგამტარ ნაგებობათა გაანგარიშების მეთოდი კა ნაკადის პიდრავლიკური პარამეტრების უეცარი (მკვეთრი) ცვლილების გათვალისწინებით. დადგენილია ნაკადის გალერეაში შესვლისას დვარცოფსადინარში უკუტალდის შესაძლო წარმოქმნის პირობები.

2) „ვერტიკალურ ყრუ კედელზე დვარცოფული ნაკადის ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი უკუტალდის პარამეტრების დადგენა“ (თანაავტორობით; Ж. „Экологические системы и приборы“, №3, 60–62, მოსკოვი, რუსულ ენაზე).

შემოთავაზებულია ღვარცოფული ნაკადის ვერტიკალურ ყრუ კედელზე ზემოქმედების შედეგად უპუტალდის სიმაღლის და სიჩქარის დადგენის მეთოდიკა. მეთოდიკა საშუალებას იძლევა დადგინდეს ღვარცოფ-საწინააღმდეგო ვერტიკალური ყრუ კედლის გაბარიტები იმ პირობით, რომ მოცემულ უბანზე ღვარცოფის ზემოქმედებამ არ გამოიწვიოს მდგრადი ეკოლოგიური სიტუაციის დარღვევა ყრუ კედლის დანგრევის ან მასზე ნაკადის „გადახტომის“ შემთხვევაში.

3) „წინაღობის მაქსიმალური სიმაღლის დადგენა, რომლის გადალახვაც ძალუმს ღვარცოფულ ნაკადს“ (თანაავტორობით; Ж. „Гидротехническое строительство“, №8, 23–25, მოსკოვი, რუსულ ენაზე).

შემოთავაზებულია მეთოდიკა, რომელიც ადგენს ვერტიკალური ყრუ კედლის მაქსიმალურ სიმაღლეს, რომელსაც გადალახავს პიპერკონცენტრირებული ღვარცოფული ნაკადი, როდესაც იგი განთავსებულია უშუალოდ წყალსადინარის კალაპოტში უკუტალდისა და (კლასიკური გაგებით) ნაგებობის ზედა ბიეფში შეტბორვის წირის წარმოქმნის გარეშე.

4) „ღვარცოფგამტარ ნაგებობებში ღვარცოფის დაწნევიანი, უდაწწევო და ტალღური რეჟიმით მოძრაობის საკითხების შესწავლა“ (თანაავტორობით; საერთაშორისო კონფერენციის მასალები „ღვარცოფული ნაკადები: კატასტროფები, რისკი, დაცვა, პროგნოზი“, 249-252, პიატიგორსკი, რფ, რუსულ ენაზე).

ღვარცოფგამტარ ნაგებობებში პიპერკონცენტრირებული ღვარცოფული ნაკადი შეიძლება მოძრაობდეს დაწნევიანი, უდაწწევო და ტალღური რეჟიმების სახით. სშირად ღვარცოფგამტარი ნაგებობები დიდი დიამეტრის მქონე მყარი მონატანით ივსება (იჭედება) და ნაგებობა წყობიდან გამოდის. ნაშრომში გაანალიზებულია ყველა დასახელებული მოძრაობის რეჟიმები და ნაგებობათა ექსპლუატაციის შესაძლო შეფერხების

შემთხვევები. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ხიდქვეშა სივრცეში სხვადასხვა რეჟიმით ნაკადის გავლის შემთხვევებზე, რაც იწვევს ხიდქვეშა სივრცის მონატანით ამოქოლვას და ზედა ბიეფში უკუტალდის წარმოქმნას. მითითებული პირობების გათვალისწინებით დადგენილია უკუტალდის პიდრავლიკური პარამეტრები, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს მოცემულ კონკრეტულ უბანზე ეკოლოგიური სიტუაციის დამძიმება. შემოთავაზებულია ეკოლოგიური სიტუაციის შესაძლო დამძიმების შერბილების სხვადასხვა წინადადებები.

5) „ბმული ღვარცოფის პიდრავლიკური განტოლებები და მათი ამოხსნის ზოგიერთი კერძო შემთხვევა“ (თანავტორობით; საერთაშორისო კონფერენციის „ღვარცოფული ნაკადები: კატასტროფები, რისკი, დაცვა, პროგნოზი“ მასალები, 245–248, პიატიგორსკი, რფ, რუსულ ენაზე).

შემოთავაზებულია ღვარცოფის არათანაბარი და ტალღური მოძრაობის პიდრავლიკური განტოლებები. იგი გათვალისწინებულია პრიზმატულ კალაპოტებში ნაკადის ცვლადი მასით მოძრაობის შემთხვევისათვის. მიღებულია მხედველობაში ნაკადის არანიუტონური ბუნება. რეკომენდებული განტოლებები საშუალებას იძლევიან დაგეგმარდეს ღვარცოფგადამგდები ნაგებობები კალაპოტის ფსკერის ქანობის, კალაპოტის გაშლის კუთხის და თვით ნაკადის თავისუფალი განფენის კუთხის პარამეტრების გათვალისწინებით. პიპერკონცენტრირებული ნაკადების უწყვეტი ტალღის ფორმით გადაადგილების შემთხვევისთვის მიღებულია დამოკიდებულება, რომელიც მიუთითებს, რომ უწყვეტი ტალღის სიჩქარე სამჯერ აღემატება ნაკადის ცოცხალი კვეთის საშუალო სიჩქარეს. დინამიკური ტალღის დასახასიათებლად შემოთავაზებულია საანგარიშო დამოკიდებულება, რომელიც ითვალისწინებს ბმული ღვარ-

ცოფის დაძვრის კუთხის ზღვრულ მნიშვნელობას, რაც უდავოდ ზეგავლენას ახდენს წარმოქმნილი ტალღის პარამეტრებზე. მოყვანილი ჰიდრავლიკური განტოლებების გამოყენება შესაძლებელია სხვა ამოცანების გადასაწყვეტადაც.

6) „ღვარცოფული ნაკადის ირიბი ჰიდრავლიკური ნახტომი“ (თანაავტორობით; ნაშრომი გაგზავნილია საერთაშორისო კონფერენციის შრომებში ინგლისურ ენაზე გამოსაქვეყნებლად).

შემოთავაზებულია ახლებური მარტივი მიდგომა ღვარცოფის ირიბი ჰიდრავლიკური ნახტომის გასაანგარიშებლად. მოყვანილია ჰიდრავლიკური დამოკიდებულებანი ჰიპერკონცენტრირებული ღვარცოფული ნაკადების გამოტანის კონუსზე გაშლის პარამეტრების და მისი გაჩერების ადგილის დასადგენად.

7) „ღვარცოფული ნაკადის მიერ დიდი გაბარიტების მქონე ფლეთილი კლდის გადაადგილების მექანიზმის დადგენა“ (თანაავტორობით; Ж. „Метеорология и гидрометрия“, მოსკოვი, რუსულ ენაზე, გავლილი აქვს ექსპერტიზა, რეკომენდებულია გამოსაქვეყნებლად).

შემოთავაზებულია მთის მდინარის კალაპოტში დიდი გაბარიტების მქონე ფლეთილი კლდის გადაადგილების სიჩქარის საანგარიშო დამოკიდებულება, როდესაც ფლეთილი კლდის გაბარიტები ბევრად აღემატება ღვარცოფული ნაკადის საშუალო სიღრმეს და მისი ტრანსპორტირება ხდება ნაკადის საშუალო სიჩქარეზე ნაკლები სიჩქარით. განსაზღვრულია მისი გადაადგილების მანძილი კალაპოტის ტრანზიტულ ზონაში და მისი გაჩერების ადგილი ნარიყის კონუსზე.

პკად.წევრ-კორ. ა.დიდებულიძე

1) „საქართველოს მთიანეთის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“ (თანაავტორობით; „Annals of agrarian Science“, 14 გვ., გადაცემულია გამოსაქვეყნებლად).

მთიანი რეგიონების მდგრად განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მომავლისათვის, ქვეყნის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის. სიღარიბე, დეპოპულაცია და მკოლოგიური დეგრადაცია დღვევანდველი საქართველოს მთიანეთის სამწუხარო თავისებურებებს წარმოადგენს. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს მთიანი რეგიონების საკვანძო პრობლემები და დასახულია ის ძირითადი მიმართულებები, რომელთა რეალიზებამ მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარება, მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგრმარეობის გაუმჯობესება და ცხოვრების დირსეული პირობების შექმნა უნდა უზრუნველყოს.

2) „ცვლილებები საქართველოს სოფლის მეურნეობასა და მიწათსარგებლობაში“ (თანაავტორობით; კრებული: „Georgian in Transition-Experiences and Perspectives“, 12 გვ. მაინის ფრანკფურტი, გვრ).

საქართველოს ეკონომიკაში სოფლის მეურნეობას განსაკუთრებული ადგილი უკავია და უშუალო ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ცხოვრებაზე. საქართველოს დიდი აგრარული ტრადიციები და მსოფლიო ბაზრისათვის მრავალფეროვანი, კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მაღალი პოტენციალი გააჩნია. ამ პოტენციალის სრულფასოვანი რეალიზაციისათვის აუცილებელია მცირე და ფრაგმენტული ნაკვეთების კონსოლიდაცია, ნიადაგის დეგრადაციის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, ინფრასტრუქტურის განვითარება და ინვესტიციების მოზიდვა, ექსტენციის სისტემის ჩამოყალიბება და მეცნიერების უახლესი მიღწევების გამოყენება. დასახულია ამ საკითხების გადაწყვეტის გზები.

აკად.წევრ-კორ. პ.ნასყიდაშვილი

1) „მალსეკოსადმი გამძლე ლიმონის ახალი ჯიში „დიოსკურია“ (თანააგტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №2, 98-99, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ ლიმონი „დიოსკურია“ მიღებულია შორეული ჰიბრიდიზაციის მეთოდის გამოყენებით ლიმონ „ქართულის“ P.trifoliate-სთან შეჯვარებით. როგორც საველე, ისე ლაბორატორიულ პირობებში გამოკვლევების შედეგად დადგენილია, რომ იგი „მალსეკოს“ დაავადებისადმი გამძლეა, ამავე დროს შედარებით ყინვაგამძლე, უხვმოსავლიანი და კარგი ხარისხის ნაყოფის მომცემი ჯიშია.

2) „მარცვლეული კულტურების სელექცია და გუნეტიკა – 21-ე საუკუნის სტრატეგიული ხედვა“ (თანაავტორობით; უკრნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1, აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტი).

ნაჩვენებია, რომ მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნილება სასურსათო პროდუქტებზე, რის გამოც დღის წესრიგში დგას მარცვლეული კულტურების – ხორბლის, ჭვავის, ქერის, შვრის, ბრინჯისა და სიმინდის მოსავლიანობის მკვეთრი გაზრდის აუცილებლობა. ამ პრობლემის გადაწყვეტაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სელექციურ-გენეტიკური მეთოდების გამოყენებამ. ასეთი ვითარება გენგრიკისა და სელექციის წინაშე აუქნებს მარცვლეული კულტურების მცენარეთა რეკონსტრუქციის აუცილებლობას, რათა შეიქმნას მნიშვნელოვნად მეტი მოსავლიანი ჯიშები და ჰიბრიდები. ამასთანავე, გამოყვანილ უნდა იქნეს ისეთი ჯიშები, რომელთა გენოტიპში დადებითად იქნება შერწყმული სტაბილური მოსავლიანობა და მაღალხარისხოვნება, დაავადებების, მავნებლებისა და გარემოს არახელსაყრელი პირობებისადმი

გამძლეობა, აგრეთვე, მექანიზებული წარმოების შესაძლებლობა. აღნიშნულია, რომ კომპლექსურად დადგბითი ნიშან-თვისებების მქონე ჯიშების მიღების რეალურ საფუძველს იძლევა შორეული ჰიბრიდიზაციისა და პოლიპლოიდის გამოყენება. ამას ადასტურებს მარცვლეულის უკვე მიღებული ახალი კულტურა ტრიტიკალე, ხორბლის ახალი კულტურა – მრავალწლოვანი ხორბალი, ყინვა- და ზამთარგამძლე ხორბალ „ჭანგას“ ჰიბრიდები, ასევე, მათგან მიღებული ახალი ტიპის საშემოდგომო ხორბლის ჯიშები, გვართაშორისი მრავალი ჰიბრიდი და ალო-ავტოპოლიპლოიდები.

3) „მოხდა თუ არა საქართველოში მწვანე რევოლუცია“ (თანავტორობით; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №22, 153-155).

ნაჩვენებია, რომ სიმინდის ქართული ჰიბრიდების გამოყვანა და დანერგვა საქართველოში, მექსიკის შემდეგ, არის მეორე მწვანე რევოლუცია. ამ ჰიბრიდებმა, ზონების მიხედვით, ჯიშთა გამოცდის ნაკვეთებზე საჟექტო მოსავალი, სტანდარტთან შედარებით, 15,6 ცენტნერით ანუ 40%-ით გაზარდა.

4) „სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სელექციის ძირითადი მიმართულებები“ (თანავტორობით; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №22, 167-169).

ნაჩვენებია, რომ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი ჯიშების მისაღებად, სელექციის კლასიკური მეთოდების პარალელურად, გამოყენებული უნდა იქნეს გენეტიკური მეთოდები, კერძოდ, ექსპერიმენტული პოლიპლოიდია (ავტო-ალოპოლიპლოიდია), გენეტიკური მართვადი ჰეტეროზისი, რადიაციული და ქიმიური მუტაციები, ციტოპლაზმური მამრობითი სტურილობა, ცალკეულ სახეობათა რესინთეზი – არასასურველი გენების შეცვლა და სხვ. ასეთნაირი კომ-

პლექსური მიდგომით მიიღება თანამედროვე ტიპის ახალი ჯიშები და შესაბამისი პიბრიდები, აგრეთვე, ახალი ბოტანიკური გვარები.

5) „საშემოდგომო პექსაპლოიდურ და ოქსაპლოიდურ ტრიტიკალეში პროდუქტიული ბარტყობის, დუროთდგომის სიხშირისა და მარცვლის მოსავლიანობის შესწავლის შედეგები“ (თანაავტორობით; ურნალი „აგრარულ მეცნიერებათა პრობლემები“, ტ. 1, №4 (45), 5-8, თბილისი).

ნაჩვენებია, რომ საშემოდგომო პექსაპლოიდური და ოქტაპლოიდური ტრიტიკალეს ჯიშ-ნიმუშები პროდუქტიულობის განმაპირობებელი ელემენტებით, მათ შორის პროდუქტიული ბარტყობით და მის საფუძველზე შექმნილი ფართობის ერთეულზე დართდგომის სიხშირით და, აგრეთვე, თავთავის პროდუქტიულობის განმაპირობებელი ელემენტებით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან. დადგენილია, რომ აღნიშნული მაჩვენებლებით ტრიტიკალეს ორივე პლოიდობის ფორმები ჩამორჩებიან რბილი ხორბლის ჯიშებს, ხოლო კარგი მაჩვენებლებით გამოირჩევიან პექსაპლოიდური ფორმები.

აკად.წევრ-კორ. გ.პაპუნიძე

1) „იაპონური მუშმულის თურქული ჯიშების (Armut, Akko, Taza) თესლებზე ნიტროზოეთილშარდოვანას ზემოქმედებით გამოწვეული ცვლილებები“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №1, 95-97, ინგლისურ ენაზე).

ნაჩვენებია, რომ ქიმიური მუტაგენი ნიტროზოეთილშარდოვანა (ნეტ) იაპონური მუშმულის თურქული ჯიშების (Armut, Akko, Taza) თესლებზე ზემოქმედებისას გარკვეულწილად ამცირებს აღმოცენების უნარს და იწვევს მორფოლოგიურ ცვლილებათა სპეცირის გაზრდას.

2) „აჭარის მთის ტყეების თანამედროვე მდგომარეობა და მეურნეობის გაძლიერებული საფუძვლები“ (ჟურნალი „რეგიონალური ეკონომიკა“, №1, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის გამომცემლობა, ბათუმი).

აღნიშნულია, რომ წარსული უსისტემო ექსპლუატაციის, ინტენსიური სამრეწველო ამორჩევითი ჭრებისა და გადაჭარბებული ძოვების შედეგად შეიმჩნევა ტყის გამეჩხრება დიდ ფართობებზე. ასეთი ტყეების დიდმა ნაწილმა დაკარგა დაცვითი ფუნქციები, რასაც თან მოჰყვა პიდროლოგიური რეჟიმის მოშლა და ბუნების სხვა უარყოფითი მოვლენები. შემუშავებულია დეგრადირებული ტყეების აღდგენის კომპლექსური სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა სისტემა.

3) „აჭარის მთის ტყეების დაცვითი ფუნქციების შესწავლის შედეგები მცირე წყალშემკრები აუზების მაგალითზე“ (კრებული „რეგიონალური და ქაფნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის გამომცემლობა, ბათუმი).

ნაჩვენებია, რომ აჭარის სხვადასხვა ვერტიკალური სარტყლების ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში, მცირე წყალშემკრები აუზების მაგალითზე, ჩატარებული კვლევის შედეგებით ოვალსაჩინოდ ვლინდება მყარი ნატანის ფორმირების თავისებურებანი წყალშემკრები აუზების ტყიანობასთან და ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით. ერთიანი პარამეტრების ჯამური მყარი ნატანი უმაღლეს მაჩვენებლებს აღწევს დაბალი ზონის ჭარბებიან პირობებში. მთის შუა სარტყელში ეს მონაცემები მნიშვნელოვნად მცირდება, ხოლო ტყის მაღალი მთის სარტყლის პირობებში კვლავ იზრდება, მაგრამ არა იმ რაოდენობით, როგორც სუბტროპიკულ, ჭარბტენიან რაიონებში. სისტემატურად, ინტენსიური ნალექების მოს-

ვლის ფონზე, ტყის ეკოსისტემის წყალმარეგულირებელი ფუნქციები მთლიანობაში მნიშვნელოვნად დაწეულია.

აკად.წევრ-კორ. თ.ურუშაძე

1) „საქართველოს ძირითად ნიადაგებზე ეროზიის ინტენსივობის პროგნოზირება (თანაავტორობით; Ж. „Известия аграрной науки“, გ. 6, №1).

ეროზიის პროცესების ინტენსივობის დასადგენად შერჩეულა სიმინდი. დადგენილია, რომ ყველაზე მეტად განიცდის ეროზიას წითელმიწები და ყვითელმიწები.

2) „ახალი პუბლიკაციები ძველ პრობლემებზე“ – რეცენზია (Ж. „Известия аграрной науки“, გ. 6, №2).

რეცენზია ეხება ცნობილი რუსი მეცნიერის ი.ვოდიანიცის მონოგრაფიებს: „ბალებებული ნიადაგების ქიმია, მინერალოგია და ფერი“ და „გადატენიანებული მინერალური ნიადაგების დიაგნოსტიკა“.

3) „ირიგაციული სავარგულების დაბინძურება მძიმე ლითონებით მაშავერას ველზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველო“ (თანაავტორობით; ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ახალი სერია, №2(81)).

ნაჩვენებია, რომ მდინარე მაშავერას სარწყავი ნიადაგები გამოირჩევა მაღალი ნაყოფიერებით, თუმცა სარწყავად გამოყენებული მდინარის წყლები გაჭუჭიანებულია სამთომოპოვებითი მრეწველობის სპილენძისა და ოქროს საბადოების ნარჩენებით.

4) „ბუნებრივი ცეოლითის – კლინოპტილოლითის შემცველი ტუფის ბიოლოგიური აქტივობა“ (თანაავტორობით; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, გ. II, №3, 99-106, ინგლისურ ენაზე).

განხილულია ბუნებრივი ცეოლითების კლინოპტილოლითის შემცველი ტუფებისა და მის საფუძველზე მომზადებული ტორფიან-ცეოლითური და ორგანო-ცეო-

ლითური სასუქების ზემოქმედება ნიადაგის მიკროორგანიზმების თვისობრივ და რაოდენობრივ შემადგენლობაზე.

5) „მემცენარეობაში ცეოლითშემცველი მთის ქანების გამოყენება“ (თანაავტორობით; Ж. „Агрохимия“, 12, რუსულ ენაზე).

სტატიაში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა ცეოლითშემცველი ქანების საბადო, ბუნებრივი ცეოლითების გავლენა ნიადაგების ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე, ცეოლითები დაცულ გრუნტში, ცეოლითები მიწათმოქმედებაში, ცეოლითები როგორც დეტოქსიკანტები, ბუნებრივი ცეოლითები როგორც პესტიციდების მოქმედების მატარებლები და პროლონგატორები.

6) „ახალი გამოცემა ძველ პრობლემებზე“ – რუსენზია (Ж. „Известия аграрной науки“, ტ. 6, №4, რუსულ ენაზე).

რეცენზია ეხება რუსულ ენაზე თარგმნილ ნიადაგმცოდნეობის ფუნდამენტური პრობლემების ნაშრომთა რიგს, მათ შორის საერთაშორისო კლასიფიკაციისა და ნიადაგების კორელაციისათვის ნიადაგური რესურსების მსოფლიო კორელაციურ ბაზას. ნაშრომი შეიცავს ნიადაგების ახალი საერთაშორისო კლასიფიკაციის საკმაოდ დეტალურ დახასიათებას.

7) „ბორჯომის ხეობის ვულკანოგენურ ქანებზე განვითარებული ნიადაგების ტაქსონომიური თავისებურებანი“ (თანაავტორობით; საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეცნიერო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, №2 (43)).

განხილულია ბორჯომის ხეობის ვულკანოგენურ ქანებზე განვითარებული ყომრალებისა და მთა-მდელოს ნიადაგების ტაქსონომიური თავისებურებანი.

8) „ბორჯომის ხეობის ვულკანოგენურ ქანებზე განვითარებული ნიადაგების დახასიათება“ (თანაავტორობით; საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-

სამეცნიერო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, №3 (44)).

დახასიათებულია ბორჯომის ხეობის ვულკანოგენურ ქანობებზე განვითარებული ყომრალებისა და მთა-მდელოს ნიაღაგები.

განვოფილების წევრები 2008 წელს მონაწილეობდნენ და ხელმძღვანელობდნენ 8 სამეცნიერო-კვლევითი ოემის დამუშავებას.

აკად.წევრ-კორ. პ.ნასყიდაშვილმა 2008 წელს მიიღო 4 საავტორო მოწმობა სასოფლო-სამეცნიერო კულტურათა ახალი ჯიშების გამოყვანაზე (ხორბალი, მუხუდო, პომიდორი, ოსპი).

აკად. ც.მირცხულავას ხელმძღვანელობით შესრულდა სახელმწიფო ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი „ჰიდროტექნიკური ნაგებობების ავარიებით მიყენებული ზარალის შერბილების დონისძიებები“ (#GNSF/STO7/7-257).

აკად.წევრ-კორ. თ.ურუშაძე 2008 წელს არჩეული იქნა კატალონიის (ესპანეთი) მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

საერთაშორისო კონფერენციის მასალებში „დვარცოფული ნაკადები: კატასტროფები, რისკი, დაცვა, პროგნოზი“ (პიატიგორსკი, რფ) გამოქვეყნდა აკად. ო.ნათიშვილის 2 და აკად. ც.მირცხულავას 1 ნაშრომი.

აკად.წევრ-კორ. პ.ნასყიდაშვილი მონაწილეობდა 2 საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში („კულტურულ მცენარეთა გენეტიკური რესურსები და მისი გამოყენება სოფლის მუშრნეობაში“, თბილისი და „თანამედროვე სამეცნიერო აქტუალური საკითხები“, გორი).

აკად.წევრ-კორ. თ.ურუშაძე მონაწილეობდა შემდეგი საერთაშორისო კონფერენციებისა და კონგრესის მუშაობაში: „ფაო“ (ქ.რომი, იტალია); „ბიომრავალფეროვნების საკითხები“ (ქ.ბონი, გერმანია); ევროპის

ნიადაგმცოდნეთა კონგრესი „Eurosoil 2008“ (ქ.ვენა, ავ-სტრია); „მთის ნიადაგები: დაცვა და მდგრადი მართვა“ (ქ.თბილისი); „მთის რეგიონების გეოგრაფიის აქტუ-ალური პრობლემები“ (ქ.თბილისი); „ბუნების დაცვის მნიშვნელობა მდგრადი განვითარების პერსპექტივის-თვის“ (ქ.ერევანი, სომხეთი).

აკად.წევრ-კორ. ვ.პაპუნიძე მონაწილეობდა: აშშ-ს კრიტიკული ეკოსისტემის თანამშრომლობის ფონდის (CEPF, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი WWF, ქ.ბა-თუმი), გერმანიის გრეიფსვალდის უნივერსიტეტისა და ბათუმის ბოტანიკური ბაღის ერთობლივი კონფერენ-ციის (ქ.ბათუმი), ველური ბუნების დაცვის საზოგადო-ება „ჭაობების“ და ბიომრავალფეროვნების კონსერვა-ციის ფონდ „ნაკრების“ ერთობლივი კონფერენციის (ქ.ბათუმი) მუშაობაში.

აკად. ც.მირხულავა მონაწილეობდა ბორჯომის ხეობაში საომარი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზარალის შეფასებაში. მასალები წარედგინა საქართვე-ლოს მთავრობას.

აკადემიკოს გ.გიგაურის მიერ საქართველოს მთავ-რობას წარედგინა მოხსენებითი ბარათი „საქართვე-ლოს ტექნიკი: პრობლემები და პერსპექტივები“.

აკად.წევრ-კორ. პ.ნასყიდაშვილი მონაწილეობდა კანონზე – „საქართველოს კანონი მეთესლეობის შე-სახებ“ შენიშვნების მომზადებაში, რომელიც წარედ-გინა საქართველოს პარლამენტს.

აკად.წევრ-კორ. თ.ურუმაძის მონაწილებით მომზად-და და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებ-რივი რესურსების სამინისტროს წარედგინა პარლამენ-ტის დადგენილების პრეტერი „საქართველოში სატყეო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ“.

განყოფილების საერთო კრებაშ აკადემიკოს-მდივ-ნად აირჩია აკად. ო.ნათიშვილი, ბიუროს წევრებად აკად. ც.მირცხულავა, აკად.წევრ-კორ. პ.ნასყიდაშვილი,

აკად.წევრ-კორ. ა.დიდებულიძე, აკად.წევრ-კორ. თ.ურუშაძე. განყოფილების სწავლულ მდივნად არჩეულ იქნა ტექნ.მეცნ. კანდ. გ.ჯაფარიძე.

განყოფილებაში ჩამოყალიბდა ოთხი დარგობრივი კომისია: სოფლის მეურნეობაში ეკოლოგიური ექსტრემალური სიტუაციების (წყალდიდობები, ღვარცოფები, ნიადაგის ეროზია, გაუდაბნოება, ხანძრები და სხვა) პრობლემათა (თავმჯ. აკად. ც.მირცხულავა), სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის (სელექციის, გენეტიკის, ინტროდუქციისა და სხვა) პრობლემათა (თავმჯ. აკად.წევრ-კორ პ.ნასყიდაშვილი), წყლისა და ნიადაგის პრობლემათა (თავმჯ. აკად.წევრ-კორ. თ.ურუშაძე), აგროინჟინერიის, კვების ტექნოლოგიებისა და მეცხოველეობის პრობლემათა (თავმჯ. აკად.წევრ-კორ. ა. დიდებულიძე).

განყოფილების ინიციატივით მომზადდა ორი საკითხი, რომლებიც მოხსენდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოს: 1) „ეკოლოგიური აგრესია: ფაქტები და პროგნოზები“ (მომხსენებელი აკად.წევრ-კორ. თ.ურუშაძე); 2) „მებადურის, მევენახეობისა და მედვინეობის ინსტიტუტი, ინსტიტუციური რეფორმის ობიექტი და მოდელი“ (მომხსენებელი სსიპ მებადურის, მევენახეობისა და მედვინეობის ინსტიტუტის დირექტორი, მეცნ.დოქტ. თ.დეკანოსიძე).

შემუშავდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების დებულების პროექტი.

განყოფილების ინიციატივით გამოიცა „საქართველოს სამკურნალო, არომატული, სანელებელი და შხამიანი მცენარეების კატალოგი“ ქართულ, ლათინურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე (შემდგენლები პროფ. ა.კორახაშვილი და პროფ. თ.კაჭარავა).

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში 2009 წლის 1 იანვრისათვის ირიცხებოდა აკადემიის 15 წევრი, მათ შორის 7 აკადემიკოსი და 8 წევრ-კორესპონდენტი.

2008 წელს განყოფილების წევრებმა გამოაქვეყნეს 15 მონოგრაფია და წიგნი, 1 კრებული, 1 სახელმძღვანელო და 73 სამეცნიერო სტატია.

ა) მონოგრაფიები, წიგნები

აკად. გ.თევზაძე

„აღორძინების ეპოქის ფილოსოფია“ (გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 254 გვ.)

წარმოდგენილი კონცეფცია ემყარება ცოდნისა და რწმენის ტოლპირველადობის პრინციპს. ირაციონალიზმი და სკეპტიციზმი გონების თვითკრიტიკის სპეციფურ სახეებად არის მიჩნეული. აღიარებულია გონების ყოვლისშემძლეობის ჰეგელისეული რწმენა, მაგრამ კვლევის ყოველი შედეგის სოკრატისეული შეფასების მოთხოვნით. ეს შემდგომი კვლევის აუცილებლობის საფუძველია (არის ამ წიგნის ელექტრონული ვერსიაც).

აკად. რ.მეტრეველი

1) „პატრიარქი – ერის სულიერი მამა“ (გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 91 გვ.).

განხილულია ბიბლიური პატრიარქების ისტორია, პირველი საპატრიარქოების საქმიანობა; პეტრეარქია – ხუთთა მმართველობა; პატრიარქობა – როგორც უმაღლესი საეკლესიო და სახელმწიფო ებრივი პატივი; მოციქულები და მოციქულთასწორი წმ. ნინო საქართველოში; საქართველოს ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესია; პატრიარქობა საქართველოში. დეტალურადაა

შესწავლილი და გადმოცემული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის ილია II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა.

2) „ქართლის ცხოვრების“ ახალი გამოცემა (მთავარი რედაქტორი აკად. რ.მეტრეველი; გამომცემლობა „მერიდიანი“ გამომცემლობა „არტანუჯის“ მონაწილეობით, თბილისი, 832 გვ.).

3) „ქართლის ცხოვრების“ რუსული გამოცემა (მთავარი რედაქტორი აკად. რ.მეტრეველი; გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 454 გვ.).

4) წელიწდეული „ქართული დიპლომატია“, ტ. 13 (მთავარი რედაქტორი აკად. რ.მეტრეველი, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 463 გვ.).

5) „სხვაობა – 600 წელი. დავით აღმაშენებელი და პეტრე პირველი“ (გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 88 გვ., ქართულ და რუსულ ენებზე).

პარალელური ბიოგრაფიების ჟანრის პირველ ქართულ-რუსულ გამოცემაში წარმოჩენილია ორი ისტორიული მოღვაწე – დავით აღმაშენებელი და პეტრე პირველი: XI საუკუნის მიწურულისა და XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველო და XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთი.

აკად. დ.მუსხელიშვილი

„საქართველოს ისტორიის ნარკვევი“ (საქართველოს ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 36 გვ.).

ნარკვევში გადმოცემულია საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენცია უძველესი დროიდან დღემდე. წიგნი ეძღვნება უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრებიდან 30 და დაბადებიდან 75 წლისთავს.

იგივე ნაშრომი გამოქვეყნდა ინგლისურ ენაზე.

აკად.წევრ-კორ. გ.პაპავა

„ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის პრობლემები“ (თანაავტორობით; „ნოვა საიენს პაბლიშერზ“, აშშ, ნიუ-იორკი, 12 ნ.ო., ინგლისურ ენაზე).

გამოკვლეულია კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები. გაანალიზებულია მისი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფუნქციები გლობალიზაციის პირობებში. მოცემულია კავკასიის ეკონომიკური სივრცის ძირითადი პარამეტრების შედარებითი შეფასება. გახსნილია რეგიონის ქვეყნების ეკონომიკის განვითარების, მათი ერთმანეთსა და საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის თავისებურებაზი. ნაშრომი განკუთვნილია კავკასიის, ახალი რეგიონალიზმისა და გარდამავალი ეკონომიკის პრობლემებით დაინტერესებულ მუცნიერთა, პროფესორ-მასტავლებელთა, სტუდენტთა და პრაქტიკულ მუშაკთათვის. წიგნი პირველად 2006 წელს გამოიცა რუსულ ენაზე შვედეთში.

აკად.წევრ-კორ. ა.სილაგაძე

1) „ლიბერალური ეკონომიკური დოქტრინების წარმოშობა“ (საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი, 95 გვ.).

გამოკვლეულია კლასიკურ-ლიბერალური დოქტრინების წარმოშობა და განვითარება ინგლისელი (უ.პ.გ.ტი, ჯ.ლოკი, დ.ნორთი, დ.იუმი), ფრანგი (პ.ბუგილბერი), შოტლანდიელი და ფრანგი (ჯ.ლო, ჯ.სტიუარტი), ირლანდიელი (რ.კანტილინი), ამერიკელი (ბ.ფრანკლინი) და შვედი (ნ.ქრისტენინი) მუცნიერების მიერ.

2) „ადამ სმიტის ეკონომიკური დოქტრინა“ (საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი, 51 გვ.).

გაანალიზებულია ადამ სმიტის ლიბერალური ეკონომიკური დოქტრინის ჩამოყალიბებისა და განვითარების სხვადასხვა ასპექტები, მათ შორის, შრომის გა-

ნაწილების, გაცვლის, შემოსავლების, ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების, ეკონომიკური აღმავლობის მიზეზების შესახებ.

3) „პოსტკომუნისტური ფინანსური პოლიტიკა“ (თანაავტორობით; საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი, 111 გვ.).

განხილულია პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესები და განხორციელებული ფინანსური პოლიტიკის შედეგები. დახასიათებულია ფინანსური პოლიტიკის გატარების ალტერნატიული გარემოებები და მოცემულია დასკვნები მათი შესაძლო ტრანსფორმაციის შესახებ. დახასიათებულია სხვადასხვა ქვეყანაში ფინანსურ-სავალუტო რეგულირების წინააღმდეგობები და გაშუქებულია ისტორიული გამოცდილებიდან მიღებული შედეგები.

აპად.წევრ-კორ. ლ.ჩიქავა

1) „დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა“ (გამოცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 584 გვ.).

დემოლოგიურ მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივ აუცილებელ, მყარ, მუდმივ-განმეორებად, არსებით კავშირსა და ურთიერთგანპირობებულობას დემოლოგიური კანონი ეწოდება. დემოლოგიური კანონებისათვის დამახასიათებელია მოქმედების ობიექტურობა, სუბიექტთა ნება-სურვილის მიხედვით შემოღება-გაუქმებისა და გარდაქმნის შეუძლებლობა, მოქმედების რეალიზაციაში ადამიანისეული ფაქტორის მონაწილეობის აუცილებლობა, პირდაპირი კავშირის უქონლობა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სისტემებთან, სოციალურთან ერთად, გარკვეული ზომით, ბიოლოგიური ფაქტორებით განპირობებულობა და სხვ. დემოლოგიური კანონები შეიძლება დავყოთ საერთო, სპეციფიკურ და კერძო კანონებად. ასევე, ყველა მათგანისაგან გამოყოფილია ძირითადი დემოლოგიური კანონი. არა მარტო შესაძლებელი, არამედ აუცილებელიცაა

დემოლოგიური კანონების აღმოჩენა, შეცნობა და გამოყენება.

2) „განვლილი ცხოვრების შტრიხები“ (საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი, 552 გვ.).

წიგნი ეძღვნება აკად.წევრ-კორ. ლ.ჩიქავას ცხოვრების გზას და მეცნიერულ შემოქმედებას დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წლისთავთან დაკავშირებით.

განხილულია თანამედროვეობის აქტუალური დემოგრაფიული პრობლემები, კერძოდ: მსოფლიოს ცალკეულ რეგიონებში (ძირითადად აფრიკაში) მოსახლეობის შეფარდებით ჭარბწარმოება, რომელსაც სხვა სიტყვებით „გადამეტმოსახლეობის ბომბს“ უწოდებენ; ზოგიერთ რეგიონში (მნიშვნელოვანწილად ევროპაში) მოსახლეობის ბუნებრივი აბსოლუტური კლება, რომელსაც „დეპოპულაციის ნეიტრონულ ბომბად“ მოიხსენიებენ; მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება, როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი დილემა. განხილული მსჯელობის საგანია დეპოპულაცია ქართულ მოსახლეობაში, რომელიც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ამ ერის თავზე – არღვევს მისი გენოფონდის ფიზიკურ უწყვეტობას და გადაშენებით ემუქრება მას. დასახულია საქართველოში დემოგრაფიული კრიზისის დაძლევის გზები.

ბ) კრებულები

აკად. მ.ლოროტქიფანიძის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული „მარიამ ლოროტქიფანიძე – 85“ (თსუ გამომცემლობა, 55 გვ., თბილისი).

გ) სახელმძღვანელოები

აკად. რ.მეტრეველი

„ჩვენი სამშობლოს მატიანე“, V კლასის ისტორიის სახელმძღვანელო (თანაავტორობით; გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, მეექვსე გამოცემა, 103 გვ.).

დ) სტატიგბი

აკად. ლ. ალექსიძე

1) „აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის საერთაშორისო დაგმობის საქმეში ეუთოს გადამწყვეტი როლის შესახებ“ (საერთაშორისო სამართლის ურნალი, №1, თსუ გამომცემლობა, თბილისი).

აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის საერთაშორისო თანამეგობრობის დონეზე დაგმობის საკითხი დღემდე რჩება სერიოზულ პრობლემად, რადგანაც გაეროს უშიშროების საბჭო თავს არიდებს ამ ტრაგედიის ღიად, ოფიციალურად აღიარებას თავის რეზოლუციებში. მაგრამ ირიბად ის მაინც აკეთებს ამას (ეუთოს 1994, 1996, 1998 წლების გადაწყვეტილებები). ნაშრომში გაანალიზებულია ეუთოს აღნიშნული საქმიანობა და გადაწყვეტილებათა დეტალები. მოყვანილია გაეროსა და ეუთოს მრავალი რეზოლუცია და გადაწყვეტილება.

2) „საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული შემოჭრის საერთაშორისო-სამართლებრივი ასპექტები“ (საერთაშორისო სამართლის ურნალი, №2, თსუ გამომცემლობა, თბილისი).

გაანალიზებულია რუსეთის მხრიდან „აგვისტოს ომის“ საერთაშორისო სამართლის ძირითადი ნორმების უხეში დარღვევის ფაქტები და ნაჩვენებია ე.წ. „არაპროპორციული“ ქმედების აგრესიული არსი.

3) „და კვლავ აგრესია, ინტერვენცია და საქართველოს ოკუპაცია ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ლიკვიდაციის მიზნით“ (გაზ. „Свободная Грузия“, 30.08.2008, რუსულ ენაზე; გამოქვეყნდა, აგრეთვე, გაზ. „Свободная Грузия“-ს ვებ-გვერდზე 05.09.2008).

გაანალიზებულია აგვისტოში შექმნილი სიტუაცია და დოკუმენტურად გაბათილებულია რუსეთის ყველა არგუმენტი საქართველოს მიერ „ჩადენილი დანაშაულის“ შესახებ.

სტატიის ინგლისური ვერსია („And again: aggression, intervention and occupation of Georgia aimed at rasing the sovereignty and integrity of the country“) გაეგზავნა საქართველოში მოქმედ ყველა საელჩოს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციას, CNN-ს, BBC-ს და სხვ.

საქართველოს მთავრობას მიეწოდა რამდენიმე ანალიტიკური მასალა აფხაზეთში კონფლიქტის თაობაზე.

აკად. გ.თევზაძე

1) „ებრაელ ფილოსოფოსთა ინტერპრეტაციები საქართველოში“ (დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის შრომები, V, თბილისი, 136-146).

ქართულ და ებრაულ კულტურათა შეხვედრა 26 საუკუნის უკან მოხდა და ამ ფაქტმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართულ მსოფლმხედველობაში. XI საუკუნეში ეს უკვე ოფიციალურადაა აღნიშნული სახელმწიფო დონეზე, კერძოდ, ლეონტი მროველის „ქართველ მეფეთა ცხოვრებაში“. სტატიაში ეს ტრადიცია, ფილოსოფიის ასპექტით, განხილულია თანამედროვეობამდე.

2) „სამაგალითო პატრიოტი და ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი“. აკად.წევრ-კორ. ოჯორევის გახსენება (ჟურნალი „ჩვენი სოფელი“, №4, 85-87).

განხილულია ოჯორევის როგორც მოქალაქესა და მკვლევარის ნაყოფიერი მოღვაწეობა. ხაზგასმულია მისი მემკვიდრეობის სამომავლო მნიშვნელობა ჩვენი ფილოსოფიური კულტურისათვის.

3) „უდანაშაულობის პრეზუმაცია და მორალურობის პრეზუმაცია“ (ჟურნალი „ანალები“, თბილისი, 279-295).

დასმულია ამ ორი სახის პრეზუმუციის ურთიერთმიმართების საკითხი. მორალურობის პრეზუმუცია გაანალიზებულია შურისძიების უფლების ქრისტიანულ გაგებასთან მიმართებაში.

4) „ალბერტ დიდის ფილოსოფიური თეოლოგია“ (სავლე წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული „ფილოსოფია, დიალექტიკა, ლოგიკა“, გამოცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 111-138).

გამოჩენილი თეოლოგის თომა აკვინელისა და მაისტერ ეკკარტის მასწავლებლის ალბერტ დიდის შეხედულებანი განხილულია კათოლიკურ და არაბულ არისტოტელიზმთან მის მიმართებაში. წამოყენებულია ბრძენის გაგებაში ალბერტ დიდისა და იოანე პეტრი-წის შეხედულებათა საერთო წყაროს საკითხი.

5) პასუხები ფილოსოფიის ინტერნაციონალური ჟურნალის „News and Views“-ის 5 კითხვაზე XXI საუკუნის ფილოსოფიისა და მისი შესაძლო გზების შესახებ (№20, Yerevan-Athens-Berkeley, 24-25).

აღსანიშნავია აკად. გ.თევზაძის პასუხი IV და V შეკითხვებზე. IV კითხვა ასეთია: „რას ჩათვლით თქვენ თქვენს ქვეყანაში ფილოსოფიის უმნიშვნელოვანეს მიღწევად XX საუკუნეში?“ პასუხი: „შ.ნუცუბიძის აღმოსავლეთის რენესანსის თეორიას და იმ ფაქტს, რომ ფილოსოფია გადაურჩა ტოტალიტარიზმის ეპოქას“. V კითხვა ეხება საერთოდ ფილოსოფიისა და მეცნიერების მიმართებას. აკად. გ.თევზაძის აზრით, საკითხის ამგვარი დასმა უპყევ რამდენადმე მოძველებულია, რადგან ტრადიციულად იგულისხმება როგორც მეცნიერებისა და არამეცნიერების მიმართება. კითხვა არ ითვალისწინებს, რომ XX ს-ის დასაწყისიდანვე ეს მიმართება არსებითად შეიცვალა (მაგალითად, რასელთან), რადგან მეცნიერებას აღარ ჰქონდა პრეტენზია ურყევ ჭეშმარიტებათა სისტემად ყოფნაზე. იგი თავს

უფრო სამუშაო პიპოთეზების დამდგენად მიიჩნევდა ისევე, როგორც ყოველი სერიოზული ფილოსოფია.

6) უურნალის – „ბოხუმის ფილოსოფიური წელი წდეული ანტიკურობისა და შეუ საუკუნეებისათვის“ რედაქციის შეკვეთით გამოქვეყნდა თ.ცხადაძის ინტერვიუ – „შეკითხვები გურამ თევზაძეს“ (ტ. 12, ამსტერდამი, 175-183, ინგლისურ ენაზე).

შეკითხვები ეხება აკად. გ.თევზაძის შრომებს გასული 50 წლის მანძილზე და მათ მიმართებას ფილოსოფიის განვითარებასთან როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

აკად. მლორთქიფანიძე

„ქართული აგიოგრაფია და ისტორიული აზრის განვითარება“ (სამეცნიერო კრებული „წმინდა ნინო“, I, გამომცემლობა „არტანუჯი“, 218-225).

წარმოდგენილია, აღნიშნულ საკითხზე სპეციალურ ლიტერატურაში არსებული განსხვავებული მოსაზრებები. ივანე ჯავახიშვილის კონცეფციის ფონზე გაფართოებული და დასაბუთებულია მისი თვალსაზრისი, რომ აგიოგრაფია, რომელიც ეკლესიისა და საეკლესიო მოღვაწეთა ისტორია, არის ქვეყნის ისტორიის ნაწილი და ისტორიული აზრის განვითარება განხილული უნდა იყოს სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიის მონაცემთა ერთობლივი გათვალისწინებით.

აკად. მლორთქიფანიძე, აკად. დ.მუსხელიშვილი

1) „რუსეთ-საქართველოს ხეთდღიანი სამარცხვინო ომის ზოგიერთი ისტორიული ასპექტის შესახებ“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 06.09.08.).

2) „ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ფურცელი რუსი ხალხის ისტორიაში. ლია წერილი რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრს ვლადიმერ პუტინს („საქართველოს რესპუბლიკა“, 13.09.08).

3) „ლია წერილი რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრს ვ.პუტინს“ (გაზ. „Свободная Грузия“, 2.09.08;

ჟურნალი „ანალები“, №3, რუსულ და ინგლისურ ენებზე).

გაკრიტიკებულია რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის ვ.პუტინის მიერ გამოთქმული მოსაზრებები აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის შესახებ, მის მიერ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შეფასება. დასაბუთებულია, რომ მისი აზრის საწინააღნდეგოდ არ არსებობდა არაქართული „აფხაზური“ სახელმწიფო და არც ერთიანი, ჩრდილო და სამხრეთკავკასიური ოსური სახელმწიფო.

4) „პატივცემულო ბატონო განაპოლსკი“ (დია წერილი მატვეი განაპოლსკის) (გაზ. „Свободная Грузия“, 8.09.08, რუსულ ენაზე, ჟურნალი „ანალები“, №3).

გაკრიტიკებულია 2008 წლის 29 აგვისტოს ტელეგადაცემაში „Особое мнение“ აღნიშნული აზრი იმის შესახებ, რომ ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში არსებობდა ერთიანი ოსეთი, რომელიც XX ს-ის 20-იან წლებში სტალინმა გაყო და მისი სამხრეთი ნაწილი საქართველოს აჩუქა. დასაბუთებულია, რომ კავკასიაში მიმდინარე ისტორიული პროცესების შედეგად XVII საუკუნიდან იწყება ჩრდილოეთიდან ოსთა მოსახლეობის მოსაზღვრე სამხრეთ კავკასიაში, ძირითადად, შიდა ქართლის მთიანეთში ჩამოსახლება და დასახლება. 1922 წელს პოლიტიკური მოსაზრებით შეიქმნა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (რომელსაც მიაწერეს მთლიანად ქართველებით დასახლებული ახალგორის რაიონიც) საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში. საქართველოში არასოდეს არ არსებობდა ოსთა სახელმწიფო.

პ. მეტრეველი

1) „საქართველოში ისტორიული მეცნიერების განვითარების ზოგიერთი საკითხი“ (თანავტორობით;

ქურნალი „Историческое пространство“, №2, 210-215, რუსულ ენაზე).

გადმოცემულია ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების ეტაპები უძველესი დროიდან დღემდე.

2) „აღუგსებელი საწყალი, ანუ ამაოება ამაოთა“ („საქართველოს რესპუბლიკა“, №№188, 189, 190, 191, 192, 193).

წარმოჩენილია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები მისი განვითარების ისტორიის მთელ სიგრძეზე. განხილულია აფხაზეთთან და შიდა ქართლთან (ე.წ. სამხრეთ ოსეთი) დაკავშირებული პრობლემები. სათანადო ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით შესწავლილი და განხილულია საკითხები თანამედროვე გითარების გათვალისწინებით.

3) „ოთხი ათასწლეულის 60 წელიწადი“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 9.V.2008).

ვრცელ ნარკვევში გადმოცემულია ებრაელი ხალხის ისტორია, ქართველი ებრაელების ადგილი საქართველოს ისტორიაში. ნარკვევი ისრაელის სახელმწიფოს 60 წლისთავისადმია მიძღვნილი.

4) „ალტრუიზმი საქართველოში“ (კრებული „ნოდარ შენგელია – 75“, თბილისი, 203-213).

ისტორიული ასპექტითაა განხილული ალტრუიზმის (ქველმოქმედების) გამოვლინება საქართველოს სახელმწიფოში. ყურადღებაა მიქცეული ე.წ. გლახაკომოლვაწეობაზე (პირადი ქველმოქმედების გარკვეული ფორმა); ქველმოქმედების საქმის ორგანიზაციაზე (საგლახაკოების არსებობა, ზედამდგომელთა ინსტიტუტი და სხვ.). გამოყოფილია XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ქართველ მეცნიერთა ქველმოქმედების ფაქტები და მათი მნიშვნელობა. ხაზგასმულია, რომ საქართველოში ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში წინ წამო-

იწია მეწარმეთა ფენამ, განვითარდა ბიზნესი და, შესაბამისად, გამოჩნდა ქველმოქმედების შთამბეჭდავი მაგალითები.

აკად. დ.მუსხელიშვილი

1) „აღმოსავლელი ქართველი ტომების უძველესი გაერთიანებანი“ (ჟურნალი „ანალები“, №2, 129-154).

2) „აფხაზეთი. ისტორიული მიმოხილვა“ (ჟურნალი „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა“, ქართული ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი, თბილისი).

3) „შიდა ქართლი“ (ჟურნალი „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა“, ქართული ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი, თბილისი).

4) „ვიცოდეთ ჩვენი ისტორია“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 26.04.08.).

აკად. შ.ნადირაშვილი

1) „განწყობის ორი სახე და სამი დონე“ (დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, XXI, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი).

ადამიანის ფსიქიკური თავისებურებების გასაგებად საჭიროა აქტივობის ფორმების გათვალისწინება. ფსიქიკური განვითარების ადამიანურ საფეხურზე ჩნდება ცნობიერი, ინტელექტუალური და მორალური დონის ქცევები. მათ შესატყვის განწყობებში ხდება ახალი თვისებების აღმოცენება. ისინი განაპირობებენ ადამიანის იმპულსურ, შეგნებულ და სოციალურ აქტივობას. ამ დროს შესატყვისად ყალიბდება ინდივიდი, სუბიექტი და პიროვნება. ადამიანის ფსიქიკურ აქტივობაში აღნიშნული განწყობები ორი გზით ფორმირდება. ერთ შემთხვევაში ისინი აქტუალური ფაქტორების საფუძველზე ყალიბდებიან – მათ შეიძლება სოციალური განწყობები ვუწოდოთ. მეორე შემთხვევაში ადამიანის ქცევა დისკოზიციური განწყობების საფუძ-

ველზე მიმდინარეობს. ისინი მოქმედ განწყობათა განმტკიცების შედეგად ყალიბდებიან და მოქმედებენ შესატყვის სიტუაციებში. სოციალური განწყობები პიროვნებაში დადებითი და უარყოფითი დამოკიდებულებების მქონე განწყობის სისტემათა სახით ყალიბდებიან და ისინი პიროვნების ზოგად სოციალურ ორიენტაციებს ქმნიან.

2) „ქართული სახელმწიფოს ძირითადი ღირებულებანი“ (ჟურნალი „კრიალოსანი“, №12, თბილისი).

ქართველი ხალხის ძირითადი ღირებულებების დადგენისათვის საჭიროა ერისა და ადამიანის ცნებების განსაზღვრა. ვუნდტის შემდეგ ადამიანი დახასიათდა, როგორც სულიერი არსება – სუბიექტი, რომელიც თავის მოთხოვნებსა და ამოცანებს ახორციელებს. შემდგომში დადგა საკითხი გარკვეულიყო, არსებობს თუ არა ადამიანის გარდა სულიერი არსება, სუბიექტი, რომელიც ფსიქოლოგიას უნდა შეესწავლა. სოციალური ფსიქოლოგიის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ადამიანის გარდა სულიერ არსებას – სუბიექტს წარმოადგენს ერი. სხვა სოციალური წარმონაქმნები, როგორიცაა ოჯახი, მეგობრობა და სხვა ადამიანური ერთობლიობანი სუბიექტს, სულიერ არსებას არ წარმოადგენენ.

ქართველი ერის ძირითადი ღირებულებებია: სამშობლო, ენა, სარწმუნოება, კულტურა, კულტურის შემდგომი განვითარება, ტრადიციები და დღესასწაულები, სამართლის წესები, დამოუკიდებლობა, მეცნიერება, ხელოვნება, ჯანმრთელობა და სხვ. ერს, ისე როგორც ადამიანს, გარკვეული უფლებები და მოვალეობები აქვს. დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო ორი სუბიექტისაგან – ადამიანისა და ერისაგან შედგება. სახელმწიფომ უნდა დაიცვას როგორც ადამიანის, ასევე ერის უფლებამოსილებანი, შექმნას პირობები ძირითადი ეროვნული ღირებულებების და-

საცავად. სოციალური განწყობის ფსიქოლოგია შეისწავლის ეროვნული დირექტულებების შესატყვისი განწყობების ფორმირებისა და შეცვლის კანონებს.

აკად.წევრ-კორ. ზ.ალექსიძე

1) „სიუჟარულსა ბერძენთასა ნუ დაუტევებთ“ (კრებულში „მარიამ ლორთქიფანიძე – 85“, თსუ გამომცემლობა, ობილისი).

ნაჩვენებია, თუ როგორ ხედავენ ძველი ქართველი ისტორიკოსები საქართველოს არჩევანს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. მათი თვალთახედვით, ძველი საქართველოს სამეფო დინასტია დასაბამიდანვე აღმოსავლურია ან აღმოსავლურნარევი, ხოლო კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაცია – დასავლური. ქვემის სახელმწიფო წყობა აღმოსავლურია, ხოლო სოციალური სისტემა და სულიერი დირექტულებები – დასავლური.

2) „მოსე კალანკატუელის „ალბანთა ქვეყნის ისტორიის“ ტექსტის კრიტიკისათვის“ (ჟურნალი „ანალიზი“, №3).

მოსე კალანკატუელის „ალბანთა ქვეყნის ისტორიის“ (VII-X სს.) ანალიზი აჩვენებს, რომ ნაწარმოების მთავარი ლერძია ალბანური პატრიოტიზმი და ისტორიული მეტოქეობა სომხეთთან, სურვილი დაამტკიცოს, რომ ალბანეთის ეკლესია 270 წლით ძველია სომხურზე. თანამედროვე მეცნიერთა ცდები, შეცვალონ მოსე კალანკატუელის პოზიცია და ტექსტი შეასწორონ ისე, რომ პირიქით, სომხური ეკლესია გამოვიდეს ალბანურზე 270 წლით უფროსი, ხოლო ალბანთა მეტოქეობა გადაიტანონ სომხებიდან ქართველებზე, ტექსტოლოგიურ-წყაროთმცოდნეობით კრიტიკას ვერ უძლებს.

3) „წმ. ნინოს ცხოვრებათა“ უძველესი ვერსიები, მათი თავდაპირველი სახელწოდება და სტრუქტურა“

(სამეცნიერო კრებული „წმინდა ნინო“, I, გამომცემლობა „არტანუჯი“), თბილისი).

გამოთქმულია ვარაუდი, რომ თავდაპირველად, როგორც ჩანს, არ არსებობდა ერთი თხზულება სახელწოდებით „მოქცევად ქართლისაა“. არსებობდა წიგნები, რომელთაც „ქართლის მოქცევის წიგნები“ ეწოდებოდა. ამ საერთო სახელით შეიძლებოდა ცნობილი ყოფილიყო გრიგოლ დიაკონისა და „მოქცევად ქართლისაა მატიანებ“ სახელით ცნობილი თხზულებები, „წიგნი ნინოსი“, „ასურელ მამათა ცხოვრების“ წიგნები და შესაძლოა სხვაც, რომელთა სახელებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

4) „საქართველოს სამოციქულო, მართლმადიდებელი, ავტოკეფალური ეკლესია“ (კრებული „რელიგიები საქართველოში“, თბილისი).

გადმოცემულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სრული ისტორია დასაბამიდან XVIII საუკუნის ჩათვლით. ეპოქების მიხედვით დახასიათებულია მისი დგაწლი საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში, ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის შექმნაში.

5) „სომებთა წმიდა სამოციქულო, მართლმადიდებელი ეკლესია“ (კრებული „რელიგიები საქართველოში“, თბილისი).

მოცემულია სომებთა ეკლესიის (ეჩმიაძინის, კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის, კილიკიის საპატრიარქოები და საქართველოს სომხური სამწყსო) ისტორია დასაბამიდან დღემდე, მისი სტრუქტურა, იერარქია, მოძღვრება, ღვთისმსახურება, საეკლესიო მწერლობა, კანონიკა და კალენდარი. მკითხველს შეუძლია გაეცნოს, აგრეთვე, სომხური კათოლიკური ეკლესიის ისტორიასა და მისი გავრცელების არეალს.

6) „ეროვნული ეკლესიების ჩამოყალიბება კავკასიაში“ (ჟურნალი „კავკასია და გლობალიზაცია“, სპე-

ციალური გამოშვება „რელიგიები“, სტოკოლმი, შვედეთი, ინგლისურ და რუსულ ენებზე).

გეოპოლიტიკური მდებარეობა კავკასიის ქვეყნებს გამუდმებით აყენებდა არჩევანის წინაშე აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიდ იმპერიათა შორის. საქართველომ და სომხეთმა ქრისტიანულ ეკლესიაში სხვადასხვა მიმდინარეობას (დიოციზიტობა და მონოფიზიტობა) დაუჭირეს მხარი. ალბანეთს ამ ორ მიმდინარეობას შორის მერყეობა და საბოლოოდ მონოფიზიტობის არჩევა ეროვნული დამწერლობისა და საკლესიო ენის დაკარგვად დაუჯდა.

ძკად.წევრ-კორ. გაბაპავა

1) „საქართველოს დასავლური და ანტირუსული პოლიტიკა ნიშნავს კი დემოკრატიას?“ (ელექტრონულ ჟურნალში „The Harvard International Review“, აშშ, ინგლისურ ენაზე, 0,5 ნ.თ.).

2) „ეკონომიკური რეფორმების არსი პოსტ-რევოლუციურ საქართველოში: არის კი ევროპული არჩევანი?“ (მეცნიერებისა და ტექნოლოგიის საქართველოს საერთაშორისო ჟურნალი, აშშ, ტ. I, გამოშვება I, 0,6 ნ.თ., ინგლისურ ენაზე).

3) „ცენტრალური კავკასია“ „ცენტრალური ევრაზიის“ ნაცვლად (ჟურნალში „Central Asia and The Caucasus“, შვედეთი, №2(50), 0,8 ნ.თ., ინგლისურ და რუსულ ენებზე).

4) „პოსტრევოლუციურ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პათოლოგიური ანაზომია“ (კრებული „საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები“, ტ. VI, გამომცემლობა „სიახლე“, 1,0 ნ.თ., ობილისი).

5) „კავკასიური ტანდემის“ როლის შესახებ სუამში“ (ჟურნალში „Central Asia and the Caucasus“ №3-4 (51-52), შვედეთი, 0,7 ნ.თ., ინგლისურ და რუსულ ენებზე).

6) „ნავთობსადენების პარმონიზაცია ალტერნატიული ნავთობსადენების ნაცვლად: რატომ უნდა დასრულდეს ნავთობსადენების „ცივი ომი“ (თანაავტორობით; ელექტრონულ ჟურნალში „Azerbaijan in the World“, ტ. I, №10, 15, აზერბაიჯანი, 0,1 ნ.თ., ინგლისურ ენაზე).

7) „ცენტრალური კავკასია: ცენტრალური ევრაზიის ახალი განმარტება“; ელექტრონულ ჟურნალში „Azerbaijan in the World“, ტ. I, №17, აზერბაიჯანი, 0,1 ნ.თ., ინგლისურ ენაზე).

8) „ახალი კონცეფცია კავკასიის შესახებ“ (თანაავტორობით; ჟურნალში „Southeast European and Black Sea Studies“ ტ. 8, №3, 1,0 ნ.თ., საბერძნეთი, ინგლისურ ენაზე).

9) „რუსეთი: კრემლის მარწუხებში მოქცევა“ (ელექტრონულ ჟურნალში „Eurasia Insight. Eurasianet“, 0,1 ნ.თ., აშშ, ინგლისურ და რუსულ ენებზე).

10) „საქართველოს ვარდების რევოლუციის პათოლოგიური ანატომია“ (ჟურნალში „Current Politics and Economics of the Caucasus Region“, ტ. II, გამოშვება 2, 1,0 ნ.თ., აშშ, ინგლისურ ენაზე).

11) „ომის შემდგომი საქართველოს ეკონომიკური გამოწვევები“ (ჟურნალში „Central Asia-Caucasus Analyst“, ტ. X, №23, 0,1 ნ.თ., აშშ, ინგლისურ ენაზე).

12) „კავკასიური ტანდემის“ ფორმირება და განვითარება“ (ჟურნალში „Azerbaijan Focus“, №1, 0,6 ნ.თ., აზერბაიჯანი, ინგლისურ და აზერბაიჯანულ ენებზე).

13) „საქართველოს ეკონომიკაში დაშვებული შეცდომები, შექმნილი საფრთხეები და მათი დაძლევის გზები“ (ჟურნალი „ბიზნესი და ეკონომიკა“, №5, 1,0 ნ.თ.).

14) „საქართველოს ეკონომიკა“ (თანაავტორობით; წიგნში – „Eastern Europe, Russia and Central Asia“, 1,0 ნ.თ., დიდი ბრიტანეთი, ლონდონი, „როუთლიჯი“, ინგლისურ ენაზე).

15) „საქართველო ვარდების რევოლუციასა და რუსეთის აგრესის შორის“ (უკრნალი „Wostok“, 1,2 ნ.თ., გერმანია, გერმანულ ენაზე).

16) „ომის შემდგომი საქართველოს ძირითადი ეკონომიკური პრობლემები“ (საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული „ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 0,3 ნ.თ.).

17) „ლაფერის მრუდის თეორიული საფუძვლები“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №4, 167-170, ინგლისურ ენაზე).

აკად.წევრ-კორ. ა.სილაგაძე

1) „საბანკო სისტემის განვითარების ასპექტები საქართველოში“ (თანააგვითონბით; საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, თბილისი, 143-156).

2) „სავაჭრო ურთიერთობების ტენდენციები ცენტრალური კავკასიის ქვეყნებში“ (უკრნალი „კავკასია და გლობალიზაცია“, №4, სტოკოლმი, შვედეთი, რუსულ ენაზე).

3) „ფინანსური პოლიტიკის განვითარება საქართველოში“ (წიგნში – „ფინანსური და სოციალური პოლიტიკა საქართველოში“, პოტსდამის უნივერსიტეტი, გერმანია, გერმანულ ენაზე).

განალიზებულია ფინანსური რეფორმების ეტაპები და სახელმწიფო ფინანსების თანამედროვე ასპექტები.

აკად.წევრ-კორ. კ.ფიცხელაური

„ბავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურათა ურთიერთობის საკითხები“ (გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტი, ბერლინი, გერმანულ ენაზე).

სახელმწიფო უნივერსიტეტის სათავეების ჩამოყალიბების პროცესის კვლევა ბოლო დრომდე მხოლოდ წერილობითი წყაროების შესწავლას ემყარებოდა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, აერო და სატელიტური გადაღებების დახმარებით, ივრის ზეგანზე, ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისის ქალაქური დასახლებების მთელი სერია აღმოჩნდა. მის საფუძველზე საქართველოში სახელმწიფო უნივერსიტეტის სათავეების ჩამოყალიბების პროცესის კვლევას ახალი მეცნიერული მიმართულება მიეცა. კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია-პერიოდიზაციის ტერმინოლოგია ქაოტურ მდგომარეობაშია, რაც ართულებს ამ პერიოდის კულტურების კვლევას. ამ პროცესის საგანგებო შესწავლამ შესაძლებელი გახდა კონკრეტული გზების დასახვა მის მოსაწესრიგებლად; შემოთავაზებულია მუტნაკლებად მისაღები სქემა მთელი კავკასიისათვის.

აკად.წევრ-კორ. გ.შამილაძე

1) „ეთნოგრაფიული აჭარა. კულტურა-ძიების ისტორია, თანამდროვე მდგომარეობა და პერსპექტივები“ (საქართველოს საპატიოარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახ. უნივერსიტეტისა და სხალთის ეპარქიის სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გამომცემლობა „სეზანი“, 261-268, თბილისი).

განხილულია აჭარაში ეთნოგრაფიული კულტების ისტორია. მოცემულია ცალკეული ავტორების ცნობები, სტატიები და მონოგრაფიები მოსახლეობის ყოფისა და კულტურის თავისებურებათა შესახებ. დახასიათებულია თანამედროვე ეთნოგრაფიული სიტუაცია და მომავლის პერსპექტივები.

2) „გერცელ ჩახაშვილი და ქართული ეთნოლოგიის პროცესები“ (თანავტორობით; დ.ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული

მუზეუმის შრომები, V, გამომცემლობა „უნივერსალი“, 274-284, თბილისი).

გაშუქებულია ცნობილი ქართველი ებრაელი ეთნოგრაფის პროფესორ გერცელ ჩახაშვილის ცხოვრებისა და მეცნიერული შემოქმედების ძირითადი მომენტები.

3) „ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკა და ქართველ-აფხაზთა ურთიერთობანი XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში“ (თანაავტორობით; სამეცნიერო კონფერენციის – „სიყვარული გზად და ხიდად“ მასალები, ბათუმი).

შესწავლილია XX ს-ის I მეოთხედის ქართული პერიოდული პრესის მასალები, რომლებშიც ასახულია მუკაჯირობისა და ქართველ-აფხაზთა ტრადიციული კეთილმეზობლური ურთიერთობების მნიშვნელოვანი მომენტები.

4) „ილია ჭავჭავაძე ცხოვრების წესის ეროვნული თავისებურებების შესახებ“ (თანაავტორობით; სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, II, შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი).

განხილულია ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ-მეცნიერული შემოქმედების ამსახველი ნაშრომები, რომლებშიც მოცემულია მწერლის შეხედულებანი ცხოვრების ეროვნული წესის თავისებურებათა შესახებ საქართველოს აბორიგენულ და ეგზოგენურ მოსახლეობაში.

5) „ა.რობაქიძე და ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის პრობლემები“ (თანაავტორობით; უკრნალი „Этнографическое обозрение“, №4, Издательство РАН, მოსკოვი, რუსეთ ენაზე).

დახასიათებულია ცნობილი ქართველი ეთნოგრაფის ა.რობაქიძის მეცნიერული შემოქმედება. ხაზგასმუ-

ლია მკვლევრის მეცნიერული კონტაქტები ცნობილ საზღვარგარეთულ სკოლებთან და მეცნიერებთან.

6) „სავალე გამოკვლევები და ვიზუალური ან-თროპოლოგიის მონიტორინგის პრინციპები“ (თანაავტორობით; შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი, 131-137, რუსულ ენაზე).

განხილულია ვიზუალური ანთროპოლოგიის აღმოცენებისა და განვითარების პროცესები დასავლეთის სახელმწიფოებში (აშშ, ევროპა, 1960-იანი წლები), ყოფილ საბჭოთა კავშირსა და სოციალისტურ ქვეყნებში (1980-იანი წლები). ნაჩვენებია კინემატოგრაფიის როლი ვიზუალური ანთროპოლოგიის განვითარების საქმეში.

7) „სოციოკულტურული ანთროპოლოგიის საგნობრივი პრობლემები. ანთროპოლოგია – მომავლის მეცნიერება?!“ (თანაავტორობით; სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, გამომცემლობა „უნივერსალი“, 38-48, თბილისი).

განსაზღვრულია ანთროპოლოგიის, სოციოკულტურული ანთროპოლოგიის საგნობრივი პრობლემა, მისი მიმართება კულტურულ და სოციალურ ანთროპოლოგიასთან და ეთნოლოგიასთან.

8) აკად.წევრ-კორ. ვ.შამილაძის შრომების ბიბლიოგრაფია („ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა ნაშრომების ბიბლიოგრაფია“, შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 112-127, ბათუმი).

ბიბლიოგრაფიაში შესულია ვ.შამილაძის მონოგრაფიები, სტატიები და წერილები, რომლებიც გამოქვეყნდა 1961-2008 წწ. საქართველოსა და საზღვარგარეთის პერიოდულ გამოცემებში.

აკად.წევრ-კორ. დ.ჩარგვანი

1) „ალბათური და სიხშირეობრივი შეფასებები მსჯელობის სხვადასხვა კონტექსტში“ (საქართველოს

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №1, 118-120, ინგლისურ ენაზე).

განუსაზღვრელობის ვითარებაში აზროვნების პროცესი ხშირად ფორმალურ-ლოგიკური პრინციპების „ფარგლებს გარეთ გადის“ და სათანადო ფსიქიკური მექანიზმების ამოქმედების საფუძველზე ფუნქციონირებს. ამ პროცესის მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ობიექტურ ფაქტორს ის აქტუალური სიტუაცია წარმოადგენს, რომელშიც მსჯელობა მიმდინარეობს. ემპირიულად შესწავლილია მსჯელობის სხვადასხვა ვითარებაში მიმდინარე ალბათური და სისტირეობრივი შეფასებების შინაარსობრივი მახასიათებლები. მიღებული მონაცემების თანახმად, მსჯელობის კონტექსტი შეფასებების ამ ფორმებზე განსხვავებულად ზემოქმედებს: ალბათური შეფასება, სისტირეობრივ შეფასებასთან შედარებით, უფრო ცვალებადია. ეს შედეგი ერთდროული კონტრასტის ფსიქიკური მექანიზმით შეიძლება აიხსნას.

2) „მიზანდასახული ქცევის სხვადასხვაგვარ რეჟიმში ფუნქციონირება და ალბათური მსჯელობა“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ფსიქოლოგიის სერია, №1, 106-120).

ექსპერიმენტულ გამოკვლევაში ალბათურ მსჯელობებზე და მათ სისტორეში სუბიექტის დარწმუნებულობის ხარისხზე განწყობის ორი ფორმის, კერძოდ, მომავალზე და აწმყოზე მიმართული განწყობების ზემოქმედება არის შესწავლილი. მიღებულმა შედეგმა გამოავლინა: პირველი, მომავალზე მიმართული განწყობა, აწმყოზე მიმართულ განწყობასთან შედარებით, ალბათურ მსჯელობებში მნიშვნელოვნად ნაკლები შეცდომების დაშვებას განაპირობებს, ხოლო სათანადო განმამტკიცებელი უკუკავშირი ამ ეფექტს აძლიერებს. მეორე, მომავალზე მიმართული განწყობის საფუძველზე სუბიექტის მიერ განხორციელებული ალბათუ-

რი მსჯელობა შედარებით „ფრთხილი” და „ზომიერი” სტრატეგიის გამოყენებით ხასიათდება, ხოლო აწმუობები მიმართული განწყობა სუბიექტის საკუთარი მსჯელობის სისწორეში ჭარბ დარწმუნებულობას განსაზღვრავს, რაც პ. კოგნიტურ ილუზიათა ეფექტის გამომხატველია.

3) „ლ.ჯუსიმის „ასახვით-გაგებითი” კონცეფცია როგორც კონსტრუქტივისტული მიდგომის ალტერნატივა” (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ფსიქოლოგიის სერია, №1, 162-173).

ანალიტიკური გამოკვლევა შემუცნების სუბიექტსა და რეალობას შორის არსებულ კავშირს ეხება. ეს კავშირი, ავტორის აზრით, საგულისხმო თეორიული დებულებების სახით და სათანადო ემპირიული მონაცემების გათვალისწინებით, ლ.ჯუსიმის კონცეფციაში მრავალმხრივად დახასიათებული. მსჯელობის საგანი გარე და ადამიანის შინაგანი სამყაროს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორებია, როგორიცაა მონაცემთა ადეკვატური შეფასება, მოლოდინის სხვადასხვა ფორმები, საბაზო ინფორმაციის შინაარსი, დამკვირვებელი და სამიზნე სუბიექტი. განხილულია ადამიანის შემუცნებითი ტენდენციურობის სხვადასხვა ფორმები, ხოლო განსაკუთრებული ყურადღება იმ ფაქტორებზეა გამახვილებული, რომლებიც სინამდვილესთან მისი ადექვატური მიმართების დამყარებას განაპირობებენ.

ბაზ.წევრ-კორ. ლ.ჩიქაგა

1) „სიდარიბე და მისი დაძლევის ძირითადი მიმართულებები“ (ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №1).

2006 წელს ძირითადი საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის დღეში საშუალოდ 1 აშშ დოლარზე ნაკლებს ხარჯავდა და უმდიმეს პირობებში ცხოვრობდა მსოფლიოს მოსახლეობის 16%, 33% კი თავისი უმნიშვნელოვანები სასიცოცხლო მოთხოვნი-

ლებების დასაკმაყოფილებლად ხარჯავდა 2 დოლარზე ნაკლებს და სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფებოდა. ექსპერტული შეფასებით, საქართველოში დღეისათვის ასეთი კატეგორიის მოსახლეობის რიცხოვნობა 2,5 მილიონს აღემატება. სიღარიბის დაძლევის ძირითადი მიმართულებებია: ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება და საზოგადოებრივი დოკუმენტების წარმოების მასშტაბების გადიდება; შემოსავლის განაწილებაში არსებული მკვეთრი უთანასწორობის შემცირება; დარიბ ქვეყნებში მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის ტემპების ნორმალიზება; უმუშევრობის შესაძლო მინიმალურ დონემდე დაყვანა; სოციალური უზრუნველყოფის გაფართოება.

2) „უთანასწორობა შემოსავლის განაწილებაში და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები“ (ჟურნალი „ეკონომიკა“, №10-12).

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი 500 ადამიანის ერთობლივი შემოსავალი საგრძნობლად აღემატება დედამიწის მოსახლეობის 416-მილიონიანი უდარიბესი ნაწილის ერთობლივ შემოსავალს. ამ ორ პოლუსს შორის იმყოფება მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 40%, რომელიც მთელი მსოფლიო შემოსავლის მხოლოდ 5%-ს ფლობს და საარსებო საშუალებების შესაძენად სახსრებს არასაკმარისი თდენობით ხარჯავს. შემოსავლის განაწილებაში უთანასწორობას, ობიექტურ ფაქტორებთან ერთად, განსაზღვრავს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: მონოპოლიური კონკურენცია, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, ფარული ეკონომიკა, კონტრაბანდა, კორუფცია, მექრობება, ეკონომიკის კრიმინალიზაცია, დაუსჯელობის სინდრომი, უწესრიგობა, უკანონობა და უკონტროლობა, ადამიანთა ზნეობრივი დეგრადაცია, განუკითხაობაზე დამყარებული პრივატიზაცია და სხვა.

3) „გადამეტმოსახლეობა და მასთან დაკავშირებული ნეგატიური მოვლენები“ (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული, ტ. VI, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“).

მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნობა კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე განუხრელად მატულობს. იგი ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის შეადგენდა 230 მილიონ კაცს; ამჟამად შეადგენს 6,7 მილიარდს, ხოლო 2050 წლისათვის 9,2 მილიარდ კაცს გადააჭარბებს. 2006-2050 წწ. განვითარებულ რეგიონში მოსახლეობა გაიზრდება სულ 3,7%-ით, განვითარებადში კი – 49,5%-ით, რაც მოსახლეობის შეფარდებით სიჭარბეს განაპირობებს. ამ უკანასკნელს თან სდევს ისეთი ნეგატიური მოვლენები, როგორიცაა: ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობასა და სამუშაო ადგილების რაოდენობას შორის დისბალანსი, რაც იწვევს მასობრივ უმუშევრობას; მოსახლეობის ცხოვრების მძიმე პირობები და სიღარიბე; მუშახელის ინტენსიური გარე (საერთაშორისო) მიგრაცია; სირთულეები განათლების მიღებაში, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაში და სხვ.

4) „როგორ დაგმლიოთ მასობრივი უმუშევრობა?“ (ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №5).

მასობრივი უმუშევრობის დაძლევის ძირითადი მიმართულებებია: როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური წარმოების დარგთა აღორძინება-განვითარება, საქმაო ოდენობით ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და მუშაკთა დასაქმება სპეციალობით (ამის წინაპირობებია ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა, ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნა ინვესტიციების მოზიდვისათვის, საგარეო ეკონომიკურ და არა მარტო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება, საექსპორტო ნაწარმის გამოშვებისათვის პრიორიტეტის მინიჭება, ქმედითი ანტიმონპოლიტი სამსახურის

შექმნა); კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკის ამაღლება თანამედროვე გაზრდილი მოთხოვნების შესაბამისად; მატერიალური და მორალური სტიმულირების პროგრესული სისტემების დანერგვა დასაქმებულ მუშაკთა შრომის შედეგების მიხედვით; მაღალკალიფიციური კადრების დასაქმების ასაკობრივი შეუზღუდაობა.

5) „იმერეთის შრომითი რესურსები და მათი გამოყენება“ (კრებული „იმერეთის ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები“, თბილისი).

იმერეთში 2006 წელს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის კატეგორიას განეკუთვნებოდა 395 ათასი კაცი, ანუ 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის 67,3%. ყველაზე ფასეული ადამიანის სეული კაპიტალია, მაგრამ იგი იმერეთში, ისე როგორც მთლიანად საქართველოში, არარაციონალურად გამოიყენება. აღნიშნულ რეგიონში 2006 წელს უმუშევრობის დონე ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მიმართ შეადგენდა: მკაცრი კრიტერიუმით 9,8%-ს, ხოლო შერბილებული კრიტერიუმით – 10,7%-ს. უმუშევართა რიცხოვნობით იმერეთის ხვედრითი წონა საქართველოში დაახლოებით 15%-ს შეადგენს. ამ მოვლენის ნეგატიური შედეგებია: რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის არასრული გამოყენება, მუშაკთა დისკვალიფიკაცია, მიგრაციის ფართო მასშტაბები, დემოგრაფიული ვითარების გამწვავება და სხვ. შრომითი რესურსების გამოყენების სრულყოფის თვალსაზრისით იმერეთში არსებული რეზერვების გამოვლინებასა და რეალიზაციას თვალსაჩინო წვლილის შეტანა შეუძლია სიღარიბის დაძლევის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტაში.

6) „კახეთის შრომითი რესურსები და მათი გამოყენება“ (კრებული „კახეთის ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები“, თბილისი).

კახეთში 2006 წელს 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ხვედრითი წონა 70,3%-ს შეადგენდა. ამ რეგიონში შრომითი ოცნებების არარაციონალურ გამოყენებაზე მეტყველებს ის, რომ, ხელოვნურად შემცირებული მონაცემებითაც კი, უმუშევრობის დონე შეადგენს: მკაცრი კრიტერიუმით 6,7%-ს, ხოლო შერბილებული კრიტერიუმით – 6,8%-ს. სინამდვილეში, ექსპერტული გათვლით, იგი დაახლოებით 40%-ს აღწევს, რაც უმუშევრობის ბუნებრივ დონეს 35%-ით აღემატება. ამასთან, უმუშევართა მნიშვნელოვანი ნაწილი განათლებულია, ფლობს პროფესიას და თხოულობს თავისი კვალიფიკაციის ადეკვატურ სამუშაოს. უმუშევრობით განპირობებული ნებატიური მოვლენების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია შესაბამისმა სამსახურებმა იზრუნონ სამუშაო ძალის მოთხოვნა-მოწოდების დაბალანსებისა და შრომითი ოცნებების მაღალუფექტიანი გამოყენებისათვის.

აკად.წევრ-კორ. ჯ.ხეცურიანი

1 „საერთაშორისო სამართალი და რუსეთის პრეზიდენტის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობა“ (უურნალი „კავკასია და გლობალიზაცია“, №4, სტოკოლმი, შვედეთი, რუსულ და ინგლისურ ენებზე).

გამოკვლეულია საქართველოს სეპარატისტული რეგიონების – აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებების იურიდიული ბუნება. თანამედროვე საერთაშორისო სამართლისა და რუსეთის კონსტიტუციური კანონმდებლობის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ რუსეთის პრეზიდენტის მითითებული სამართლებრივი აქტები ეწინააღმდეგება არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლის საყოველთა-

ოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს, არამედ თვით რუსეთის კონსტიტუციურ კანონიერებას. ამიტომ ისინი უკანონო აქტებია, არა აქვთ იურიდიული ძალა და არ წარმოშობენ სამართლებრივ შედეგებს.

ამ გამოკვლევის შედეგების ამსახველი წერილები გაეგზავნა საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს, გამოქვეყნდა რესპუბლიკურ პრესაში ქართულ და რუსულ ენებზე.

2) „სახელმწიფოს მმართველობის ფორმები საქართველოში“ (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. II, №3, 175-180, ინგლისურ ენაზე).

3) „სახელმწიფოს მმართველობის ფორმები და მონარქიის აღდგენის პერსპექტივები საქართველოში“ (საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3).

ამ ორ უკანასკნელ სტატიაში ნაჩვენებია, რომ საქართველოში მმართველობის რესპუბლიკური ფორმის ყველა სახეობის მონაცვლეობა, რაც უკანასკნელი 17 წლის მანძილზე მოხდა, გამოწვეულია სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტის შესაძლებლობების გადაჭარბებული გაგებით, მათზე იმ ამოცანების დაკისრებით, რომელთა გადაჭრაც მხოლოდ მმართველობის თუნდაც ყველაზე დემოკრატიული სისტემის შემოღებითაც კი შეუძლებელია. ამავე მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული ქართულ საზოგადოებაში ბოლო დროს გაჩენილი იდეა – ქვეყანაში პარლამენტური მონარქიის შემოღების მიზანშეწონილობის შესახებ. გაანალიზებულია ის არგუმენტები, რომლებიც საქართველოში პარლამენტური მონარქიის შემოღების სასარგებლოდ შეიძლება იქნეს გამოყენებული. წარმოდგენილია ის ხელისშემშლელი გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვან დაბრკოლებებს ქმნიან სახელმწიფოს მმართველობის ფორმის ასეთი ტრანსფორმირებისათვის. მათი დაძლევა დიდ დროს, ძალისხმევასა და საზოგადოებ-

რიგი ცნობიერების სათანადო მომზადებას მოითხოვს. არჩევანი რესპუბლიკასა და მონარქიას შორის თავად ხალხმა უნდა გააკეთოს რეფერენდუმით.

4) „სამართალი რუსულად“ (საქართველოს სახალხო დამცველის ყოველთვიური ჟურნალი „სოლიდარობა“, №5; გაზ. „რეზონანსი“, 08.09.08.).

5) „რუსული სიმართლე“ (გაზ. „Свободная Грузия“, 13.09.08, რუსულ ენაზე).

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების წევრები მონაწილეობდნენ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულებაში.

აკად. ოჯაფარიძემ დაასრულა მუშაობა ნაშრომზე – „შიდა ქართლის უძველესი წარსულიდან“, რომელიც ეძღვნება სამაჩაბლოში, ფრონე-ლიახვის ორმდინარეთში, სოფ. ნულისა და ქვასათალის სამაროვნებზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ანალიზს. როგორც ჩანს, ამ სამაროვნებზე ცენტრალური და ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიიდან სამხრეთით გადმონაცვლებული მოსახლეობა დაიკრძალა. ნულისა და ქვასათალის სამაროვნებზე დადასტურებული დამარხვის წესი და სამარხეული ინვენტარი თითქმის იდენტურია ჩრდილო კავკასიის ამ რეგიონში ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში გავრცელებული ძეგლებისა. როგორც ჩანს, ამ დროს ჩრდილოეთიდან შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში მოსახლეობის გარკვეული მასა ინაცვლებს და საკმაოდ მყარად, ცალკე სოფლებად სახლდება, ძირითადად, ფრონე-ლიახვის შუამდინარეთში, ადგილობრივ მკვიდრთა რაიმე საგრძნობი წინააღმდეგობის გარეშე. მიგრანტების ცხოვრება აქ საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა, რასაც საკმაოდ მოზრდილი სამაროვნები მოწმობს, სადაც ჩრდილოეთიდან გამოყოლილი ადათ-წესით იმარხებოდნენ მიცვალებულები. როგორც ჩანს, ჩრდილოეთიდან სამ-

ხრეთით მიგრაციის პროცესი ადრე დაწყებულა და მაინცადამაინც არც შემდეგში შენელებულა, რის შედეგებსაც დღეს ვიმკით.

აკად.წევრ-კორ. ზ.ალექსიძე ხელმძღვანელობდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სომხურ ფონდში დაცული ფრაგმენტების კორპუსის გამოცემის პროექტს.

აკად.წევრ-კორ. პ.ფიცხელაური ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს ნაზარლების სამართვანზე და ნამოსახლარზე. ექსპედიციის კოლექტივთან ერთად მომზადდა 2007-2008 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების სამეცნიერო ანგარიში.

აკად.წევრ-კორ. ვ.შამილაძე მუშაობდა 2008-2009 წლების პროგრამაზე – „აფხაზური დიასპორა აჭარაში: ეთნოკულტტურული და ეთნოპოლიტიკური ასპექტები“.

საქართველოს სამეცნიერო ფონდის „რუსთაველის“ საგრანტო დაფინანსებით აკად. რ.მეტრეველი მუშაობს (ხელმძღვანელობს) პრობლემაზე „საქართველო და გარე სამყარო (საქართველო და ევროპა, საქართველო და აღმოსავლეთი, საქართველო და ბიზანტია); სამუშაოს დასრულება დაგეგმილია 2009 წლისათვის.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და მისივე ფონდის დახმარებით აკად. რ.მეტრეველი მუშაობს (ხელმძღვანელობს) პროექტზე: „დიდი საქმენი“ – ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან (მოვლენები და პიროვნებები).

აკად. დ.მუსხელიშვილი ხელმძღვანელია პროექტისა „საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში“ („რუსთაველის ფონდი“).

აკად.წევრ-კორ. ა.სილაგაძე ქართული მხარის ხელმძღვანელია საერთაშორისო გრანტით (გერმანია) დაფინანსებული პროექტისა – „მიწის პრივატიზება საქართველოსა და მოლდოვაში“.

განყოფილების წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციების, სესიებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში.

ჩატარდა აკადემიკოსების შალვა ნუცუბიძის 120, გიორგი მელიქიშვილის 90, გრიგოლ გიორგაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომები. სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნა აკად.წევრ-კორ. ოჯორევის ხსოვნას.

აკად. გ.თევზაძემ მონაწილეობა მიიღო შალვა ნუცუბიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომის, ოთარ ჯიორევისა და სოლომონ დოდაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიების ორგანიზებაში. მან წაიკითხა მოხსენება – „შალვა ნუცუბიძე და ოანამედროვე აზროვნება“, ისაუბრა ოთარ ჯიორევის მნიშვნელობაზე ქართული ფილოსოფიური კულტურისათვის.

აკად. რ.მეტრეველმა მონაწილეობა მიიღო ქ.კიშინოვში (მოლდოვა) ჩატარებული აღმოსავლეთ ევროპის, ბალტიკის, ბალკანეთისა და კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო კონფერენციის – „მეცნიერება და განათლება“ – მუშაობაში, აგრეთვე, საქართველოს საპატრიარქოს ეგიდიოთ ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაში – „კულტურათა დიალოგი“.

აკად. დ.მუსხელიშვილმა მონაწილეობა მიიღო III საერთაშორისო სიმპოზიუმის მუშაობაში – „ცივილიზაციათა დიალოგი – განათლება და აღზრდა, როგორც საშუალება მხარეთა თანამშრომლობისა“. მანვე წაიკითხა ლექციები საქართველოს ისტორიის საკითხებზე საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის ძეგლ-მუზეუმ „მემატიანეში“ ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსწავლეებისათვის.

აკად. შ.ნადირაშვილმა მონაწილეობა მიიღო ევრაზიის თანამშრომლობის საჯარო ფორუმის (რომლის წევრიც არის) – „სამოქალაქო საზოგადოება საქარ-

თველოში“ – დისკუსიაში, საქმიანობის შეფასებასა და სამომავლო გეგმების დასახვაში.

აკად.წევრ-კორ. ზ.ალექსიძე მოხსენებით გამოვიდა არმენოლოგთა საერთაშორისო სემინარზე (ქ.ერევანი, სომხეთი); საერთაშორისო კონფერენციაზე (ქ.მოსკოვი); მიჩიგანის უნივერსიტეტის (აშშ) საერთაშორისო კონფერენციაზე – „სომხური აპოკალიპტური ტრადიცია და კომპარატიული პერსპექტივები“.

აკად.წევრ-კორ. ვ.პაპავაძე მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში: „პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ეკონომიკური პრობლემები“ (ქ.ვარშავა, პოლონეთი); „ევროკავშირი და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები“ (ქ.ბრიუსელი, ბელგია); „ქართულ-რუსული ომის შემდგომი ურთიერთობები“ (ქ.სტამბოლი, თურქეთი); „სუამ-ი ტაქტიკური ალიანსიდან სტრატეგიული პარტნიორობისაკენ“ (ქ.ბაქო, აზერბაიჯანი); „საქართველო ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე“ (ქ.პარიზი, საფრანგეთი); საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში „ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“.

აკად.წევრ-კორ. ა.სილაგაძემ გააკეთა მოხსენება ქაისენის უნივერსიტეტის (გერმანია) საერთაშორისო კონფერენციაზე – „მიწის პრივატიზება პოსტსაბჭოურ ქვეყნებში“.

აკად.წევრ-კორ. ვ.შამილაძემ მონაწილეობა მიიღო: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში (ბაქო-შაქორი); ბათუმის ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო სესიის მუშაობაში; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში; ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის დეპარტამენტის რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში.

აკად.წევრ-კორ. ლ.ჩიქავამ წაიკითხა მოხსენება საქართველოს ეკონომისტთა სამცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე – „ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“.

განყოფილების საერთო კრებაზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნად არჩეულ იქნა აკად. რ.მეტრეველი. ბიუროს წევრებად აკად. ლ.ალექსიძე, აკად. გ.თევზაძე, აკად. დ.მუსხელიშვილი, აკად.წევრ-კორ. ვ.შამილაძე, სწავლულ მდივნად ლ.ფუტკარაძე.

განყოფილებასთან შეიქმნა დარგობრივი კომისიები: ეკონომიკურ და იურიდიულ პრობლემათა (თავმჯ. აკად. ლ.ალექსიძე), ფილოსოფიის, ფიქოლოგიისა და პოლიტიკური მეცნიერებების პრობლემათა (თავმჯ. აკად. გ.თევზაძე), ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის პრობლემათა (თავმჯ. აკად. დ.მუსხელიშვილი), კავკასიის ქვეყნებთან სამცნიერო თანამშრომლობის (თავმჯ. აკად.წევრ-კორ. ვ.შამილაძე).

აღნიშნულმა კომისიებმა მნიშვნელოვანი საქმიანობა განახორციელეს.

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისიის ხაზით მომზადდა და გამოქვეყნდა ნაშრომები: 1) „რუსული კოლონიალიზმი საქართველოში“ (ავტორები – ა.ბენდიანიშვილი, ა.დაუშვილი, მ.სამსონაძე, ხ.ქოქრაშვილი, დ.ჭუმბურიძე, ო.ჯანელიძე; გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 543 გვ.). ნაშრომში კრიტიკულად და ობიექტურად არის შესწავლილი და შეფასებული რუსული კოლონიალიზმის ორსაუკუნოვანი ისტორია. დასაბუთებულია, რომ მონარქიული და საბჭოურ-კომუნისტური იმპერიალიზმი ერთმანეთისაგან მხოლოდ გარეგნულად, იდეურ-პოლიტიკური მეთოდებით, განსხვავდებოდნენ. ორივე იმპერიას ერთი ძირითადი მიზანი ჰქონდა – საქართველოს გადაქცევა რუსეთის ეკონომიკურ დანამატად და ქვეყნის მოსახ-

ლეობის რუსიფიკაცია; 2) „საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში“ (ავტორები – მ.ნათმელაძე, ა.დაუშვილი, მ.ჯაფარიძე, კ.წენგუაშვილი; გამოცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 500 გვ.). წიგნში კომპლექსურად შესწავლილია საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი; გარკვეულია საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ახალი რეჟიმისადმი დამოკიდებულების ხასიათი.

განყოფილებამ მოისმინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ვ.პაპაგას („საქართველოს ეკონომიკური რეფორმირების მოდელის თავისებურებანი და ეკონომიკური განვითარების ძირითადი პრობლემები“), ა.სილაგაძის („საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციები“) და ჯ.ხეცურიანის („სამართლი რუსულად“) მოხსენებები და გაუწია რეკომენდაცია, რომ აღნიშნული მოხსენებები წაკითხულ იქნეს აკადემიური საბჭოს სხდომაზე.

ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება

ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში 2009 წლის 1 იანვრისათვის გაერთიანებული იყო 12 წევრი, მათ შორის 4 აკადემიკოსი და 8 წევრ-კორესპონდენტი.

2008 წელს განყოფილების წევრებმა გამოაქვეყნეს 7 მონოგრაფია და წიგნი და 19 სამეცნიერო სტატია.

ა) მონოგრაფიები, წიგნები

აკად.წევრ-კორ. რ.გორდეზიანი

1) „მედიტერანულ-ქართველური მიმართებები“, ტ. IV (თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და

ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი, 160 გვ.).

ნაშრომის სამი ტომი, რომლებიც ეძღვნება შუმერულ-ქართველურ, ხეთურ-ქართველურ, წინაბერძნულ-ქართველურ, ეტრუსკულ-ქართველურ მიმართებებს, გამოიცა 2007 წელს. მეოთხე ტომი შეიცავს რეზიუმეს ინგლისურ ენაზე, სამიებელს, დამატებებსა და შესწორებებს.

2) „ანტიკური კავკასია“. ენციკლოპედიის ანოტირებული სიტყვანი (გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი, 135 გვ.).

აკად.წევრ-კორ. მ.შანიძე

1) „ცხოვრებად მეფეთ-მეფისა დავითისი“ (წიგნში ისტორია სამართლის რედაქციით, თბილისი, 46 გვ., რუსულ ენაზე).

ნაშრომი წარმოადგენს სპეციალურად ამ გამოცემისათვის შესრულებულ ახალ თარგმანს, რომელსაც ერთვის ტექსტის ისტორიულ-ფილოლოგიური კომენტარი. თარგმანი შესრულებულია თვით მ.შანიძის მიერ ახლად დამუშავებული ძველქართული ტექსტიდან, რომელშიც მრავალი დამახინჯებული ადგილია შესწორებული. თარგმანი შესრულებულია ახალ რუსულ ენაზე, მაგრამ ძველი ქართული ტექსტის შესაბამისად თარგმანში შენარჩუნებულია სათანადო სტილი. საგანგებოდ დამუშავებულია ტექსტში არსებული ასამდე ბიბლიური პარალელი რუსულთან მისადაგებულად იმ დიდი შინაარსეული სხვაობის გამო, რომელიც ძველ ქართულ და თანამედროვე ბიბლიურ ტექსტებს შეა არსებობს. კომენტარში განმარტებულია ტექსტში დამოწმებულ ისტორიულ პირთა ვინაობა, გეოგრაფიულ პუნქტთა სახელები, მოცემულია მსჯელობა ტექსტის ცალკეული ადგილების შესახებ.

2) „ცხოვრებად მეფეთ-მეფისა დავითისი“ (წიგნში „ქართლის ცხოვრება“, აკად. რ.მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 440–481).

ტექსტი დადგენილია „ქართლის ცხოვრების“ როგორც უძველესი (ძველი ციკლის) ხელნაწერების, ისე საჭიროების შემთხვევაში გვიანდელი (ვახტანგისეული რედაქციის) ნუსხების მიხედვით. გასწორებულია მრავალი ადგილი, რომელიც გადამწერთა მიერ არის დამახინჯებული; შესაბამისად, გაიმართა ადგილები, რომლებიც წინა გამოცემებში გაუგებარი იყო. გამოვლენილია ბიბლიური პარალელები, რომლებიც ტექსტის მხატვრული სისტემის ორგანულ კომპონენტს წარმოადგენენ; ზოგიერთ შემთხვევაში ტექსტის ცალკეული ადგილების რეალური შინაარსის გაგება დამოკიდებულია სწორედ ბიბლიურ სახეთა სწორად გაგებასა და გახსნაზე. ტექსტში ასამდე ასეთი შემთხვევაა მითითებული. გასწორებულია, აგრეთვე, დამახინჯებული ენობრივი ფორმები, რაც ხელს უშლიდა შინაარსის სწორად გაგებას. ჩატარებული ტექსტოლოგიური მუშაობის შედეგად „ცხოვრებად მეფეთ-მეფისა დავითისი“ წარმოგვიდგება უფრო გამართული სახით, ვიდრე აქამდე არსებულ გამოცემებში (მარი ბროსესა და ს.ეულებიშვილის) იყო.

3) „ცხოვრებად მეფეთ-მეფისა თამარისი“ (წიგნში „ქართლის ცხოვრება“, აკად. რ.მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 483–521).

ტექსტი დაბეჭდილია იმ ერთადერთი ნუსხის მიხედვით, რომელშიც ცალკეა მოცემული ამ თხზულების პირველი ნახევარი (ე.წ. ჭალაშვილისეული ნუსხა). მეორე ნაწილი, რომელიც ცალკე დამოუკიდებელი სახით არ არსებობს, დაბეჭდილია ამავე ნუსხის მიხედვით, მაგრამ ცალ-ცალკეა გამოყოფილი ის ნაწილები, რომლებიც ბასილი ეზოსმოძღვრისაა, და სხვები, რომლებიც სხვა თხზულებებიდანაა ამოღებული ვახტანგისეულ რედაქ-

ციაში („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“). ამ უკანასკნელთათვის სრულად მითითებულია როგორც მ.ბროსეს გამოცემის სათანადო ადგილები (მეორე ნაწილში), ისე შესაბამისი ადგილები „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტიდან პ.კეკელიძის გამოცემაში, აგრეთვე, „ქართლის ცხოვრების“ ს.ყაუხეჩიშვილისეულ და აღნიშნულ გამოცემებში. ასეთი აპარატი, რომელიც პირველია ბასილი ეზოსმომდგრის თხზულების გამოცემისათვის, მკითხველს საშუალებას აძლევს ნათლად დაინახოს ის ჩანართები, რომლებიც ვახტანგისეულ რედაქციაშია შეტანილი, შესაბამისად, უფრო ნათელი წარმოდგენა იქონიოს თვითონ ბასილის თხზულების შესახებ. წარმოდგენილია რამდენიმე ტექსტუალური კონიექტურა გადამწერთა მიერ დამახინჯებული ადგილების ნათელსაყოფად.

აკად.წევრ-კორ. ე.ხინთიბიძე

„ვეფხისტყაოსანი შექსპირის ეპოქის ინგლისში“, (საგამომცემლო ჯგუფი „ქართველოლოგი“, თბილისი, 150 გვ., ქართულ და ინგლისურ ენებზე).

მონოგრაფიაში ჩამოყალიბებული და არგუმენტირებულია სრულიად ახალი აზრი როგორც ქართული კულტურის ისტორიის, ასევე ინგლისური ლიტერატურათ-მცოდნეობის თვალსაზრისით. კერძოდ, ვეფხისტყაოსნის ფაბულა გამოყენებულია როგორც სიუჟეტური წყარო XVII საუკუნის დასაწყისის ინგლისელი დრამატურგების ბომონტისა და ფლეტჩერის ორ ძალზე პოპულარულ პიესაში: „ფილასტერი“ და „მეფე და არა მეფე“.

აკად.წევრ-კორ. ე.ჯაველიძე

„მართალმა რაი ჰყოს“ (გამომცემლობა „აისი“, თბილისი, 324 გვ.).

წიგნში მოცემულია ავტორის გამოუქვეყნებელი წერილები და, აგრეთვე, სხვადასხვა დროს დაბეჭდილი სტატიები. მიუხედავად იმისა, რომ ეს პუბლიკაციები

განსხვავებულ პრობლემებს (ესთეტიკურს, ზნეობრივს, რელიგიურს, ეროვნულს) ეხება, მათ აერთიანებს უმთავრესი მიზანი – ახსნას, თუ რატომ აღმოჩნდა საქართველო ამგვარ კატასტროფულ მდგომარეობაში, რატომ დაატყვდა ქართველ ერს ესოდენ დიდი უბედურება, ვინ არის ყოველივეს შემოქმედი და რამ განაპირობა ჩვენი სამშობლოს სავალალო მდგომარეობა. ავტორი ცდილობს მკითხველ საზოგადოებას მიუკერძოებლად აუხსნას ჩვენი ერის უბედურების მთავარი მიზეზები, რომლებიც შეუიარაღებელი თვალისოვის ესოდენ ძნელი აღსაქმელია.

ბ) სტატიები

აკად.წევრ-კორ. რ.გორდეზიანი

„ილიადის სტრუქტურული სიმეტრიის ზოგიერთი ასპექტი“ (Phasis, 11, ინგლისურ ენაზე).

აკად.წევრ-კორ. გ.კვარაცხელია

1) „კავკასიის დიდი შვილი“. არნ. ჩიქობავას მოღვაწეობის ანალიზი (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 9-19).

2) „რედაქტორის წინასიტყვაობა“. არნ. ჩიქობავა, „ენათმეცნიერების შესავალი“ (თბილისი, XI-XXII).

განხილულია სახელმძღვანელოს თეორიული კონცეფცია, ავტორის ორიგინალური ხედვა მეთოდოლოგიადიდაქტიკის თვალსაზრისით. კრიტიკულად არის წარმოდგენილი ანალოგიური სახელმძღვანელოები არნ. ჩიქობავას „ენათმეცნიერების შესავალთან“ მიმართებით.

3) „ენათმეცნიერების თანამედროვე მიმართულებები“ („ქართული ენა“. ენციკლოპედია, თბილისი, 168-172).

განხილულია ენათმეცნიერების თანამედროვე მიმართულებები და დარგები, მათ შორის: სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ეთნოლინგვისტიკა, კომუნიკაციური პრაგმატიკა, ნეიროლინგვისტიკა, პარალინ-

გვისტიკა და სხვ. დაძებნილია მათი წარმოქმნის თეორიული საფუძვლები.

4) „იდიოსტილი“ („ქართული ენა“. ენციკლოპედია, თბილისი, გვ. 244).

ქართველ მწერალთა მაგალითზე განხილულია იდიოსტილის განმარტება და ამ ცნების ადგილი სტილისტიკის ტერმინოლოგიურ სისტემაში.

5) „სტილი“ („ქართული ენა“. ენციკლოპედია. თბილისი, 443-445).

„სტილის“ ცნება განხილულია ლინგვისტიკური და ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით. გამოყოფილია სტილის მწარმოებელი ერთეულები ენის სხვადასხვა ღონებზე.

6) „სტილიზაცია“ („ქართული ენა“. ენციკლოპედია, თბილისი, გვ. 445).

ქართველ მწერალთა ნიმუშებზე დაყრდნობით განხილულია სტილიზაციის სახეები და ფორმები.

7) „სტილისტიკა“ („ქართული ენა“. ენციკლოპედია, თბილისი, 445-447).

წარმოდგენილია სტილისტიკის, როგორც ენათმეცნიერების დარგის, სტრუქტურა და კატეგორიები.

8) „სტილოსტატისტიკა“ („ქართული ენა“. ენციკლოპედია, თბილისი, გვ. 447).

განხილულია სტატისტიკური მეთოდებით სტილის შესწავლის მიზანი და შედეგების გამოყენების სფეროები.

9) „ფუნქციური სტილისტიკა“ („ქართული ენა“. ენციკლოპედია, თბილისი, 488-490).

წარმოდგენილია ქართული ენის ფუნქციური ქვესისტემების გამოყოფის პრინციპები. მოკლედ დახასიათებულია სამეცნიერო პუბლიცისტური, ყოფითი მეტყველებისა და სხვა ფუნქციური სტილები.

10) „ქართველოლოგია“ (თანაავტორობით; „ქართული ენა“. ენციკლოპედია, თბილისი, 497-502).

განხილულია ენათმეცნიერული ქართველოლოგიის განვითარების გზები, ისტორია, მიმართულებები, ქართული ლინგვისტიკის მიღწევები და საერთაშორისო აღიარება.

11) ქართული ენა („ქართული ენა“, ენციკლოპედია, თბილისი, 509-512).

წარმოდგენილია ქართული ენის ისტორიის, სტრუქტურისა და ფუნქციონირების საკითხები. გაშუქებულია სალიტერატურო ენის მიმართების პრობლემა ტერიტორიულ და სოციალურ დიალექტებთან.

12) „და ისევ მიწას ვინატრებ“ (ჟურნალი „ქართველოლოგია“, №3, 3-7).

პირველად არის შესწავლილი სიკვდილის თემა ანა კალანდაძის პოეზიაში. გამოკვეთილია პოეტის მსოფლიხედველობრივი მიმართება აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით.

13) „დვთის სათნო ანა“ (ქართველ მწერალთა და ლიტერატორთა სალიტერატურო-სამეცნიერო გაზეთი „კალმასობა“, მაისი, 2008 წ.).

შესწავლილია ანა კალანდაძის პოეზიის ის ნიმუშები, სადაც დგება სულიერების, როგორც ქრისტიანული არსის საკითხები. განხილული და წარმოჩენილია „სახარებისა“ და „ფსალმუნთა“ აღუზიები.

აკად.წევრ-კორ. მ.შანიძე

„ვაჟა-ფშაველა და ქართული სალიტერატურო ენა“ (წიგნში: „Der Dichter Vajha-Pschavela. Fünf Essays Wurzburg“, გამომც. კონიგსკაუზენი და ნოიმანი, ქვიურცბურგი, გვრ, 65–80, გერმანულ ენაზე).

